619
1954/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 8 აგვისტო 1954

მინდვრებსა და კალოებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელ საბათლინის ა. მიქოიანის სახელობის არტელმა პურის უხვი მოსავალი აიღო: ჰექტარზე საშუალოდ აღებულია 23 ცენტნერი ხორბალი.

სურათზე: წითელ საბათლინის არტელის პირველი ბრიგადის კალოზე.

ქედის მტს-ის კომბაინერთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება კომბაინების მაღალნაყოფიერი და შეუფერხებელი მუშაობის, მკის ვადების შემცირებისა და სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების გეგმის დროულად შესრულებისათვის.

ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩევა მოწინავე კომბაინერი იოსებ კორიაული. მან საქართველოში პირველმა განახორციელა ხორბლის მოხავლის ორი გადაბმული კომბაინით აღება. გარდა კომბაინერისა აგრეგატს მომსახურებას უწევენ: ა. თეთრიაული და ა. რაფალიანი, და ტრაქტორისტი ი. ბიაშვილი.

ორგანიზებულმა მუშაობამ და ტექნიკის საზრიანად გამოყენებამ აგრეგატის კოლექტივს საშუალება მისცა ყოველდღიურად 35 ჰექტარზე აიღოს ხორბლის მოსავალი.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. რაფალიანი, ა. თეთრიაული, ი. კორიაული და ი. ბიაშვილი.

წითელწყაროს რაიონში სოფ. ჯაფარიძის ა. ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობამ პირველმა შეასრულა ხორბლის სავალდებულო ჩაბარების გეგმა და გადაიხადა ნატურგადასახადი

სურათზე: ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობის წითელი აღალი ახალი მოსავლის ხორბლით.

წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საველე კალოზე პურის მკელთა ყველა შრომისტევად სამუშაოს ასრულებს მექანიზმები.

სურათზე: წითელწყაროს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის კალოზე ავტომანქანაზე მარცვლეულის მექანიკური დატვირთვა.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

დროშა

№ 8 (37) აგვისტო 1954 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე



უკრაინელი პოეტი ალ. ნოვიცკი და საქართველოს სახალხო პოეტი გ. ტაბიძე სხდომის დარბაზში.

F-1494



პოეტი ნ. ზაბოლოცკი ესაუბრება მწერლების ჯგუფს.

მწერლები ი. აბაშიძე, ი. ნონეშვილი და ნ. ტიხონოვი გამოდიან სხდომის დარბაზიდან.

ა/წლის 30 ივნისიდან 3 ივლისამდე მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიის, ლიტვის, კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ტაჯიკეთის ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ყრილობაზე საქართველოს მწერალთა მორიგი ამოცანებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

ყრილობამ აირჩია საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა, სარევიზიო კომისია და სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების II ყრილობის დელეგატები.

ყრილობის სხდომის დარბაზში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



მექანიზატორთა ერთი ჯგუფი პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ფოტო ბ. ჯინორიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ცდება დაოსტატება

ნ. სინაურიძე

თბილისიდან 12 კილომეტრის დაშორებით, დიღმის ტრიალ მინდორზე ტრაქტორი „ხტზ“ გუგუნებდა. ნახნავი არ ჩანდა. ხშირად ჩერდებოდა ტრაქტორი და შუახნის მამაკაცი რაღაცას აჩვენებდა, უხსნიდა ორ გოგონას. ეს, სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე ჩუბინიძე პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებდა ტრაქტორის მართვაში. ეუეუნა ქურციკიძე და სულიკო გაბრიჩიძე ტრაქტორისტობის პროფესიას ეუფლებოდნენ. ისინი ბოლნისის რაიონიდან ჩამოსულიყვნენ. ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როცა ჭიათურის რაიონის სოფელ ზედუბანიდან ჩამოასახლეს ბოლნისის რაიონში. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. კარგად დასახლდნენ და დოვლათიც შეიძინეს მათმა ოჯახებმა. ეუეუნა და სულიკო კარგა ხანია ოცნებობდნენ—ტრაქტორისტები გამხდარიყვნენ. საკოლმეურნეო მინდვრებზე მომუშავე ტრაქტორებისათვის რამდენჯერ ოცნების თვალი გაუყოლებიათ ხოლმე. ბოლოს აუსრულდათ წადილი. ისინი მოვლინებულ იქნენ თბილისში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 10 სასწავლებელში.

მათთან ერთად სწავლობს მრავალი ახალგაზრდა. მათი რიცხვი 270-დე აღწევს, ჩვენი რესპუბლიკის რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ ჩამოსულ ახალგაზრდას.

ეს სასწავლებელი სულ ორი წელიწადია არსებობს. მისი დანიშნულებაა, ერთი წლის განმავლობაში გადაამზადოს ტრაქტორის ბრიგადირები და მათი თანაშემწეები და ამავე დროს მოამზადოს ახალი ტრაქტორისტები.

ტრაქტორისტმა უნდა იცოდეს არა მარტო ტრაქტორის მართვა, არამედ მისი შეკეთებაც. პატარა შეფერხებასაც უნდა მიუხვდეს, სატკივარი გაუგოს და სათანადო „წამალიც“ მისცეს.

ხშირია შემთხვევა, როცა უბრალო შეფერხების გამო მინდვრად გამოსული ტრაქტორი დგას და უცდის სარემონტო ბრიგადას. ტყუილად იკარგება ძვირფასი დრო. ამ სკოლის მიზანია ტრაქტორისტი ისეთი ცოდნით აღჭურვოს, რომ მას ადგილზე, მინდვრად შეეძლოს თვითონვე გაარემონტოს ტრაქტორი. ამიტომაა, რომ სასწავლებელში ასე გულმოდგინედ ასწავლიან ზეინკლობასაც. სპეციალური საკლასო ოთახია გამოყოფილი საზეინკლო საქმისათვის. აქ პრაქტიკულად სწავლობენ საზეინკლო ხელობას. ოსტატი გიორგი მაისურაძე თავს დასტრიალებს ყოველ მოსწავლეს. გულმოდგინედ უხსნის ყველაფერს.

მეორე საკლასო ოთახში, სასწავლებლის მეორე სართულზე რუსული ჯგუფი მეცადინეობდა. გაკვეთილს ატარებდა სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი გიორგი ზირაქიშვილი. სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესახებ ტარდებოდა გაკვეთილი. საკლასო დაფაზე ფორმულებს წერდა წალკიდან ჩამოსული კოლმეურნე. მას უკვე კარგად შეუსწავლია მანქანების აგებულება, მისი დანიშნულება, ყოველი ნაწილის მნიშვნელობა. ისე თავისუფლად სწერს ფორმულებს, მსჯელობს, რომ გიკვირს—ამ კოლმეურნე ახალგაზრდას, რა მალე და საფუძვლიანად შეუსწავლია სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მოსწავლეები თეორიულ საგნებს სწავლობენ სასკოლო შენობაში. პარქტიკას კი ძირითადში გადიან მოტორების შემკეთებელ სარაიონთაშორისო სახელოსნოსა და მანქანათა საგამოცდო სადგურში.

მალე მათ საკუთარი პავილიონი ექნებათ, სადაც დაიდგმება ყველა ტიპის ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ამ პავილიონის სიგრძე 141 მეტრამდე მიაღწევს.

სასწავლებელს უჭირავს 12 ჰექტარი ფართობი. 7 ჰექტარი განკუთვნილია ნაგებობებისათვის, 5 ჰექტარი კი დამხმარე მეურნეობისათვის.

აგებულ უნდა იქნას 21 სხვადასხვა ტიპის შენობა: სახელოსნოები, პავილიონები, საერთო საცხოვრებელი 300 კაცისათვის, საცხოვრებელი სახლი პედაგოგიურ პერსონალისათვის და სხვ. ამ უზარმაზარ კომბინატს ექნება ცენტრალური გათბობა.

ტერიტორიაზე ამჟამად გაჩარებული მშენებლობა მიმდინარეობს. წელს უნდა დამთავრდეს სააღმშენებლო სამუშაოები და მომავალი წლის 1 იანვრიდან გადაეცეს საექსპლოატაციოდ სასწავლებლის ადმინისტრაციას.

ტერიტორიაზე ყრია ქვა, აგური, კირი. შენდება ახალი შენობები. ეს სააღმშენებლო ციებ-ცხელება ხელს არ უშლის სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების დაოსტატებას. არ იკარგება ერთი წუთიც. სასწავლო საათების გარეშე მოსწავლეები ერთობიან კლუბში, ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლე სახელმწიფო ხარჯზეა. გარდა ამისა თვითეული მათგანი სტიპენდიის სახით 260 მან. იღებს ყოველთვიურად.

ცხოვრობენ საერთო საცხოვრებლის სუფთა და ნათელ ოთახებში, საექიმო პერსონალი სისტემატურად თვალყურს ადევნებს მათ ჯანმრთელობას.

მეტად რთულ პირობებში უხდება პედაგოგიურ პერსონალს მუშაობა. ყოველი მათგანი თბილისიდან ჩამოდის გაკვეთილების ჩასატარებლად. მაგრამ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა აღზრდისათვის ისინი სიძნელეებს არად აგდებენ. ეს ხომ დროები ია.

სულ მალე დასრულდება მშენებლობა. გამწვანდება ტერიტორია, გაშენდება მარად მწვანე პარკი, სპორტის მოედნები. სასწავლებელს ყველაფერი ექნება ნორმალური მუშაობისათვის თავისსავე ტერიტორიაზე.

სასწავლებლის დირექტორი დ. მგელაძე (მარჯვნივ პირველი) ესაუბრება მშენებლებს.

ტრაქტორისტი არჩილ სამხარაძე

თხუთმეტი წლის ბიჭი იყო არჩილ სამხარაძე, როცა სურამის სატრაქტორო სასწავლებელი დაამთავრა და შინდისის მტს-ში სამუშაოდ დაბრუნდა.

გაზაფხულის პირი იყო. სატრაქტორო ბრიგადები მინდვრად გადიოდნენ.

არჩილმაც აამუშავა ტრაქტორი და მინდვრისაკენ გაეშართა თავის ბრიგადაში. ის ადრეც მჯდარა ტრაქტორზე, ოგრამ ასეთი გახარებული არასოდეს ყოფილა. თავი ტრაქტორის ბატონ-პატრონი ეგონა და თანაც ერთ რაღაც უჩვეულო გრძნობას შეეპყრო: ოღროჩოღრო გზაზე ცოტაც რომ აქანავებულიყო მუხლუხები გული სტკიოდა. ფრთხილად მიჰყავდა არჩილს ტრაქტორი და ძიძიდროდა. მიიმღეროდა და თან აქეთ-იქით თავმომწონედ იცქირებოდა, ეგონა გზის ორივე მხარეს ბალებში სამუშაოდ მყოფი გოგო-ბიჭები მას უცქეროდნენ და ძის ბედს დანატროდნენ.

აქ ბედნიერი დღიდან უკვე ოთხი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც, როცა არჩილ სამხარაძე ტრაქტორზე დაჯდება ხოლმე, ისევ იმ პირველ თავმომწონეობას გრძნობს და განიცდის.

რა დასამალია, პირველ ხანებში არჩილს უჭირდა მუშაობა. ბევრჯერ გასჩერებია ტრაქტორი, დიდხანს უტრიალია მის გარშემო. ბევრი უწვალია, მაგრამ რთული ძრავის ასავალ-დასავალი ვერ გაუგია, სიმწრის ოფლს იწმენდდა ყურებამდე აწითლებული ბიჭი და დახმარებას სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირ ილო დადეშელსა და თავის მცველელ ტრაქტორისტ სარდიონ ბეჟანიშვილს სთხოვდა. ერთი რამ უნდოდა, ერთი რამ ენატრებოდა მაშინ არჩილს: ოღონდ მასაც ასე კარგად სცოდნოდა ძრავის „საიდუმლო", როგორც ამ ორმა გამოცდილმა ტრაქტორისტმა იცოდა და მერე დღე და ღამეს გაასწორებდა, ტოლებში და სწორებში თავს არ შეირცხვენდა.

კიდევ კარგი, რომ ბრიგადირი ილო დადეშელი და ტრაქტორისტი სარდიონ ბეჟანიშვილი მზრუნველობას არ აკლებდნენ ახალგაზრდა ტრაქტორისტს. არა ერთხელ დასჭირებია არჩილს მათი თავი შუაღამისას; ხანდახან ვერც კი ბედავდა მათ შეწუხებას, ეგონა დაემდურებოდნენ, ეტყოდნენ, რატომ მოსვენებას არ გვაძლევ, შენ რომ ტკბილად გძინავს ხოლმე, განა ჩვენ კი არ გვინდა ძილი, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ისინი გაღვიძებისთანავე გამოდიოდნენ კარავიდან და ხალისით ეხმარებოდნენ ტრაქტორის მომართვაში. ხშირად, თავისუფალ დროს, ბრიგადირი ილო დადეშელი ეუხსნიდა არჩილს ტრაქტორის მექანიზმს, ასწავლიდა თუ როგორ უნდა გამოეცნო მუშაობის დროს ესა თუ ის მოშლილი ნაწილი, როგორ უნდა მოეყვანა ის წესრიგში და სხვ. გულისყურით უსმენდა არჩილი უფროს ამხანაგებს, ყველაფერს იხსომებდა, ყოველ წვრილმანს გულში იბეჭდავდა.

დღეს დღე მოსდევდა, თვეს თვე, არჩილი სკოლაში მიღებულ ცოდნას უფრო იღრმავებდა.

რა ბევრი რამ შესძლებია მონდომებასა და მეცადინეობას?! დღეს არჩილ სამხარაძე მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტია და ახლა თვითონ ასწავლის თავის ამხანაგებს.

ორ თვეზე მეტია არჩილი დღე და ღამე მინდორშია. მისი ტრაქტორი „დტ-54" ჯერ არავის უნახავს გამცდარი. საგაზაფხულო ხვნა 80 ჰექტარის მაგივრად 220 ჰექტარზე ჩაატარა, აოშვა კი — 100 ჰექტარზე. ნაცვლად 100 ჰექტარისა 140 ჰექტარი დაფარცხა, დათესა 154 ჰექტარი, აქედან 60 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდოვრივი წესით. ამ საშუალების ჩატარების დროს 500 კილოგრამი საწვავი დაზოგა და 878 მანეთის სათადარიგო ნაწილები შემოინახა.

როცა სამხარაძე კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესავდა, პირველ დღესვე სათესი მანქანის მავთული გაწყდა. ორი თუ სამი საათი გაუცდა.

ძალიან ღელავდა არჩილი; ყველაზე მეტად იმაზე მოსდიოდა გული, რომ მოხუცი კოლმეურნე, რომელიც საერთოდ სოფელ ყელქცეულში იმითაა ცნობილი, რომ მეტისმეტად დაუჯერებელია და ყოველივე ახალს ეჭვის თვალით უცქერის ხოლმე, თავისებურად ალაპარაკდა.

— მოდი, როგორც ჩვენი მამა-პაპები თესდნენ, ჩვენც ისე ვთესოთ, რადგან ეს უფრო საიმედოა. ხომ ხედავთ, ისედაც დაგვიანებით ვთესავთ და ახლა ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლებაო, — ამბობდა იგი და თავის გაუთავებელი წუწუნით არჩილს ნერვებს უშლიდა.

ტრაქტორისტმა უსმინა, უსმინა მოხუცს და გულმა ვეღარ მოუთმინა.

— რა გალაპარაკებს, ძიაკაცო, — უთხრა მან მოხუცს, — ასეთი წესით თესვა ყოველმხრივ ხელსაყრელია, მუშახელიც ნაკლებია საჭირო, დამუშავებაც იოლია, ნიადაგიდან მცენარის კვებაც უკეთესად წარმოებს და რწყვაც კარგ შედეგს გვაძლევს.

— საიდან იცი ყოველივე ეს, შვილო?

— საიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან.

— ჩემი ჟურნალ-გაზეთები კი აი ეს მიწაა, — თქვა მოხუცმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ და მიწას ხელისგული დასცხო, — სანამ მოსავალს არ დავინახავ, შენ ნათქვამს მე ვერ დავიჯერებ.

ისე მოხდა, რომ როცა სამხარაძე ამ ნაკვეთის კულტივაციას ატარებდა, ისევ ეს მოხუცი კოლმეურნე იყო ტრაქტორზე მემინდვრედ. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტორისტს პირველად უხდებოდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი ნაკვეთის კულტივაცია, მთელი დღე შეუსვენებლად იმუშავა და გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

საღამოხანს, როცა ტრაქტორი ნაკვეთის ბოლოში გაჩერა, სამხარაძე მოხუცს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— ახლა რას იტყვი, ბიძაჩემო, მიწამ გაამართლა თუ არა ჩემი ნათქვამი?

მოხუცმა დასტურის ნიშნად თავი ჩაიქნია და ჯერ კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ ნაკვეთს გადახედა, შემდეგ მის მეზობელ ნაკვეთს, რომელიც მწკრივად იყო დათესილი. არჩილმაც გახედა ჯერ ერთ, მერე მეორე ნაკვეთს და მიხვდა თუ რის თქმა უნდოდა მოხუცს.

კვადრატულ-ბუდობრივად დათესილ ნაკვეთში თითქმის ორჯერ მაღალი იყო გათამამებული სიმინდი.

— მჯერა, შვილო, მჯერა, — მიუგო შეგვიანებით მოხუცმა, — მხოლოდ ერთსა გთხოვ, თუ ვისმეს უამბო ეს ამბავი, არ თქვა, რომ ეს მე ვიყავი. სოფელში უამისოდაც „ურწმუნო თომას" მეძახიან. წინათ ამას არაფრად ვაგდებდი, რადგან მაშინ ჩემისთანა სხვაც ბევრი იყო, ახლა კი ეს, სიმართლე რომ გითხრა, მეთაკილება.

არჩილ სამხარაძეც უსრულებს მოხუცს თხოვნას. როცა ამ ამბავს მოყვება, არავის ეუბნება, თუ ვინ იყო ეს კოლმეურნე, მაგრამ მთელმა ყელქცეულმა იცის, თუ ვინ არის იგი; ამ სტრიქონების დამწერმაც იცის მისი სახელი და გვარი, მაინც არ ასახელებს. დე, ნუ დაემდურება მოხუცი მოწინავე კომკავშირელ ტრაქტორისტს. მოხუცმა ხომ თვითონვე გაიგო ყველაფერი.

ახლა არჩილ სამხარაძე ანეულს ხნავს ყელქცეულის ტრიალ მინდორზე. მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი დაგვალული ყოფილა, ხვნის გეგმას გადაჭარბებით ასრულებს და საშუალოდ 13-14 ჰექტარს ხნავს.

სამხარაძე ტრაქტორისტიც კარგია და ამხანაგობაც კარგი იცისო, ამბობენ მის შესახებ შინდისის მტს-ის ტრაქტორისტები. ყველას უყვარს ის შიღირებული 19 წლის ბიჭი. ყველა ემადლიერება სამხარაძეს — მტს-ის ხელმძღვანელები, კოლმეურნეებიც და საკუთარი ამხანაგებიც, მაგრამ სხვებზე მეტად მისი მადლობელი დომენტი ბუზალაძე და ანზორ გამგებელი არიან, რომლებიც მის ტრაქტორზე მიმბმელებად მუშაობენ. სწორედ სამხარაძის რჩევით წავიდნენ დომენტი და ანზორი სურამის სატრაქტორო სასწავლებელში, რომელიც ორივემ წარმატებით დაამთავრა. ახლა ისინი სამხარაძის დახმარებით სკოლაში მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად იმტკიცებენ.

დომენტი ბუზალაძეს უძნელდებოდა ტრაქტორის მუხრუჭების რეგულირება, უმისოდ კი ნაკვეთის თავსა და ბოლოს უხარვეზოდ ვერ მოხნავ. სამხარაძის გამოცდილმა თვალმა ადვილად შეამჩნია ამხანაგის ეს ნაკლი. ის მთელი დღე ტრაქტორზე გვერდით უჯდა მიმბმელს და ასწავლიდა მუხრუჭების რეგულირებას.

სამხარაძემ ანზორ გამგებელსაც ბევრი რამ ასწავლა. დღეს-ხვალ დომენტი ბუზალაძე და ანზორ გამგებელი, რომლებიც 15 წლის ბიჭები არიან, ტრაქტორებზე დასხდებიან და მოწინავე ხაზზე, სადაც მოსავლის ბედი სწყდება, გვერდში ამოუდგებიან თავიანთ მოამაგე მეგობარს არჩილ სამხარაძეს.

ი. ურჯუმელაშვილი

ფოტოზე: არჩილ სამხარაძე

მაქს ციმერინგი

მშვიდობის მდინარე

კალაპოტი ძველია და
წყალი—ისევ ის ოდერი,
არ შეცვლილა ბუნება და
მდინარეთა მდინარეს—
მაგრამ ღამით ოდერის წყალს
შეუცვლია თითქოს ფერი,
ამ პატარა ცვლილებაში
დიდი საქმე იფარება.
სასტიკ ომში დაღუპულთაც,
წყლის ფსკერზე რომ ჰქონდათ ბინა,
ნატყვიარი სახით თითქოს
გაიღიმეს, იგრძნეს შვება;
თითქოს დაშრა სისხლის ცრემლი,
ხანძრის ბოლმა რომ გვადინა,
შუღლისა და სიძულვილის
ჭაობებიც იქვე შრება.
ახსოვს ოდერს: კაცი იყო
კაცისათვის მარტო მტერი,
გზად ხვდებოდა მხოლოდ გვამებს,
ბორკილსა და საპყრობილეს;
პოლონეთს და გერმანიას
ჰყოფდა—სისხლი და ოდერი,
დღეს—სიძნელეს მათთან ერთად
სძლევს და ხალხებს აძმობილებს.
რა ოცნება აგვისრულდა,
რა ნეტარი დრო მოგველის!
მზის ქვეყნიდან შუქი მოდის
—ძველი შუღლი დასწვა ერთა.
გვეძმო რუსი, ძმაზე მტკიცე,
ძმად გაგვიხდა პოლონელი,
და მშვიდობის დღესასწაულს
ჩვენც ვზეიმობთ, მასთან ერთად.
დომბროვსკის * და ბერუტის ხალხს,
ძმასავით რომ შეგვეთვისა,
ნუღარ მივცემთ იმის საბაბს,
რომ დასწყევლონ გერმანია!
დე, გვიწოდონ მოძმე ხალხი,
ხალხი მარქსის, ენგელსისა,
ნუ შევარცხვენთ რკინის რაინდს,
რომლის გვარიც ტელმანია.
აღარ გვინდა საუკუნო
ძარცვისა და წვის დიდება,
რაზეც მხოლოდ პირსისხლიან
მკვლელებს უყვართ ლაპარაკი,
და ყველაზე საოცნებო
გამარჯვება ის იქნება,
რომ გვიწოდონ მეზობელი,
გერმანელი ამხანაგი.

გერმანულიდან თარგმნა
აკაკი ჭკადუა

---

* დომბროვსკი—პარიზის კომუნის გმირი, პოლონელი.

ბოროტი ენა

გაკვეთილი

ანდრე სგილი

მოთხრობა*

ნახ. ალ. ბანძელაძისა

რა მოსაწყენი სამუშაოა, თითქოს დიდმა მძიმე უთომ ხელი წაართვა მარგარიტას. მართლაც უთოსგან მთელი სხეული იღლება: დილიდან საღამომდე მარტო უთოა მარგარიტას მეგობარი. გეგონება, წითლად გახურებულ თუჯიდან ნაკვერჩხლების ციმციმი გამოკრთოდეს. მოსაწყენი გარემოებაა, მარგარიტა მუდამ მარტოა ოთხ კედელშუა. ჩაყვითლებული შპალერი ადგილ-ადგილ აბურცულა და სიჩუმეში ისმის ფარდახტიდან ჩამონანგრევის შრიალი, თითქოს მოუსვენრად დარბოდნენ თაგვები.

ბრტყელ ფიცარზე სრიალებს უთო. თეთრეულის ორთქლი ავსებს პატარა სამზარეულოს სიცალიერეს. ცურავს უთო და მარგარიტას თავს სხვადასხვა ფიქრები დასტრიალებენ. ფიქრები ხან შორს მისცურავენ და გრძელდებიან, როგორც დაჭიმული ძაფები. ზოგჯერ თეთრეულის პატარა ამობურცული ნაოჭი შეაჩერებს ხოლმე ხელის თანაბარ მოძრაობას და, როგორც წითელი ყაყაჩო, ოქროსფერი ყანის შუა გულში, ისე იფეთქებს წარსულზე მოგონება, ხანდახან იმდენად ტკბილი და საამო, რომ მარგარიტას ხელი უჩერდება და თეთრ ტილოზე ავიწყდება ცხელი უთო. იტაცებს მაღლა, მაგრამ თეთრეულს ჩრდილივით აჩნდება შავი დაღი. უცბად გონს მოვა, უთოს სწრაფად

დიდი ხანი არ არის, რაც სტანი და მარგარიტა დაქორწინდნენ. როდესაც სტანი წაიყვანეს, მარგარიტამ მხოლოდ მაშინ იგრძნო ფეხმძიმობა. ისინი ჯერ კიდევ იმ განცხრომის შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ, როდესაც ყოველი კოცნა, ყოველი ტკბილი სიტყვა და ყოველი აზრი ერთმანეთს ჰმატებდნენ რაღაც ახალს... ახლა მარგარიტას თავისი თავი ფიზიკურად განადგურებულ ადამიანად მიაჩნია. თითქოს მისი ოცდარვა წლის ჯანმრთელი სხეული უკვე ჭანება. საკმარისია ერთი პატარა ბიძგი და ახალგაზრდობაც ჩაქრება.

პატარა, დახუთულ სამზარეულოში წარსული უცნაურ და ბუნდოვან სახეებში აგონდება მარგარიტას. ამ მოგონებას ვერც ფიქრს უწოდებ და ვერც ოცნებას. სისხლი საფეთქლებს აწვავა და აჩქარებულად მოძრაობს ტყვიის მილების მსგავს მოლურჯო ფერის ვენებში, იგი გულს აწყდება სქელ ღვინოსავით, რომელიც ძნელად გადადის ბოთლის ვიწრო ყელში. გულის ყოველ ცემაზე, მარგარიტა მოუსვენრად ყლაპავს ნერწყვს.

იგი სწრაფად ამოძრავებს ხელს. უთოს რამდენიმე გასმა-გამოსმით სუფრას შუაზე ჰკეცავს. ცოტა ხანიც და სუფრა უკვე დაუთოებულია. მარგარიტა კარადაზე აწყობს დაუთოებულ სარეცხს, რომელიც ბოლოს ისე აკოკლავდა, რომ დაფარა იქვე მიყუდებული სტანისლავის სურათი, მარგარიტამ ხელი ჩაყო წყლით სავსე ჯამში და გამშრალი, დასაუთოებელი სარეცხი დანამა. სარეცხს არც კი აკვირდება, რაც მოხვდება ხელში, იღებს და აუთოებს.

ეს ამოიღო კაცის პერანგი და მაგიდაზე გაშალა. უხეში ნაჭრისაგან შეკერილი, მუქზოლებიანი პერანგი, მეტისმეტად ბევრი რეცხვისაგან მთლად გაცრეცილიყო.

სტანისლავი... ხეივანში სეირნობა ზამთარში უკვე შეუძლებელი იყო. ორივეს უყვარდა მდინარე შელდის ნაპირები. იქვე მახლობლად მაღაროში ძრავი ხმაურობდა, თითქოს ძგერდა უზარმაზარი გული გარშემო მდებარე ბუნებისა. ხშირად მარგარიტა და სტანი მიწის სიღრმეში მომუშავე მუშების ძახილისაგან შეკრთებოდნენ ხოლმე. მუშები იქ ხე-ტყის მასალას გროვად აწყობდნენ, ან დატვირთულ ვაგონეტებს სცლიდნენ. მათი ხმამაღალი ლაპარაკი ერეოდა ვაგონეტების უზესრიგო ჯახაჯუხში, როცა ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ.

აი, ამ ორომტრიალით მოცულ მიდამოში ერთმანეთს შეხვდნენ სტანი და მარგარიტა. ცივი დღე იყო, მაგრამ ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს.

იცოდნენ თუ არა მათ, რომ ომი ახლოვდებოდა? ფიქრობდნენ ისინი ომის საშინელებაზე? ამის მოგონება, ახლა არ ღირს, რადგან ის რაც შემდეგ მათ განიცადეს, ათასჯერ უფრო საშინელი აღმოჩნდა. ამასთანავე სტანისლავი არ იყო ლაპარაკის მოყვარული, ფრანგული არც იცოდა კარგად, უცნაურად ურევდა ერთმანეთში ფრანგულ და პოლონურ გამოთქმებს.

როგორც ყოველი პოლონელი, სტანისლავი მეტად ხალისიანი ყმაწვილი იყო. კვირაობით იკეთებდა ფართო უჯრებიან ღია ფერის წითელ, ან ყვითელ ჰალსტუხს და დიდი კვანძით იკრავდა. თეთრი პერანგის საყელო გადაღეღილი ჰქონდა. მეტისმეტად დიდი კვანძის გამო ჰალსტუხის პატარა ბოლოღა რჩებოდა, რომელიც ძლივს ფარავდა მის შიშველ მკერდზე ღია ფერის ბალანს.

მარგარიტას ღუმელიდან გრძელი საკეცით ნაკვერჩხალი გამოაქვს და ხისტარიან უთოში ჰყრის. სავსე უთოს აქანავებს და კუთხეში ნაკვერჩხალს საკეცის წვერით ასწორებს. მას ეჩვენება, თითქოს საკეცი მის მტკივნეულ ჭრილობაში შედის და სხეულს სწვავს. იგი უბერავს უთოს რათა ნაკვერჩხალი უფრო გაღვივდეს. შემდეგ უთოს ხურავს და იმისათვის, რომ ხელი არ დაიწვას, იცვამს ხელთათმანს...

სტანი, სტანი... იგი პირველი დაპატიმრეს და ისე წაიყვანეს, რომ არ უთქვამთ, სად მიჰყავდათ. იგი წაიყვანეს მაშინ, როდესაც 1941 წელს მაღაროში გაფიცვამ იფეთქა. მარგარიტამ მის შესახებ არაფერი არ იცოდა მანამდის, სანამ არ დაბრუნდნენ გერმანიაში წაყვანილები. დაბრუნდა სოფელ გლისინია მცხოვრები სტეფან ლელეკიც, რომელიც სტანისლავთან ერთად დააპატიმრეს. ლელეკმა მარგარიტას შეატყობინა, რომ სტანი დაიღუპა ბანაკში, იგი დასწვეს ღუმელში, „ფერფლად აქციეს“.

მარგარიტას ყველაზე მეტად უძნელდებოდა ბავშვის მოვლა, რომელიც იმ დროს მეოთხე წელიწადში გადადგა. წინათ, როდესაც მარგარიტა სამსახურში დადიოდა, პატარა მიმის თავის მოხუცებულ, ყრუ დედას უტოვებდა ხოლმე, და ამიტომ ბავშვი ნელა ვითარდებოდა, თითქმის ვერ ლაპარაკობდა. მარგარიტას იმედი ჰქონდა, რომ საცაა ქმარი დაუბრუნდებოდა და მიმე დღეებს ბოლო მოეღებოდა. ბავშვი მათთან ერთად იცხოვრებდა და თავის თანატოლებს დაეწეოდა. მაგრამ იმედი არ გამართლდა, სტანისლავი დაიღუპა და ბავშვი დარჩა დედის ანაბარა. მარგარიტა იძულებული შეიქნა ფეხსაცმელების ქარხანაში სამსახურისათვის თავი დაენებებინა და სამუშაო კერძოდ აეღო—იგი შარვლებს ჰკერავდა მზა ტანსაცმელის მაღაზიისათვის. მიმი ხანდახან საათობით გაუნძრევლად იჯდა და გაშტერებული უყურებდა ან დიდ მაკრატელს, რომლითაც მარგარიტა მაუდს სჭრიდა, ან—საკერავი მანქანის ფოლადის ნემსს, რომლის სწრაფი მოძრაობა აზანზარებდა პატარა ოთახს. მარგარიტა გრძნობდა, რომ მას უყურებდნენ ფართე, მოუსვენარი, მაგრამ ჩამქრალი თვალები. იგი თავის შვილს ხშირად ეტყოდა ხოლმე:

— წადი, მიმი, რამე სხვა საქმით გაერთე, ან ირბინე, ან ითამაშე!

მიმი გვიან მოვიდოდა გონს. ზოგჯერ შეხტებოდა კიდეც, თითქოს მძინარე—ვისმეს გაეღვიძებინოს. ხანდახან დედასთან ერთად ისიც კერვას დაიწყებდა: დედა წინდების საკერებელ მსხვილ ნემსში გაუბნევდა ხოლმე მსხვილ ძაფს და იატაკიდან აკრეფილ მაუდის ნაკუწებს მიმი ერთმანეთზე აკერებდა. ჰკერავდა ნაძალადევად, უხალისოდ და მხოლოდ მაშინ შეჩერდებოდა, როდესაც ძაფი შემოაკლდებოდა.

მიმი მეტად უსიცოცხლო ბავშვი იყო. იგი მოგაგონებდათ პატარა მანქანას, რომელიც აამუშავეს და შეჩერება კი დაავიწყდათ. საკვირველია, სტანიც და მარგარიტაც ორივენი ჯანმრთელები იყვნენ. თვითონ ბავშვიც, როდესაც დაიბადა, ჯანმრთელს ჰგავდა. სიცოცხლით სავსე სასაცილო სახეზე დიდი შავი თვალები უბრწყინვადა, პატარა ხელებსა და ფეხებს ღონივრად აფართხალებდა და ხმამაღალი ჭყივილი მისი ფილტვების სიმაგრეს ამტკიცებდა. „ზედგამოჭრილი სტანისლავია“, ეუბნებოდნენ მარგარიტას პოლონელი მეგობრები.

მარგარიტას შინ აღებულ კერძო სამუშაოებზედაც დიდხანს არ უმუშავნია. გაფიცვების ბრალი იყო ეს, თუ იმისი, რომ მარგარიტასთანა ხელოსნები ათასობით იყვნენ, და სახელოსნოში საქმეები ვერ მიდიოდა კარგად—მარგარიტას დაკვეთებს აღარ უგზავნიდნენ. შეკერილი ტანსაცმლის წაღებასაც აგვიანებდნენ. მარგარიტამ ბავშვი ისევ ბებიასთან გაგზავნა—ბებიას მიმი ძალიან მონატრებოდა. თვითონ კი სხვა სამუშაოს ძებნას შეუდგა. ორი თვის განმავლობაში ვერაფერი იპოვა და იძულებული შეიქნა სტანის აკორდეონი მიეყიდნა მეძველმანესათვის, რომლის ზარის რეკვას ყოველ დილა ოროშანათით მარგარიტა ცდუნებაში შეჰყავდა.

მარგარიტას ზოგიერთმა პოლონელმა მეგობარმა შინა მოსამსახურის ადგილი იშოვნა, ვანდა ამბობდა: იქნებ მარგარიტაც მოეწყოს ისეთ ოჯახში, სადაც შემდეგ ბავშვის მეფეანის ნებასაც მისცემენო. მართლაც მარგარიტამ ადგილი იშოვნა მობეჭის მიდამოებში, ერთ-ერთ ფერმაში. თავისი სახლიდან ასე შორს ის არასოდეს არ წასულა და არც ისეთი ბუნება უნახავს ოდესმე, რომ მაღაროები არ ყოფილიყო. რამდენიმე კვირის შემდეგ მარგარიტამ იგრძნო ახალი სიო. თავს იქ უცხოდ არა გრძნობდა. ქარხნების ქალაქში, რომელიც მოთავსებული იყო სემბრის აუზში, ბევრი რამ ჰგავდა მშობლიურს: ისეთივე დიდი, შავი სახლები, ისეთივე უბრალო ხალხი... მარგარიტა ადვილად შეეჩვია ცეცხლისა და რკინის კუთხეს სადაც მთელი დღე-ღამის განმავლობაში ისმოდა ხველების ხმა, თითქმის მოსახლეობას სემბრის წყალი ბევრი დაულევია და მოსვენება დაჰკარგვიაო. მაღლობზე, სადაც გაშენებული იყო ფერმა, მარგარიტას ყოველთვის ესმოდა მანქანების ხმაური, თითქოს რომელიღაც დევგმირის ხელი რკინეულის ნამსხვრევებს აზანზარებდა. ბოლოს გამოირკვა, რომ ბავშვის იქ მოყვანა ყოვლად შეუძლებელი იყო. იგი ფერმაში ხანდახან მარტოდმარტო უნდა დაეტოვებინა, ეს კი საშიში იყო: შეიძლებოდა საქონელს ან ძაღლს შეეშინებინა ბავშვი, გარდა ამისა, იგი შეიძლება წუმპით სავსე ღრმა ორმოში ჩავარდნილიყო, რომელიც გარშემო ლიპი ქვებით იყო მოფენილი.

მარგარიტა თავისიანებზედაც დარდობდა.

აი, ამიტომ დაბრუნდა მარგარიტა სოფელში და ხელი მიჰყო მესარეცხეობას. მას მუშაობა უძნელდებოდა; არა ჰქონდა არც ელექტრონის უთო და არც ელექტრონის სარეცხი მანქანა. მარგარიტა ომის წინა დღეებში გათხოვდა. ქმარი მაშინვე დაუპატიმრეს და ამიტომ ვერაფრის შეძენა ვერ მოასწრო. მას ჰქონდა ძველებური, მოუხეშავი სარეცხი მანქანა. რეცხვას დიდ დროს ანდომებდა და დიდი ღონის დახარჯვაც სჭირდებოდა. მაგრამ მარგარიტას ყველაზე მეტად ის სტანჯავდა, რომ ყველაფერი, რაც კი მას ებადა, მუდამ აგონებდა სტანის. შეუდგებოდა თუ არა მუშაობას სტანი თვალწინ წარმოუდგებოდა, რადგან მისი პირველი დაპირება იყო: ელექტრონის სარეცხ მანქანას გიყიდიო. მარგარიტას აგონდებოდა, თუ როგორ უამბობდა სტანი თავისი ბავშვობის გაჭირვებულ და უნუგეშო მდგომარეობას. მას ახლაც ესმის მისი დამახინჯებული ფრანგული ლაპარაკი:

„ჩემი დედა ქალს აღარა ჰგავს... იგი მძიმე მუშაობამ და ჯაფამ მთლად დაამახინჯა. მე იგი ძალიან მიყვარდა, მისთვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი, მე მწყინს, რომ ჩემი დედა ბევრი მუშაობის გამო ლამაზი აღარ არის... შენ კი, მინდა, რომ მუდამ ლამაზი იყო!..“ მარგარიტა მარჯვენა ხელით სარეცხი მანქანის სახელურს ეწევა თავისკენ, ხან წინ, მერე ისევ თავისკენ... და ასე დაღამებამდე. რა საშინელი სამუშაოა! მუშაობ სანამ ქანცი არ გამოგელევა.

„ჰო, მარგო, დედას მძიმე სამუშაო ჰქონდა. რაცა ბევრი სარეცხი შეგროვდებოდა, ან როცა დიდი ნაჭრები იყო: სუფრები, ზეწრები, მეხვეწებოდა შემეშველეო. მანქანის მეორე ტარს ჩაჭიდები ხელს, გავჩერდებოდი დედაჩემის პირდაპირ და ვაკეთებდი ისეთსავე მოძრაობას, როგორსაც დედაჩემი. მხოლოდ ის წაღმა, მე უკუღმა, ერთნაირი რიტმით, თითქოს ორივენი ერთად რაღაც საშინელ ცეკვას ვასრულებდით.

განსაკუთრებით გულისმომკვლელი იყო, როდესაც დედას სახეს ვაცქერდებოდი. თვალები მოღლილი და უშინაარსო ჰქონდა. შუბლზე საპნის ქაფი მოხვდებოდა ხოლმე, ატრიალებდა ტარს და თან მაჯით სახეზე ოფლს იწმენდდა ისე რომ მუშაობას არა სწყვეტდა, არ

* ვბეჭდავთ მცირედი შემოკლებით (რედ.).

ჩერდებოდა. ოფლი სახეზე კვლავ მძივებად ასხდებოდა“...

სტანი ფიქრობდა იმ დედებზე, რომლებიც აუწერიათ წიგნებში, ხომ გვხვდებიან ისეთი დედები, რომლებსაც აქვთ დრო და მოცალეობა ასწავლონ და აღზარდონ თავიანთი შვილები. მარგარიტა ატრიალებდა სახელურს და თან ისმენდა სტანის ლაპარაკს: „გაიგე, მარგო, იმისათვის, რომ შენ ბედნიერება მოგიპოვო, შური უნდა ვიძიო“. მარგარიტას ესმოდა, რისი თქმაც სურდა სტანის: შურისძიება იმ უბედურებისათვის, რომელიც გამოიარა მოხუცმა დედამ. სტანი ჯერ იმ ასაკში იყო, როდესაც ერთგულების გრძნობა შუა იყოფა დედასა და ცოლს შორის, მას დედაც ებრალებოდა და ცოლიც. ამ გრძნობას ზოგიერთი იოლად უცქერის, მაგრამ სტანი სულ სხვა ადამიანი იყო და ამიტომ დაპატიმრეს კიდეც გაფიცვისათვის.

შემდეგ დადგა დრო, როდესაც პოლონელებმა ნელ-ნელა იწყეს სამშობლოში დაბრუნება. ჯერ სტანის მშობლები წავიდნენ და თან წაიყვანეს სტანის უმცროსი ძმა, ოცდახუთი წლის ბოლეკი—ისიც მემაღაროელი იყო. ძლივს ასრულდა მოხუცთა საამო ნატვრა, ასრულდა გულში ჩამარხული დიდი ხნის იმედი. ან კი როგორ არ დაჭკნა ეს იმედი, ხომ დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი სამშობლო დასტოვეს, დრომ სიღარიბისამ და დრომ საშინელი ქაოსისამ, რომელიც ჯერ კიდევ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა მოიტანა.

რაც შეეხება ბოლეკს, მისი იმედი სამშობლოს მადლიან ნიადაგზე უნდა გაფურჩქნულიყო. ბოლეკის მსგავსი სხვა ათასი ადამიანის გულებიც უფრო ძლიერად აძგერდნენ, თითქოს მათთვის შემოტრიალდა ზეცა, აღმოსავლეთის ცისკარმა ამოანათა და მოძრაობაში მოვიდა იმ ტბორის მსგავსად, რომლიდანაც წყალი ჯერ ძნიმედ და შემდეგ აჩქარებული მოექანება. თითქოს შუაღამისას მათ დილა გაუთენდათ. ყველა, პოლონელი და ფრანგი გრძნობდა ამ მოძრაობას, ხოლო მარგარიტასათვის ყოველი ახალი გამგზავრება ისეთი მტკივნეული იყო, თითქოს მის გულს წვეთ-წვეთად აკლდებოდა სისხლი.

რა სწრაფად გადიან წლები, როდესაც თავს მოხუცებულად გრძნობ. მას შემდეგ, რაც ვანდა გაემგზავრა სამშობლოში, უკვე ორი წელი გავიდა. იგი მარგარიტას ყოველკვირა უგზავნის ვრცელ წერილებს, ხოლო მარგარიტას არაფერი ჰქონდა მისაწერი. იგი მხოლოდ ათიოდე სტრიქონს თუ მისწერდა და ისიც გაჭირვების ამბით აღსავსეს. ვანდას წერილებიდან ბრწყინვალება გამოკრთოდა, ის საბრალო ათიოდე სტრიქონი კი, რომლითაც მარგარიტა უპასუხებდა, გამჭვირვალე წყალში გადაყრილ კენჭებს წაგავდა. ვანდა სულ უფრო და უფრო კარგად სწერდა ფრანგულად. ეს წერილები მისთვის ყოველკვირეული ვარჯიში იყო. ამის გარდა, მან დაიწყო სამსახური, იქ სადაც ფრანგული ენა უფრო საჭირო იყო, ვიდრე პოლონური. მარგარიტას ასევე წესიერად სწერდა წერილებს სტანისლავის და—სტეფანიაც. იგი გათხოვდა პოლონელ მემაღაროელზე და უკვე ბავშვიცა ჰყავს. სტეფანია სწერდა მარგარიტას, რომ საფრანგეთში ყოფნისას, მას აზრადაც არ მოუვიდოდა, ასეთი ბედნიერი თუ იქნებოდა.

საცაა სკოლიდან მიმი მოვა... ის ყოველთვის სხვა ბავშვებზე გვიან ბრუნდება. მიმი ისეთი დაბნეულია, რომ მას ყველაფერი ავიწყდება. მოიზლაზნება ნელი ნაბიჯით, ყოველ წუთს ჩერდება და უყურებს ხან ღობეზე მიბმულ ძროხას, ხან ნაფოტების გროვაზე დამჯდარ გზის მუშას, რომელიც საუზმეს შეექცევა, ხან ქარისაგან დაბზრიალებულ ფლიუგერს, ხან კი უბრალოდ დადგება და დგას გაშტერებული, თითქოს შინ დედა არ ელოდებოდეს. აი, იანვარში უკვე რვა წლისა ხდება, მაგრამ ისეთი ბავშვი არ არის, როგორიც უნდა იყოს.

სკოლაში სწავლის დროს მიმი ვერაფერს ვერ იხსომებს „ერთი წუთითაც კი ვერ შეაჩერებ მის ყურადღებას რომელიმე საგანზე“, ამბობდა ხოლმე ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი მიშო, რომელიც დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ბავშვს და ცდილობდა სწავლის სურვილი აღეძრა მასში. მარგარიტამ ბავშვი ბებიასაგან გვიან წამოიყვანა, ამიტომ მიმი ჩამორჩა; საეჭვოა, თავის თანატოლებს დაეწევა, თუ არა. ხანდახან მისი თვალები სრულიად უაზროდ გამოიყურებიან. ბავშვი ობოლია და აი, ამიტომ დაემართა ასე. თუმცა მარგარიტა თავის თავს არწმუნებდა, რომ ბრალი არ მიუძღვის. უფრო ადრე დრო არა ქონდა, ყურადღება მიექცია შვილისთვის, მაგრამ მარგარიტა გულში მაინც ამტყუნებდა თავის თავს, ეძებდა დანაშაულს და რაზედაც არ უნდა ეფიქრა, მაინც ამ ტკივილს უბრუნდებოდა. „ჩემს სიცოცხლეში ასეთი უჯულისყურო ბავშვი არ მინახავს,—ამბობდა მადმუაზელ მიშო—არაფერი არ ეხალისება, არაფერი არ აინტერესებს, სწერს მეტად უყურადღებოდ, გათხაპნილი ასოებით, აწვება კალამს, თითქოს გატეხვა უნდოდეს, ყველაზე ძნელად იხსომებს ლექსს და სიმღერას, ჯანსაკუთრებით—სიმღერას, მეორე დღესვე ივიწყებს, მაგრამ იცით,—დაამატებდა ხოლმე მადმუაზელ მიშო—ხდება ხოლმე, რომ ასეთი ბავშვები უცბად იცვლებიან. მათში უეცრად იღვიძებს ნიჭი და მეხსიერება. დიახ, გარწმუნებთ ხშირად ხდება ხოლმე“. მარგარიტას ასეთი სასწაული თითქმის აღარ სჯეროდა. მაგრამ სტანისლავმაც ბავშვობაში გვიან აიდგა ენა. შესაძლებელია, გვიან განვითარება და დაბნეულობა მისგან გამოჰყვა მიმის. ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს? მარგარიტას რაკი ერთი აზრი გაუელვებდა თავში, მას ვიღარ იცილებდა. აი, ესეც დიდი ხანია აჰკვიატებია და თანა სდევს მას: „შეიძლება სტანი ცოცხალი გადარჩა და დაბრუნდა პოლონეთში. შესაძლებელია მძიმედ იყო დაჭრილი, გონება აღარ ჰქონდა“,—ეს აზრი მარგარიტას პოლონეთში წასულებთან აკავშირებდა უფრო ძლიერად, ვიდრე სტეფანიას წერილები, ვიდრე ვანდასაგან გამოგზავნილი ფოტოგრაფიული სურათები. როდესაც ახლახან ორი პოლონელი დაპატიმრეს და საფრანგეთიდან გადაასახლეს, ამან მარგარიტაზე ძალიან იმოქმედა. თითქოს გარეწარებმა მარგარიტას და პოლონელ მეგობრებს შორის გაწყვეტეს ძაფი, რაც მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასი იყო, შეიძლება ვანდასთან და სტეფანიასთან მიწერ-მოწერაც აუკრძალონ? აქამდის მარგარიტა თავის მტრებად მხოლოდ იმათ თვლიდა, რომლებმაც 1941 წელს შეიპყრეს სტანი. ისინი მარგარიტას სახეში სცემდნენ იმის გამო, რომ ყვიროდა—„გვიშველეთო“. ძახილზე მოსცვივდნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები, რომლებიც წყევლით ეკვეთნენ ჰიტლერელებს. ისინი ორნი იყვნენ, მათ შეეშინდათ და ავტომატები მოიმარჯვეს, ასე წაათრიეს სტანი...

იმ პირუტყვებმა სტანის დაპატიმრების შემდეგ ჩაკლეს მარგარიტას უკანასკნელი იმედი.

ახლა მარგარიტა ცხადად ხედავს მხოლოდ იმას, რაც მოხდა სინამდვილეში. რამდენიმე დღის წინათ მარგარიტამ კიდევ გაუმეორა მეზობელს: „სტანი დასწვეს კრემატორიუმში, ფერფლად აქციეს, როგორც სთქვა ლელეკამ“... მიმი იქვე კუთხეში გაუნძრევლად იჯდა და ლაპარაკს ისმენდა. თუმცა ვერ გაიგებ, როდის ისმენს და როდის არა? დედას მიმის თანდასწრებით არა ერთხელ ჰქონია ლაპარაკი სტანის დაღუპვის შესახებ. ეს იყო ყველაფერი, რაც ბავშვმა თავისი მამის შესახებ იცოდა.

აი, მიმიც! იგი სკოლიდან ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. მას რაღაც უჩვეულო გამომეტყველება აქვს. იგი ცეკვით მორბის, იცინის. განცვიფრებული მარგარიტა თვალს ადევნებს მას. მიმი სწრაფად შემოიჭრა ოთახში. შარფი გვერდზე მოქცეოდა. პალტოს ღილი ამოგლეჯოდა, ეტყობა ბავშვი ისე გაზრდილა, რომ შიგ აღარ ეტევა.

— დედა! დედა! ხუთიანი მივიღე, ხუთიანი!

ეს მიმისთვის პირველი შემთხვევა იყო. მარგარიტამ დაასკვნა, რომ შვილი გამოუჯანმრთელდა. ეს მიმის პირველი, ნამდვილი სიხარული იყო, პირველი მხიარული ღიმილი—ამ რვა წლის განმავლობაში.

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო, ჩემო პატარავ! ახლა გაიხადე, პალტო წესიერად დადე სკამზე, აი, მეც მოვრჩები საქმეს და ყველაფერი მიამბე.

* * *

— საით მიეჩქარებით, მადმუაზელ მიშო?

შეეკითხა სკოლის დირექტორი მადმუაზელ მიშოს ისეთივე მკაცრი ხმით, როგორითაც ელაპარაკება ხოლმე მოწაფეებს.

მიშლინამ არაფერი უპასუხა და სწრაფად გავიდა გარეთ.

როდესაც მიმის ხუთიანი დაუწერა, მიშლინა უცებ ყველაფერს მიხვდა. იგი გაკვეთილის დამთავრებამდე თავს ძლივს იმაგრებდა, ცდილობდა არ ატირებულიყო ბავშვების თანდასწრებით. ქუჩაშიც ძლივს იკავებდა ტირილს, ისიც საკმარისი იყო, რომ გიჟივით მიაბიჯებდა. იმ სიცივეში პალტო გახსნილი ჰქონდა, მირბოდა და არ აქცევდა ყურადღებას ხალხს გაკვირვებულ სახეებს.

სწრაფად შევიდა სექციების შენობაში. მოხუცი გრენუარი ჩვეულებრივად იჯდა პირველ ოთახში და ქაღალდებში

გახვეულ ბროშურებს დინჯად ხსნიდა. პირზე ღიმილი მოსდგომოდა, თითქოს ამბობდა: „ამის გაყიდვა არც ისე ადვილია, ყოჩაღები ვართ, ყოჩაღები“... მიშლინამ იცოდა მოხუცის ასეთი ჩვეულება.

— ლუი აქ არის, გრენუარ?

მიშლინამ ეს ხმამაღლა იკითხა, თითქმის ყვირილით, მაგრამ მოხუცს არაფერი არ შეუმჩნევია. იგი მას მხიარულად შეხვდა და ხუმრობით უთხრა:

—აქ არის, გეტყობა, გიჩქარნია, მაგრამ შენ რომელი ლუი გინდა? სექციების გამგე, თუ შენი ძვირფასი?

— ორივე, გრენუარ!—უპასუხა მიშლინამ და ლუის ოთახის კარები მიაღწია. მხოლოდ მაშინ მიხვდა გრენუარი, თუ როგორი უცნაური ხმა ჰქონდა მიშლინას—კანკალებდა, და თითქოს ცრემლები აღრჩობდა. გრენუარმა მათთან ოთახში დაიპარა შესვლა, მაგრამ ვერ გაბედა, იფიქრა, იქნებ თავიანთი საქმე აქვთო.

გრენუარს ჯერ არასოდეს არ უნახავს მტირალი მიშლინა. ყოველთვის მშვენიერი და მხიარული, იგი მზად იყო ხოლმე ყველასათვის სამსახური გაეწია.

მიშლინას ტირილმა ლუიც განაცვიფრა. იგი საღებავებით და ფუნჯით ხელში მაგიდასთან იჯდა. მიშლინას დანახვაზე უცებ ფეხზე წამოდგა. მიშლინას უნდოდა ყველაფერი სწრაფად აეხსნა, მაგრამ ცრემლები აღრჩობდა, ძნელად სუნთქავდა და სიტყვის წარმოთქმას ვერ ახერხებდა, იქვე მაგიდასთან, საკარძელში ჩაჯდა... მაგიდაზე დაინახა გაზეთი, რომელსაც აფორმებდა ლუი და ციტატის ბოლოში წაეკითხა სიტყვა „სტალინი“. მიშლინა მიხვდა აზრს, რადგან ციტატა ზეპირად იცოდა: „ხალხის ხსოვნაში ცოცხალია ახლახან გავლილი ომის საშინელებანი“

— რა დაგემართა, მიშლინა?

მიშლინა თავს ძალას ატანდა, ცდილობდა ცრემლით სავსე თვალებით გაზეთიდან კიდევ ამოეკითხა სიტყვები.

— მიშლინა!...—გაუმეორა ლუიმ. იგი სავარძლის უკან დადგა და მიშლინასკენ დაიხარა. მიშლინა ხედავდა მხოლოდ სავარძლის კიდეზე დაყრდნობილ ლუის ხელს.

როდესაც მიშლინა დამშვიდდა, ყველაფერი უამბო ლუის. მას ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ კი არ ლაპარაკობდა, არამედ სხვა ვინმე. ყოველი სიტყვა და წინადადება გაჟღენთილი იყო მწარე ცრემლებით.

ლუი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ის დაინახა მიშლინამ, რომ ლუიმ ჯერ დაჭიმა ხელი და შემდეგ მოკუშშა, თითქოს უნდოდა დაემტვრია ჭიებისაგან დაჭმული სავარძლის ძველი ხე. იგი ისევ ჩუმად იდგა. როდესაც მიშლინამ დაინახა ლუის ძლიერი, მუქარის გამომხატველი მუშტი, ტირილი შეწყვიტა. მეორე ხელი ლუიმ მიშლინას მხარზე დაადო. ხელის შეხებაში უფრო ძალა იგრძნობოდა, ვიდრე სინაზე. როდესაც მიშლინამ ცრემლები კარგად გაიმშრალა, ლუიმ უთხრა:

— ხომ ხედავ, მე შენთვის რამდენჯერ მითქვამს, რომ ჩვენს სიმართლეს ცხოვრებაში ყველაფერი ამტკიცებს, ყველაფერი, სულ მცირეოდენიც კი!

* * *

აი, დედა, ნახე... ჩემი ხუთიანი, მასწავლებელმა რომ დამიწერა!—უთხრა მიმიმ დედას და პალტოს ჯიბიდან ამოიღო ლურჯი კარტონი, რომელსაც პურის ნამცეცები ამოჰყვა. კარტონზე ლამაზად იყო გამოსახული სკოლის ბეჭედი.

— მიამბე, ჩემო ძვირფასო, როგორ მიიღე ფრიადი?

მარგარიტა სკამზე დაჯდა, კალთაში ჩაისვა შვილი და გულში ჩაიკრა.

— იცი, დედა, ფრანგულის გაკვეთილი გვქონდა... მასწავლებელი შეგვეკითხა ერთი სიტყვის მნიშვნელობას...

— შენ აუხსენი?

— ავუხსენი, მხოლოდ მე ავუხსენი მთელს კლასს...

— რა სიტყვა იყო?

— „ფერფლად ქცევა“.

ფრანგულიდან თარგმნა

ლატავრა შანშიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი ჩვენს ქალაქში



ზაფხულის მცხუნვარე დღეებია, თბილისში დარჩენილი მოსახლეობა ქალაქის პარკებსა და ბაღებს აფარებს თავს. თუ ქუჩებში გაისეირნებთ, თავისებურ, დამახასიათებელ სურათებს მოჰკრავთ თვალს: ონკანთან მოჭყუმპალე ბავშვებს, ვენტილიატორების შემსყიდველთა გრძელ რიგს, ქუჩაში მდგარ ნაყინის გამყიდველს, რომელიც თვითონვე შეექცევა ნაყინს და სხვ.

ეს ფოტოსურათები ჩვენმა კორესპონდენტმა ერთ მზიან კვირა-დღეს გადაიღო. აი, პირველი კადრი: მარჯანიშვილის სახელობის მოედანზე ქუჩების სარწყავი ავტომანქანა შემოიჭრა, მან ერთხელ შემოუარა მოედანს თითქოს გზა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ უეცრად ხელმეორედ დაიწყო შემოვლა. ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგან წყალი გახურებულმა ასფალტმა აორთქლა, ხელმეორედ მოსხმული წყალი კი დიდხანს დარჩება და მოედანსაც გააგრილებს.

პატარა ბიჭუნა თავისი სახლის კიბეზე ჩამომჯდარა, ხელში გამადიდებელი შუშა მოუმარჯვებია და თავის გაკეთებულ საგორავზე „მანქანის ნომერს“ აწერს.

აი, რომელიღაც მოქალაქეს სახლის წინ საკუთარი „პობედა“ გამოუყვანია და არემონტებს; ზამთარში მანქანა გაუფუჭდა და შეკეთება დაეზარა, „დრო არ ქონდა“, ახლა კი, როდესაც აგარაკზე წასვლაა საჭირო...

ერთ-ერთ ბინაში ფოტოაპარატის ობიექტივმა



ასეთ სურათს მოჰკრა თვალი: პატარა გოგონამ მაცივრიდან ბოთლები და ქვაბები გამოალაგა და შიგ თავისი დედოფალა მოათავსა.

— ცხელა, ცოდოა! — განგვიმარტა მან.

ცხელა, ახალგაზრდები ჭადრაკის სათამაშოდ ბაღში შესულან, ზოოპარკში მყოფი თეთრი დათვები მიწაზე გორაობენ; ალბათ ქვა უფრო გრილია, ვიდრე ჰაერი. საქანელაზე შემსხდარი გოგონები ხელოვნურად ქმნიან გამაგრილებელ ნიავს. აგერ პატარა გოგონა ავტობუსში ჯდება, ჯერ კარგადაც ვერ დაუმახსოვრებია იმ აგარაკის სახელი, სადაც ამ ზაფხულს დაისვენებს. აგერ მთელი ჭიქა ბურანი გამოცალა მოწყურებულმა ბიჭუნამ. აგერ... ვიღაცას შეშა მოუტანია და ზამთრის თადარიგს იჭერს.

ესეც ზაფხულის სურათია, ბაღის ჩრდილიან ადგილებს შევაფარეთ თავი. ფრენბურთის მოედანზე ახალგაზრდები თამაშობენ. მათ თავიანთი საათები ამხანაგისთვის ჩაებარებინათ. ამ უკანასკნელს ხუთი საათი ეკეთა ხელზე. ფოტო-კორესპონდენტს ძალზე მოეწონა ეს სურათი და მაშინვე გადაიღო, მერე მე მომიბრუნდა:

— ფოსფორული საათებია, დღის განმავლობაში რაც უფრო მეტად დაიმუხტება მზის სხივებით, მით უფრო კარგად გაანათებს ღამით. ის ოჯახიც, დღეს რომ შეშა მოიტანა, ასევე იქცევა.

ედ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

ფოტო Ო.Თ. ᲗᲣᲠᲥᲘᲐᲡᲘ



ᲐᲚᲘᲫᲝ ᲨᲘᲜᲓᲚᲘᲐ

*
* *

ჩვენ შევხვდით გუშინ, მოსკოვის გულში,
ერთ მაღალ სახლში, ერთ ნათელ სახლში,
და ოცნებაში და სიყვარულში
ამ სიმარტოვეს არ ვგრძნობდი მაშინ.

ახლა ღამეა. ჩავაქრე შუქი,
არ მეძინება და მიხარია.
ამ უძილობას და შენზე წუხილს
თურმე ვეძებდი დიდი ხანია.

შორსა ხარ ჩემგან. სახლს, კედელს რამდენს,
ვთხოვო, მიმიშვან კვლავ შენთან ახლო.
მე შენს სიცოცხლეს კვალდაკვალ დავდევ
და სამუდამოდ ჩემს გულში სახლობ.

ახლა ღამეა. ჭერს ვაჩერდები,
ოთახში ვხედავ შენს ლამაზ თვალებს.
მადლობელი ვარ მე ამ კედლების,
რომ ეს თვალები გამოატარეს.

იქნებ შენც ფიქრობ თვალგახელილი,
ღამეა, მაგრამ არ გძინავს კიდევ,
და ეს წერილი, ჩემი წერილი
ღამის დუმილში ამოიკითხე.

მითხარი რამე, და თუნდაც „არა“,
ოღონდაც თბილად და დანანებით.
სიყვარულისთვის ცოტა რამ კმარა,
და რა უსაზღვრო გაქვს შენ თვალები.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ

*
* *

ჩვენ გაგვივლია ერთად ბილიკი
მაღალ გვიმრებში, დიდებულ ზღვისკენ,
საცდუნებელნი უცხო ხილივით —
რტოებზე ოქროს ჩიტები ისხდნენ.

ყვაოდა ცა და ყვაოდა მიწა,
ჩვენ მათთან ყოფნის გვქონდა სურვილი,
ასე გვეგონა სილურჯეს ზღვისას
თოლიებივით გადავუვლიდით.
ასე გვეგონა —
მზე იყო ჩვენში,
ცა ჩაგვეტია თვალებში თითქო,
უკვდავების წყალს მაწვდიდი პეშვით —
მისი სათავე შენ იყავ თვითონ.
მიშრიალებდნენ ხეები მაღლა,
თითქო ჩვენს სულში ქონდათ ფესვები
და სიმღერების გვავსებდა ტალღა —
ჯერ არ გვსმენია უკეთესები...

გამეორდება ეს დღე მრავალჯერ
და მუდამ ახალ ფერებს გააჩენს.
ჩვენ დაგვეყრდნობა მხრებზე ცისკარი,
მზიან სამშობლოს ბავშვი გახედავს
და ამ დიდების მთებზე ისწავლის
მისმა მშობელმა რაც გაკეთა.
მერე უეცრად მოსულ ჭაღარას
დაგვიფარავენ მწვანე ფოთლები
და სიჭაბუკევ, გამეორდები
და გაზაფხულო, გამეორდები...

ᲪᲘᲡᲐᲠᲪᲧᲔᲚᲔᲑᲘ

თითქო დევკაცმა ასწია ხელი
და დაბურულ ცას კარი შეაბა,
ათასფერადი კაბის შრიალით
ცისარტყელებმა აავსეს ველი.
მინდა გავიქცე,
გავსდიო ბილიკს —
მათ მთრთოლვარე ტანს შევეხო იქნებ,
სულში შევიდეს ამინდი თბილი
და ამ უცნაურ,
ნაწვიმარ დილით
ვიგრძნო —
სიცოცხლე ახლა იწყება...

ამერიკის იმპერიალიზმის ახალი ბოროტმოქმედება

გივი ქვანია
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

18 ივნისს ცენტრალური ამერიკის პატარა რესპუბლიკის გვატემალას ტერიტორიაზე, მეზობლად მდებარე ჰონდურასიდან შეიჭრნენ აშშ-ის დაქირავებული ბანდები; გვატემალას მშვიდობიან მოსახლეობას ბომბები დაუშინეს გარეგნულად „უცნობი ეროვნების", მაგრამ სინამდვილეში ამერიკული მარკის — „რ-47" და „რ-50" თვითმფრინავებმა. მსოფლიო კვლავ გახდა მოწმე აშშ-ის ახალი სისხლიანი ინტერვენციისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატარა ხალხის წინააღმდეგ.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიაში უჩვეულო ამბავი არაა აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენცია ამა თუ იმ რესპუბლიკის დემოკრატიული რეჟიმის გასანადგურებლად, საკუთარი კოლონიური რეჟიმის განტკიცების მიზნით. 130 წელია აშშ ლათინურ ამერიკას თავის სამფლობელოდ სთვლის. 1823 წ. პრეზიდენტ მონროს მიერ გამოცხადებული დოქტრინა საძირკველი იყო იმ ზღუდისა, რომლითაც ჩრდილოეთ ამერიკის მსხვილმა კაპიტალმა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს ამერიკის კონტინენტისკენ გზა გადაუღობა და დასავლეთი ჰემისფერო თავისი კოლონიური ექსპანსიის არეად გადააქცია. მონროს დოქტრინის ეს ხაძდვილი დანიშნულება ცხადი გახდა მომდევნო წელსვე, როდესაც აშშ-ის ჯარები პუერტო-რიკოში შეიჭრნენ. ამ დროიდან მოყოლებული ლათინური ამერიკის რესპუბლიკები უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ ჩრდილოეთის მძლავრ მეზობელთან. საკმარისია გავიხსენოთ 1846—48 წლები, როდესაც აშშ-ძა ყაჩაღურ ომში მექსიკას ტერიტორიის თითქმის ნახევარი წაართვა, 1848 წ. იმპერიალისტური ომი აშშ-ისა ესპანეთის წინააღმდეგ, რის შედეგად ფილიპინის კუნძულებს, გუამს, კუბას და პუერტო-რიკოს აშშ დაეპატრონენ, აშშ-ის მიერ 1903 წ. ორგანიზებული „რევოლუცია" კოლუმბიაში და პანამის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის" შექმნა პანამის ყელის ხელში ჩასაგდებად.

1904-17 წლებში აშშ ცამეტჯერ ჩაერია იარაღით ხელში სან-დომინგოს, კუბას, ჰონდურასის, ნიკარაგუას და მექსიკის საშინაო საქმეებში. მართალია, აშშ-მა ასეთი გზით ლათინური ამერიკა თავის ფაქტიურ კოლონიად აქციეს, მაგრამ ლათინური ამერიკის ხალხების წინააღმდეგობა ვერ დათრგუნეს. ამ ხალხების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და აშშ იძულებული გახდა თავისი კოლონიალიზმი სულ უფრო მეტად შეენიღბა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „კეთილი მეზობლის პოლიტიკა" და „კონტინენტალური სოლიდარიზმი".

ლათინური ამერიკის ქვეყნების ძარცვა აშშ-ის მონოპოლიებს კოლოსალურ მოგებას აძლევს. მათი პირდაპირი ინვესტიციები უკანასკნელი 55 წლის მანძილზე არაჩვეულებრივი სიჩქარით გაიზარდა.

აშშ-ის მონოპოლიების მოგების ნორმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში საშუალოდ ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე თვით აშშ-ში, და ზოგიერთ შემთხვევაში 9.000 %-ს აღწევს! ამ ქვეყნების მშრომელებს კი აშშ-ის კოლონიალიზმმა მოუტანა სიღატაკე, შრომის არაადამიანური პირობები, ქრონიკული დაავადებანი, წერა-კითხვის მასიური უცოდინარობა და მემამულურ-ფეოდალური ოლიგარქიისა და სამხედრო ხროვათა დიქტატორული რეჟიმები, რომლებიც ამერიკული მონოპოლიების პოლიტიკურ აგენტურას წარმოადგენენ. თუ კი ლათინური ამერიკის ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა დამოუკიდებელი მოქმედებების ტენდენციას გამოამჟღავნებს, მით უმეტეს აშშ-ის კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგ, აშშ-ის მონოპოლიები დაუყოვნებლივ ამზადებენ უკიდურეს რეაქციონერთა შეთქმულებას, აფინანსებენ მას, ქმნიან შესაფერ საშინაო და საგარეო კონიუნქტურას და პრონუნციამენტის („სასახლის" გადატრიალების) შედეგად ახალი დიქტატორული აგენტურა ექცევა რესპუბლიკის სათავეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა 10 ასეთი გადატრიალება მოაწყო ლათინური ამერიკის ქვეყნებში: ვენესუელაში (ორჯერ), ეკვადორში, ჩილეში, კოსტა-რიკაში, პერუში. კოლუმბიაში (ორჯერ), ბოლივიაში და კუბაზე. მიუხედავად ამისა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეირყა აშშ-ის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები ლათინურ ამერიკაში, სადაც მასიურ-ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს ხალხების ანტიიმპერიალისტური მოძრაობა დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის.

ეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობა განსაკუთრებული ძალით ვლინდება ხალხთა მასების მოთპოვნებში — ნაციონალიზირებული იქნეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრენი.

ყველაზე უფრო ძლიერი დარტყმა აშშ-ის იმპერიალიზმმა გვატემალაში განიცადა. ამ პატარა აგრარულ რესპუბლიკაში 3.787 ათასი მცხოვრებია, რომელთა 99 %-ს მაიას ტომების ინდიელები, ან მათი მეტისები შეადგენენ, ხოლო 1% ესპანური კრეოლებია, რომლებიც გაბატონებულ მემამულურ ფეოდალურ ოლიგარქიას ქმნიან. ამთგან ოცდაორი უმდიდრესი ოჯახის საკუთრიბას წარმოადგენდა, უკან სკნელ დრომდე, ვარგისი მიწების დიდი ნაწილი, მაშინ როცა, გვატემალას მოსახლეობის 80%-ს უმიწაწყლო გლეხობა შეადგენდა. სოფლის მეურნეობაში თითქმის ხელშეუხებლადაა დარჩენილი ფეოდალური ურთიერთობანი. ხშირია შემთხვევა, როდესაც მემამულე ჰყიდის მიწას, მასზე მცხოვრებ გლეხებთან ერთად. ფართოდაა გავრცელებული პეონაჟი — მონობის ეს თანამედროვე ამერიკული ფორმა, როდესაც არაადამიანურად ექსპლოატირებული გლეხის ერთადერთ გასამრჯელოს მინიმალური საკვები შეადგენს. გვატემალას სოფლის მეურნეობის უაღრეს ჩამორჩენილობაზე მეტყველებს ხისა და ქვის იარაღები, რომლითაც ხდება მიწის დამუშავება.

გვატემალა. ბანანის გამზადება ექსპორტისათვის.

გვატემალას და ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებს ფაქტიურ ბატონპატრონს წარმოადგენს აშშ-ის მონოპოლია „იუნაიტიდ ფრუტ კომპანი", რომლის ხელშია გვატემალას ეკონომიკის მთავარი სასაქონლო პროდუქტების — ყავის, ბანანების და ჩიკლეს (ფისი, რომლისგანაც აშშ-ში აკეთებენ საღეჭ რეზინას) წარმოება და ექსპორტი. ამ კომპანიის პლანტაციები ასეულ კილომეტრზეა გადაჭიმული, მათზე აუტანელ პირობებში მუშაობს 30 ათასი კაცი.

„იუნაიტიდ ფრუტ კომპანი" მეორე, დაქვემდებარებული მონოპოლისტური გაერთიანების — „ინტერნეიშნლ რელუვიზ ოფ სენტრალ ამერიკა" — მეშვეობით შეუზღუდავად განაგებს გვატემალას სარკინიგზო ქსელს, რომელზედაც და-



კირქვის გამომუშავება ქალაქ გვატემალის მიდამოებში.

წესებულია მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტარიფები (მაგალითად, ტვირთის გადატანა ქ. გვატემალადან პუერტო-ბარიოსამდე, სულ 200 კმ მანძილზე, უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ამ ნავსადგურიდან ევროპის სანაპირომდე). აშშ-ის საბანკო კაპიტალთან დაკავშირებული მონოპოლია „ემპრესა ელექტრიკა დე გვატემალ" ფლობს ელექტროენერგიის თითქმის მთელ წარმოებას გვატემალაში.

გვატემალას, ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ბრძოლას აშშ-ის იმპერიალიზმის წინააღდეგ ათეული წლების ისტორია აქვს. ამ ბრძოლამ გვატემალაში პირველად 1944 წელს გამოიღო საგრძნობი შედეგი, როდესაც ხალხმა ბოლო მოუღო „იუნაიტიდ ფრუტ კომპანის" ერთგული აგენტის ხორხე უბიკოს დიქტატურას. პრეზიდენტად არჩეული პროგრესული ძალების წარმომადგენლის ხოსე არევალოს თავრობამ 6 წლის განმავლობაში თანდათანობით აღადგინა დემოკრატიული თავისუფლებანი, პროფკავშირები ლეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ, მუშათა კლასმა მიიღო შრომის დემოკრატიული კანონმდებლობა. ამ დემოკრატიულ გარდაქმნებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ამერიკული მონოპოლიები და ადგილობრივი რეაქცია. არევალოს პრეზიდენტობის წლებში (1944 — 50) მათ 30 შეთქმულება და შეიარაღებული გამოსვლა მოაწყეს. მათ შორის ყველაზე დიდი იყო 1949 წ. 18 ივლისის პუტჩი, ორგანიზებული აშშ-ის ელჩის პატერსონის მიერ. მაგრამ გვატემალას დემოკრატიული ძალები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ და არათუ მოიგერიეს იმპერიალისტების შემოტევა, არამედ დიდ გამარჯვებას მიაღწიეს 1950 წელს, როდესაც პრეზიდენტად არჩეული იქნა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი ლიდერი ხაკობ არბენსი.

1952 წ. ივნისში არბენსმა ხელი მოაწერა გვატემალას კონგრესის მიერ მოწონებულ კანონ-პროექტს აგრარული რეფორმის შესახებ. მშრომელთა ფართო მასების რეფორმისადმი მხურვალე მხარდაჭერის მეოხებით ამაო აღმოჩნდა აშშ-ის აგენტების და ადგილობრივი მემამულეების ყველა ცდა შანტაჟის, დივერსიების თუ შეიარაღებული ბანდების საშუალებით ჩაეშალათ აგრარული რეფორმის განხორციელება.

რეფორმის შედეგად „იუნაიტიდ ფრუტ კოპპანის" ჩამოერთვა 160 ათასი ჰექტარი ძიწა. მიწათმფლობელები იღებენ კომპენსაციას ჩამორთმეული მიწების იმ ფასის მიხედვით, რომელიც მათ თვითონ ჰქონდათ დასაპელებული გადასახადებთან დაკავშირებით.

გვატემალას კონგრესის არჩევნებმა 1953 წ. იანვარში ცხადყვეს, რომ მთელი ხალხი მხარს უჭერს არბენსის თავრობას. დემოკრატიულმა ფრონტმა ამ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვა. მთავრობის კოალიციის პარტიებმა (გვატემალას რევოლუციური პარტია, ეროვნული განახლების პარტია და რევოლუციური მოქმედების პარტია) 58 მანდატიდან 48 მანდატი მიიღეს. დემოკრატიულ ფრონტში შემავლმა მუშათა პარტიამ — 3 მანდატი, და მხოლოდ 7 ადგილი მიიღეს ე. წ. „ანტიკომუნისტებმა" — აშშ-ის აგენტურამ.

ამ დამარცხებით გაცოფებული აშშ-ის მმართველი წრეები, ერთის მხრით, განაგრძობდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას დივერსიებისა და შეიარაღებული „აჯანყების" ცდების საშუალებით, მეორეს მხრით, გადავიდნენ დიპლომატიურ შეტევაზე გვატემალას მთავრობის წინააღმდეგ. 1953 წ. 28 აგვისტოს აშშ-ის საპელმიწფო დეპარტამენტმა მემორანდუმი გაუგზავნა არბენსის მთავრობას, რომელშიაც მკაცრ პროტესტს გამოთქვამდა „იუნაიტიდ ფრუტ კომპანის" მიწების კონფისკაციის გამო. გვატემალას მთავრობამ უარყო ეს პროტესტი, როგორც აშშ-ის მიერ გვატემალას საშინაო საქმეებში ჩარევის უხეში ცდა.

ამის შემდეგ აშშ-ის მმართველი წრეები გამალებით იწყებენ შეიარაღებული ინტერვენციის მომზადებას. გასაგებია, რომ მათ ამისათვის უპირველეს ყოვლისა ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია გამოიყენეს, რომელიც თავისი არსებობის 63 წლის მანძილზე წარმატებით ემსახურებოდა აშშ-ის იმპერიალიზმს ლათინური ამერიკის ქვეყნებში კონტინენტალური სოლიდარიზმის ნიღაბქვეშ.

გვატემალას წინააღმდეგ ინტერვენციის მზადება ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამერიკული დოლარების შემწეობით მექსიკაში შეიქმნა გვატემალელ

რეაქციონერ ემიგრანტებისაგან „გვატემალას განთავისუფლების კომიტეტი“. სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებით ჰონდურასის, ნიკარაგუას, კოსტა-რიკას, სალვადორის და პანამის ფაშისტურ-დიქტატურულმა მთავრობებმა სასწრაფოდ დასდეს სამხედრო შეთანხმება „კომუნიზმის წინააღმდეგ“. ამის საპასუხოდ 7 აპრილს გვატემალას მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი გამოდის ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციიდან, და აგრესიის საფრთხის გამო საჩივარი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აშშ-ის აგენტებმა დიდი დივერსია მოაწყეს გვატემალას რკინიგზაზე, აშშ-ის თვითმფრინავებმა დაიწყეს გვატემალას საზღვრების დარღვევა და კონტრრევოლუციური ფურცლების გავრცელება. აშშ-მა ნიკარაგუას ოთხიათასიანი არმიის ინსტრუქტორებად ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი გააგზავნა. ჰონდურასის 2.500 კაციანი არმიის შესაიარაღებლად აშშ-იდან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა იარაღი, საჭურველი და ასეული ათასობით დოლარები.

ამ „დახმარებას“ სინამდვილეში იღებდა გვატემალადან გაქცეული პოლკოვნიკი კასტილიო არმასი და აშშ-ის ყოფილი პოლკოვნიკი სტადერი, რომლებიც აკომპლექტებდნენ და აიარაღებდნენ ინტერვენციისათვის დაქირავებულ ბანდებს ჰონდურასში და ნიკარაგუაში. აგრესიის მომზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა აშშ-ის ელჩი გვატემალაში პერიფუა.

ვაშინგტონიდან მიღებული დირექტივის მიხედვით ნიკარაგუამ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა გვატემალასთან, ხოლო ჰონდურასმა და ჰაიტიმ თავიანთი დესპანები გაიწვიეს ქ. გვატემალადან.

ინტერვენციის მომზადების პროცესში აშშ-ის რეაქციული პრესა სისტემატურად ავრცელებდა უხეშ ცილისწამებას, თითქოს გვატემალა საფრთხეს უქმნიდეს პანამის არხისა და მეზობელი სახელმწიფოების უშიშროებას. გვატემალას მთავრობა ამხელდა აშშ-ის დანაშაულებრივი მოქმედების ნამდვილ მიზეზებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილ საჩივარში, ისე სხვა ოფიციალურ განცხადებებში. აშშ-ის მმართველი წრეების უშუალო დაინტერესებას გვატემალას დემოკრატიული რეჟიმის მოსპობასა და ამერიკული მონოპოლიების განუყოფელი ძალაუფლების აღდგენაში თვით აშშ-ის



ყავის გაშრობა.

პრესაც ადასტურებს. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რომ გვატემალას ხაშინაო მდგომარეობასთან ფინანსიური ინტერესებით არიან დაკავშირებული: სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ამერიკის ქვეყნების საქმეთა დარგში ჯონ კებოტი, მისი ძმა ტომას დალი კებოტი — სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი და მორგანის ბოსტონური „ფირსტ ნეიშნლ ბენკის“ დირექტორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციული თანაშემწე უშიშროების ნაციონალური საბჭოს საკითხებში რობერტ კატლერი, ვაჭრობის მინისტრი სინკლერ უიკსი, სამხედრო მინისტრი რობერტ სტივენსი და თვითონ ჯონ ფოსტერ დალესი, როგორც „იუნაიტიდ ფრუტ კომპანის“ ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი.

აშშ-ის მთავრობა ცდილობდა მის მიერ ორგანიზებული ინტერვენცია გვატემალაში სამოქალაქო ომად გამოეცხადებინა, ხოლო გვატემალას მთავრობის საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — „წითელ პროპაგანდად“, ამასთან საკითხი ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციისათვის გადაეცა. მაგრამ საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციის შედეგად ეს ცდა ჩაიფუშა. სამწუხაროდ გაერთიანებულ ერების ორგანიზაცია კვლავ უმწეო აღმოჩნდა ეფექტური ზომები მიეღო აგრესიის აღსაკვეთად. უშიშროების საბჭოს 20 ივნისის რეზოლუციაში, რომელიც მოუწოდებდა ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ სისხლისღვრისათვის ხელისშემწყობ მოქმედებისაგან, აშშ, ჰონდურასი და ნიკარაგუა არ დაემორჩილენ.

აშშ-ის ბლოკადის გამო გვატემალის 23-ათასიანი არმია ცუდად იყო შეიარაღებული, მაგრამ მან მაინც მოიგერია თავდასხმა და უკუაგდო კიდეც ინტერვენტები, რომლებიც აშშ-ის თვითმფრინავებით ჰაერში ინარჩუნებდნენ დიდ უპირატესობას. რადესაც ვერც ამ თვითმფრინავების ბარბაროსულმა თავდასხმებმა ვერ გასტეხა გვატემალის წინააღმდეგობა, აშშ-ის დიპლომატიამ ნაცად ხერხს მიმართა: არმიის ხელმძღვანელობაში მოსყიდულ სამხედრო პირებზე დაყრდნობით არბენსის მთავრობა ჩამოგდებულ იქნა, ერთი დღით ხელისუფლების სათავეში ჩადგა პოლკოვნიკ დიასის სამხედრო ხუნტა, რომელმაც 28 ივნისს ხელისუფლება მონსონს გადასცა. მონსონმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დასდო არმიასთან, დაითხოვა პარლამენტი, აკრძალა პროგრესული პრესა, გაანიარაღა რეპრესიები დიასის მიერ აკრძალული შრომის პარტიის წინააღმდეგ, დაშლილად გამოაცხადა შრომის საყოველთაო კონფედერაცია, სისხლიანი ტერორი გაჩაღა დემოკრატიული და პროფკავშირული მოღვაწეების წინააღმდეგ და შეაჩერა მიწების ექსპროპრიაცია აგრარული რეფორმის საფუძველზე.

პროგრესულმა კაცობრიობამ აღშფოთებით დაგმო აშშ-ის იმპერიალიზმის ეს ახალი ბოროტმოქმედება. განსაკუთრებული რისხვით გაისმა ლათინური ამერიკის ქვეყნების მშრომელთა მილიონების პროტესტი, გამოთქმული მრავალრიცხოვან დემონსტრაციებზე და დემოკრატიული ორგანიზაციების სპეციალურ რეზოლუციებში. სისხლიანი ინტერვენციისა და მოსყიდული აგენტების მეხუთე კოლონის საშუალებით, გვატემალის დემოკრატიული მთავრობის დამხობას, დალეხმა უწოდა ახალი, შესანიშნავი თავი ამერიკის ქვეყნების ისტორიაში, მაგრამ სახელმწიფო მდივნის ენინზმი ვერ შეასუსტებს იმ მძიმე პასუხისმგებლობას, რომელიც ამერიკის იმპერიალისტებს ეკისრებათ ამ სამარცხვინო აგრესიის გამო.

მდინარე ოთხ კედელს შორის

20 წელზე მეტია, რაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორია. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და მომავალ რესპუბლიკების ელექტროფიკაციის — გაძვიათარების საქმეში.

ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის მდინარეებზე ასობით და ათასობით ელსადგურია გაშენებული. უკვე რამდენიმე წელია მუშაობს უნიკალური, ჰიდროტექნიკური თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სევანის ელსადგური, აზერბაიჯანის მინდვრებს ანაყოფიერებს ყარაბახის არხი, იაფ ელექტროენერგიას აძლევს უზბეკეთის მოსახლეობას ბოს-სუს ჰიდროსადგური, დაღესტნის მთიანი აულები გაანათა გერგებილის ჰესმა, ყველა ეს ნაგებობა-ელსადგურები და არხები თავის დროზე თბილისის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის ჭერქვეშ „ამუშავდნენ“ პირველად. აქ მოხდა მათი მოდელების გამოცდა, სათავე ნაგებობათა კონსტრუქციების გაუმჯობესება, და აქვე გახდა ცნობილი, რომ ლაბორატორიის მიერ შექმნილი სევანის ჰიდროსადგურის ენერგიის შთანმთქმელი ორ მილიონ ეკონომიას მისცემდა სომეხ მშენებლებს, რომ ქართველ ჰიდროტექნიკოსების მიერ რეკონსტრუირებული გერგებილის ჰესი 600 კილოვატ ზედმეტ ენერგიას მისცემდა დაღესტნის მოსახლეობას.

აქ, ამ ლაბორატორიაში ერთმანეთს „ხვდებოდნენ“ სამგორისა და ყარაბახის არხები, ორთაჭალისა და ბოს-სუს ჰიდროელექტროსადგურები, აქ „თავს იყრიდნენ“ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მდინარეები და ტბები, ელსადგურები და არხები, რათა მეცნიერებს საბოლოო სიტყვა ეთქვათ მათ კონსტრუქციებზე, გაეუმჯობესებინათ და იაფი გაეხადათ მათი მშენებლობა.

როგორც კი ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკები ახალ დავალებას მიიღებენ, მაშინვე იწყება მოდელის დამზადება. სინამდვილეში არსებული მდინარის ტოპოგრაფიული ადგილმდებარეობა მცირე მასშტაბებით გადმოაქვთ ლაბორატორიაში, მოდელირების პრინციპით ამცირებენ მდინარის წყლის რაოდენობას, ნატანის რაოდენობას, სიჩქარეს, სათავე ნაგებობის კონსტრუქციებს, და რაც არ უნდა დიდი ელსადგური იყოს გამოსაცდელი, მას ყოველთვის ატევენ ლაბორატორიის ოთხ კედელს შორის.

ამჟამად ლაბორატორიაში „გამოცდებს აბარებენ“ გუმათისა და ლაჯანურის ელსადგურთა სათავე ნაგებობანი. ხრამის მეორე რიგის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჰაერაციის საკითხებს იკვლევენ ნიჭიერი ჰიდრავლიკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ალ. ჭანიშვილი და უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი პ. ვოროტელიაკი. ვარვარჰესის (აზერბაიჯანის სსრ) სათავე ნაგებობა გამოსცადეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებმა ლ. კვარაცხელიამ და ავ. სარალიძემ, ყარაბულახის სათავე ნაგებობა—ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. კუხიანიძემ.

პროფესორ გ. ჯიმშელეიშვილის წინადადებითა და ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში გამოცდილი იქნა ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა წყლის მიღებას წყალმიმღებში. ამ კონსტრუქციის დროს სალექრები თითქმის საჭირო არ არის, ნაგებობა მოცულობით მცირდება და შესამჩნევად იაფდება.

ლაბორატორიის მუშაობა მარტო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდით არ ამოიწურება, აქ იკვლევენ ფილტრაციის საკითხებს ბეტონის მასივებში, აკვირდებიან სწრაფსადენებზე ტალღების წარმოშობისა და მოძრაობის ხასიათს, სწავლობენ მოსახვის სიმქისის კოეფიციენტს ბეტონის გვირაბებში და არხებში. აქ სტუდენტები აწარმოებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს: ჰიდრავლიკაში, ჰიდროტექნიკაში, წყლის ენერგიის გამოყენებაში, წყალმომარაგებასა და კანალიზაციის საკითხებში. ასპირანტები აყენებენ ცდებს, ამზადებენ თავიანთ დისერტაციებს. ამას წინათ, მოსკოვში და ბაქოში, თითქმის ერთდროულად დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები ახალგაზრდა ინჟინრებმა ნ. კერესელიძემ და ავ. სარალიძემ მათ უმაღლესი შეფასება მიიღეს. მეტად საინტერესო სადისერტაციო თემებზე ნუშაობენ ასპირანტები ნ. ცაბაძე და პ. გუტიძე.

ლაბორატორიის გამგე, გამოცდილი ჰიდროგრაფი ლ. გველესიანი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სტუდენტებსა და ასპირანტებს შორის. თბილისის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია არა მარტო ახალი კონსტრუქციების, არამედ ახალგაზრდა მეცნიერთა სამჭედლოც არის.

ე. მარიამიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჯიმშელეიშვილი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი პ. ვოროტელიაკი და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კერესელიძე ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობის მოდელთან.

პროფესორი იოსებ შარლემანი

ვახტანგ ბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ იოსებ ადოლფის ძე შარლემანს, რომელსაც მალე დაბადების 75 და მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდება, უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში: მან, როგორც პედაგოგმა და შემოქმედმა საფუძველი ჩაუყარა ქართველ საბჭოთა გრაფიკოსთა სკოლას, ბევრი რამ გააკეთა აგრეთვე, როგორც თეატრის მხატვარმა. საქართველოს პირველი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის — თბილისის სამხატვრო აკადემიის — დაარსების დღიდან დღემდე, ე. ი. 30-ზე მეტი წლის მანძილზე, იგი ამ აკადემიის პროფესორად მუშაობს: მის მიერ აღზრდილია ქართველ გრაფიკოსთა არა ერთი და ორი თაობა. ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი დღესაც განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას: მისი ლითოგრაფიების რამდენიმე ფურცელი საქართველოს მხატვართა 1953 წლის გამოფენაზედაც იყო წარმოდგენილი.

ი. შარლემანი დაიბადა 1880 წელს პეტერბურგში. იგი „შთამომავლობით“ მხატვარია, და მისი დაინტერესებაც მხატვრობით — ოჯახში არსებულმა ატმოსფერამ განსაზღვრა. მამამისი ადოლფ იოსების ძე (1826 — 1901), ისტორიული მხატვრობის პროფესორი, ცნობილი ილუსტრატორი იყო, დედა—კრამსკოის მოწაფე — პორტრეტისტი, შვილის პირველ ნაბიჯებს ხელმძღვანელობდა მხატვრობის დარგში. ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში ი. შარლემანი შველოდა მამამისს, რომელიც იმხანად ასრულებდა ილუსტრაციებს ერევნის პოლკის ისტორიისათვის. მალე ახალგაზრდა მხატვარმა დამოუკიდებელი შეკვეთაც მიიღო: რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ასრულებდა სპეციალურ სამხედრო ილუსტრაციებს. ამ მუშაობამ, რომელიც მასალის ზუსტ ცოდნასა და ასახვის დოკუმენტურობას მოითხოვდა, რა თქმა უნდა, თავისებური ბეჭედი დაასვა მის იმდროინდელ მანერას, ამოცანისადმი მიდგომას.

სპეციალური განათლება ი. შარლემანმა მიიღო „მხატვრობის წამახალისებელი საზოგადოების“ (Общество поощрения живописи) სკოლასა და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ პროფ. ციონგლინსკი და ცნობილი ბატალისტი ფრანც რუბო (1856 — 1928).

1907 წ. ი. შარლემანი, რამდენიმე სხვა ახალგაზრდა მხატვართან ერთად, აარსებს „მხატვართა ახალ საზოგადოებას“, რომელმაც 1914 წლამდის იარსება. ამ საზოგადოების დამფუძნებელთა შორის იყვნენ შემდეგში ცნობილი მხატვრები კარდოვსკი, მატროხინი, ჩეხონინი და არქიტექტორები შჩუსევი და ფომინი. ი. შარლემანი საზოგადოების მდივანი იყო.

უკვე იმ დროს, პირველი იმპერიალისტური ომის წინა ხანებში, ი. შარლემანი სავსებით ჩამოყალიბდა, როგორც მხატვარი. მაშინვე ჩანდა მისი ინტერესების მრავალფეროვნება, და მაშინვე ჩაისახა ის რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელთაც შემდეგ სრულ განვითარებას მიაღწიეს.

თემატიკის მხრივ — მას გარკვევით იზიდავს ისტორია, კერძოდ სამხედრო თემები, რომელთა სიყვარულიც მას პირველ ნაბიჯებიდანვე ჰქონდა ჩანერგილი. „სუვოროვი საგუშაგოზე საზაფხულო ბაღთან“ (1897), 4 კომპოზიცია, მიძღვნილი დეკაბრისტების აჯანყებისადმი, შესრულებული ნახშირით და ფერადი ცარცით (1905), პუგაჩოვი (ზეთი, 1907 წ.), უფრო გვიან, ომის წლებში, პატრიოტული „სახალხო ნახატები“ („ლუბოკები“), რომელთაც გამომცემლობა „არგუსი“ ცალკე ფურცლებად უშვებდა — ასეთია თემატიკურად ერთი მხარე ი. შარლემანის მაშინდელი შემოქმედებისა.

გარკვევით მეღავნდება, რომ ი. შარლემანი ძირითადად მაინც გრაფიკოსია. იგი ასრულებს სხვადასხვა გრაფიკულ ფანტაზიებსა და კომპოზიციებს ჟურნ. „პოლონინისთვის“ (1911 — 1912 წლ.), ისეთ სპეციფიკურად გრაფიკულ ნახატებს, როგორიც „ექსლიბრისებია“, თანამშრომლობს ჟურნალებში, როგორც ილუსტრატორი (ჟურნ. „სატირიკონში“, „ლუკომორიეში“).

ილუსტრაცია იმთავითვე განსაკუთრებულ ადგილს იჭერს შარლემანის შემოქმედებაში. სწორედ ომის წინა ხანებში, ბროკჰაუზ-ეფრონის გამომცემლობამ მას შეუკვეთა ილუსტრაციები ლ. ტოლსტოის თხზულებათა კრებულისათვის. მან მოასწრო შეესრულებინა (1915 წ.) „სევასტოპოლის მოთხრობების“ ილუსტრაციები. გამოცემა მაშინ არ განხორციელებულა და შარლემანის ნახატები პირველად გაცილებით უფრო გვიან, მხოლოდ 1937 წ. გამოქვეყნდა. დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა „ანა კარენინას“ რამდენიმე ილუსტრაცია, შესრულებული იმავე გამომცემლობისათვის.

ათიან წლებს მიეკუთვნება ი. შარლემანის პირველი ნამუშევრები თეატრისათვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ი. შარლემანმა 1913 წელს შეასრულა მარჯანიშვილის „მინიატიურების თეატრის“ ფარდა. იმავე წლით თარიღდება დიდი დეკორატიული პანო პეტერბურგის ერთ-ერთი სასტუმროს ვესტიბიულისათვის — „სპილენძის მხედარი“.

დამახასიათებელია, რომ ი. შარლემანი უკვე მაშინ იჩენდა ინტერესს გამოყენებითი ხელოვნებისადმი: 1911 წ. მისი ნახატებით ფაიფურის საიმპერატორო ქარხანამ დაამზადა ჩაის სერვიზი, რომელიც მორთული იყო სცენებით „ევგენი ონეგინიდან“.

1916 წ. ი. შარლემანი გამოემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში ლ. ტოლსტოის „კაზაკების“ ილუსტრაციებისათვის მასალების მოსაგროვებლად (ეს გამოცემა ალარ განხორციელებულა). მხატვარმა მოიარა მოზდოკი, გროზნო, სტანიცები, კავკავი, 1917 წლის აპრილში კი, საქართველოს სამხედრო გზით, თბილისს მოაღწია.

ი. შარლემანისათვის, რომელსაც, როგორც მხატვარს, უკვე მოხვეჭილი ჰქონდა სახელი, საქართველო მეორე სამშობლოდ გადაიქცა. იგი დამკვიდრდა თბილისში, აქ ოჯახსაც მოეკიდა და მთელი თავისი არსებით დაუკავშირდა ქართულ კულტურას, ახალი ქართული ხელოვნების განვითარების საქმეს. მისი, როგორც შემოქმედისა და პედაგოგის ნიჭი თავისუფლად გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ი. შარლემანი დაეწაფა ძველი ქართული ხელოვნებისა და ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობას. ეს გაცნობა ზერელე და შემთხვევითი კი არ ყოფილა; ეს იყო მტკიცედ თანმიმდევარი, ღრმა შესწავლა, რომელიც წლების მანძილზე არ შეწყვეტილა. ი. შარლემანი როგორც გრაფიკოსი, იმთავითვე დიდი ინტერესით მოეკიდა ძველ ქართულ ხელნაწერთა მორთულობას (ამ საქმეში მას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი).

შემდეგ იგი სისტემატურად მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მასალების შესასწავლად; ოციან წლებში გ. ჩუბინიშვილის რედაქციით გაძოსული ალბომებში, რომლებიც ქართველი გლეხის საცხოვრებელი სახლების არქიტექტურისადმია მიძღვნილი („ქართლის დარბაზი“), ნახატების უმეტესი ნაწილი ი. შარლემანის მიერაა შესრულებული ქართლის სოფლებში მოგროვილი მასალების მიხედვით.

1923 წ. მხატვარი, კინოსურათ „ძინა ძაძუს“ გადაღებასთან დაკავშირებით, მოგზაურობს სვანეთში, საიდანაც მრავალი განაზომი, ჩანახატი და აკვარელი ჩამოაქვს (საცხოვრებელი, ავეჯი, საოჯახო ნივთები, ტიპები). დიდძალ საინტერესო მასალას აგროვებს იგი 1927 ხელსაც საკართველოს მუზეუმის ექსპედიციასთან ერთად ხევსურეთში მოგზაურობის დროს (საცხოვრებლები, იარაღი, კოსტუმები, ავეჯი, ტიპები, პეიზაჟები).

ბუნებრივია, რომ მთელი ეს მუშაობა მპატვარს მტკიცე საფუძველს უქმნის საკუთარი შემოქმედებისათვის: იგი უკვე იცნობს საქართველოს წარსულს, მის მატერიალურ კულტურას, ხელოვნებას, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და, ამიტომ, თავისუფლად ჰკიდებს ხელს ქართული სინამდვილის ამსახველ ნაწარმოებთა შექმნას.

ოციან წლებში მან მონაწილეობა მიიღო ეგნ. ნინოშვილის თხზულებათა ორტომეულის დასურათებაში („განკარგულების“ ილუსტრაცია). ქართველი მკითხველებისათვის კარგადაა ცნობილი ვასილ ბარნოვის „გიორგი საკაძის“ შარლემანისეული ილუსტრაციები (1939 წ.). მათი დამახასიათებელია მოქმედ პირთა მკაფიო სახეები, ეპოქის სტილის გრძნობა, ზუსტი, დახვეწილი ნახატი და კომპოზიცია, ამოცანის გადაწყვეტის სპეციფიკურად გრაფიკული, სწორედ წიგნის ილუსტრაციისათვის გამიზნული ხერხები. იგივე თვისებები ჩანს ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავისა“ (1952) და ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა ილუსტრაციებში.

ამოცანის ყოველმხრივი გააზრება, მკაცრი გონებისმიერი ანალიზი, ნახატისა და კომპოზიციის აკადემიური დახვეწილობა, ისტორიული რეალიების დოკუმენტური სიზუსტით ასახვისადმი მიმართულება, ერთგვარი სტილიზაცია, საერთოდ ახასიათებს ი. შარლემანის შემოქმედებას, რომელიც ხელოვნების მრავალ დარგს მოიცავს. ი. შარლემანი ქართული საბჭოთა წიგნის გრაფიკული გაფორმების ერთი ფუძემდებელთაგანია. მისი გაფორმებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი საბჭოთა გამოცემა 1922 წელს. ამ წიგნის მარტივი ყდა და ტიტული უკვე მოწმობს ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მდიდარი მემკვიდრეობის შეგნებულ გამოყენებას, მოწმობს, რომ მხატვარს ნამდვილად უგრძვნია ქართული დაწერილობის სილამაზე და მისი სტილიზაციის შესაძლებლობანი. ეს გარემოება ხაზგასასმელია: მომდევნო წლებში ეროვნული ფორმის ძიებამ ქართული წიგნის გაფორმების დარგში თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და ამ საქმეში ძირითადი ღვაწლი სწორედ ი. შარლემანის მოწაფეებს მიუძღვით.

1933 წ. გამოვიდა ი. შარლემანისვე მიერ გაფორმებული ქართული თარგმანი დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“. მაგრამ ი. შარლემანის გრაფიკა მარტო წიგნით არ შემოიფარგლება: ჯერ კიდევ 1921 წელს, ევგ. ლანსერესთან ერთად, იგი ქმნის საბჭოთა საქართველოს გერბს; შემდეგ, 1927 წ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაკვეთით, ასრულებს გუაშით ეტრატზე ადრესს ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ისტორიულ სიუჟეტებს ი. შარლემანი მიმართავს არა მარტო ილუსტრაციებში, არამედ სურათებშიც. სამამულო ომის წლებში, 1942 წ., მან გამოფინა „ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე“. სურათი შესრულებულია აკვარელით. „ეს თითქოს შეფერილი ნახატია, რომელიც მოგვაგონებს ასახული ამბის დროინდელ ნახატებს; თვით დახატული ჩარჩოც და არშიებიც იმ დროინდელ ნამუშევრის მიხედვითაა გაკეთებული. სურათის სიუჟეტმა — ბაგრატიონის დაჭრამ, ბრძოლის მთელმა ვითარებამ და მის მონაწილეთა მოქმედების ეთიკეტმა უნებლიეთ უკარნახა მხატვარს შესრულების ერთგვარი სტილიზაცია, სავსებით მისაწვდომი მისი განსაკუთრებული ცოდნისა და კულტურისათვისო“ — წერდა ამ სურათის შესახებ გ. ჩუბინაშვილი.

ი. შარლემანს მუდამ იზიდავდა პატრიოტული თემები ჩვენი სამშობლოს წარსულიდან, საქართველოსა და რუსეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან („ბაგრატიონი ზვიციარიაში 1799 წ.“, „პუშკინი ა. ჭავჭავაძესა და ჩაადაევთან ერთად ცარსკოე სელოს პარკში“, „ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სახელმწიფო საბჭოში“, და სულ ბოლოდროინდელი ნამუშევრები — ლითოგრაფიები: „ჩაიკოვსკი და მიზანდარი ბორჯომში“, „ჩეხოვი, ა. წერეთელი და მ. გორკი ბორჯომში“, „ლერმონტოვი მცეთაში“ და სხვ.) მაგრამ იგი თავის სურათებში ყოველთვის დიდი ინტერესითა და სიყვარულით ასახავს საბჭოთა საქართველოს დღევანდელ დღესაც — მის ცხოვრებასა და მის ბუნებას („წითელარმიელები ლიახვის ხეობაში“, „პირველი ელექტრომავალი აწყურში“, ჯირითი და სხვ.). საინტერესოა, თუმც რაოდენობით მცირე, მისი პორტრეტებიც (დოსტოევსკისა, ბლოკისა, მხატვრის მეუღლისა, კ. გამსახურდიასი, გ. ტაბიძისა, არქ. ნ. სევეროვისა და სხვ.).

დიდად დასაფასებელია ი. შარლემანის ღვაწლი ქართულ საბჭოთა თეატრში. ბევრს შეიძლება დღესაც ახსოვდეს მარჯანიშვილის თეატრის პირველი სეზონის ერთ-ერთი დადგმა— ბერნარდ შოუს „წმინდა ჟანწული“ (1928—1929 წ.წ.). ამ სპექტაკლის სიმახვილესა და მარჯანიშვილისათვის დამახასიათებელ თეატრალურობას დიდად უწყობდა ხელს ი. შარლემანის ლაკონიური და მეტყველი დეკორაციები. სპეციფიკურ სასცენო ღირსებებთან ერთად აქ ნათლად ჩანდა ეპოქის სერიოზული ცოდნა და სტილის ის ფაქიზი შეგრძნება, რომლის მიღწევაც, ცხადია, მხოლოდ აქსესუარების „არქეოლოგიური“ შესწავლით არ მოხერხდება („წმინდა ჟანწულის“ დიკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმშია დაცული).

ი. შარლემანის გაფორმებულია აგრეთვე თბილისის საოპერო თეატრის დადგმები „მეფის საცოლე“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „ევგენი ონეგინი“, „დეპუტატი“, „ბორის გოდუნოვი“ და სხვ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ი. შარლემანი იმთავითვე მჭიდროდ უკავშირებდა ერთმანეთს მხატვრულ სახეთა შექმნასა და მეცნიერულ მონაცემთა გაღრმავებულ შესწავლას. ამიტომ, გასაგებია, რომ იგი მუდამ ხალისით მუშაობდა სამუზეუმო ექსპონატების შესაქმნელად: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებისათვის მან შეასრულა დიდი პანოები, რომლებიც გამოხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ი. ა. შარლემანი

ნახატი ალ. ბანძელაძისა

ი. ა. ზარლემანი

პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსახიობი ლ. აბაშიძე ჭრიჭინას როლში.

კადრი კინოფილმიდან „ჭრიჭინა“ ფერადი ფოტო გ. ლიახოვისა

კადრები კინოფილმიდან „ჭრიჭინა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჭრიჭინა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა“. სცენარი დაწერილია დრამატურგ მ. ბარათაშვილის კომედიის „მარინეს“ („ჭრიჭინა“) მიხედვით.

როგორც ცნობილია კომედია „ჭრიჭინას“ დადგმა სხვადასხვა თეატრებში განახორციელა ორმოცდაათზე მეტმა რეჟისორმა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „ჭრიჭინას“ დღემდე განხორციელებულ დადგმებიდან ყველაზე თვალსაჩინოა საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის სპექტაკლი. აქ განსაკუთრებით გამოვლინდა დრამატურგისა და თეატრის მუშაკთა ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი. ამ თეატრში რეჟისორებთან და მსახიობებთან ერთად დრამატურგმა მ. ბარათაშვილმა მეტად საგულისხმო შემოქმედებითი კორექტივები შეიტანა თავის პიესაში. განტვირთა იგი ზედმეტი სცენისა და გმირებისაგან, პოლიტიკურად გაამახვილა ნაწარმოების მიზანდასახულობა, გაამძაფრა კონფლიქტი, უფრო დამაჯერებელი გახადა პიესის ფინალი, ხოლო რეჟისორმა და აქტიორებმა სწორად გაიგეს პიესა, კიდევ უფრო აამაღლეს მისი მხატვრული ღირსება და მაყურებელს წარუდგინეს მხიარული და სიცოცხლით სავსე კომედია.

მისასალმებელია, რომ რეჟისორს ს. დოლიძეს, სცენარის ავტორებს მ. ბარათაშვილს და ლ. ხოტივარს, კინოფილმიც ძირითადად იმ გზით მიყავთ, როგორი მიმართულებაც სპექტაკლს საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მისცა.

თუ პიესაში ძირითადად ჭრიჭინას ხასიათის გარდაქმნა დაკავშირებულია აბრეშუმის ჭიის უხვი მოსავლიანობისათვის ბრძოლასთან, კინოფილმში ეს ადგილი გადატანილია მეფრინველეობის ფერმაში. თუ პიესაში შოთა აგრონომია — სცენარში იგი არქიტექტორადაა გამოყვანილი. ამით კინოფილმის შემომქმედებს საშუალება მიეცათ მრავალფეროვნება შეეტანათ სურათში, უფრო სრულყოფილად წარმოედგინათ თანამედროვე სოფელი, მისი არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურული სახეც.

უყურებთ ამ ფილმს და გრძნობთ, რომ შეუძლებელია უქმად ყოფნა, შეუძლებელია ადამიანი არ ჩაებას შრომის ფერხულში და თავისი წვლილი არ შეიტანოს საერთო საქმეში. ასეთი განწყობილება იქმნება არა მარტო ბუნების სილამაზითა და სიუხვით, არამედ ადამიანთა შემოქმედებითი შრომით, რომელიც იმორჩილებს ბუნებას და მას ხალხის სამსახურში აყენებს. ეს ფილმის წარმატებაა.

როგორც ფილმის სათაური მოითხოვს პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მთავარი გმირის მარინეს („ჭრიჭინა“) შემსრულებელი. ამ მხრივ ასზე მეტი წინამორბედი ჰყავს ახალგაზრდა მსახიობს ლ. აბაშიძეს. მარტო თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ეს როლი ორმა ნიჭიერმა მსახიობმა მედეა ჯაფარიძემ და მარინე თბილელმა განასახიერეს. ეს გარემოება მეტად რთული შემოქმედებითი ამოცანის წინაშე აყენებდა ახალგაზრდა მსახიობს ლ. აბაშიძეს.

როცა ეკრანზე უყურებთ ლ. აბაშიძის ჭრიჭინას, პირველ კადრებიდანვე გიტაცებთ იგი, გრძნობთ, რომ თქვენს წინ დგას სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი, დაუდეგარი გოგონა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მიუგნია, საით უნდა წარმართოს თავისი ნიჭი და უნარი, რა გზა აირჩიოს საასპარეზოდ. ეს როლის ნამდვილად სწორი გაგებაა. მსახიობი ზომიერი თამაშით ხელს უწყობს მოქმედების განვითარებას, ამწვავებს კონფლიქტს, ფილმს საინტერესოს ხდის.

საერთოდ ლ. აბაშიძის ჭრიჭინა ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს ამ როლის საუკეთესოდ შემსრულებელთა შორის.

მსახიობი ა. ომიაძე ანსახიერებს კოლმეურნეობის თავმჯდომარის გიორგის როლს. იგი დინჯი, საქმის მცოდნე და გულისხმიერი მუშაკია, რომელსაც განსაკუთრებით აღელვებს შვილის უსაქმობა. იგი თავიდანვე მზად არის მწარედ დატუქსოს ჭრიჭინა. მაგრამ, როგორც კი სიცოცხლით სავსე, ცქრიალა, ენამახვილი ქალიშვილი მარინე გაეთამაშება, გიორგი უძლურია დაძლიოს მამობრივი გრძნობა, დაძლიოს ის სიბრალული, რომელსაც იგი თავიდანვე იჩენდა უდედოდ აღზრდილი შვილის მიმართ. მსახიობმა ა. ომიაძემ ერთმანეთთან ორგანულად შეახამა კოლმეურნეობის წარმატებით აღფრთოვანებული ხელმძღვანელისა და შვილის უსაქმობით გულდაწყვეტილი მამის განცდები.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ც. წუწუნავა ეფროსინეს როლს ასრულებდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმაში და კინოფილმშიაც ამ როლს ანსახიერებს. ისე როგორც თეატრში, კინოფილმშიაც მან შექმნა დასამახსოვრებელი სახე. ც. წუწუნავას ეფროსინე გამოირჩევა უშუალობითა და გულწრფელობით. იგი, ლაღი, ბუნებრივი თამაშით ღრმა და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელში.

კარგია პროფესორ მესხის როლში შ. ღამბაშიძე.

გულწრფელად ასრულებენ თავიანთ როლებს თ. აბაშიძე (ელპიტე), მ. ჩახავა (ცქრიალა), დ. აბაშიძე (ბიჭიკო), ლ. ასათიანი (სოციალისტური შრომის გმირი მარინე), რ. ჩხიკვაძე (შოთა).

აღსანიშნავია აგრეთვე ა. თოიძის (ნატო), თ. ციციშვილის (შოთას დედა), დ. ჭიჭინაძის (თინა), გ. გეგეჭკორის (ლევანი), ზ. წულაძის (პროფესორი) მიერ განსახიერებული როლები.

სამწუხაროა, რომ ასეთ მშვენიერ ფილმში აქა-იქ გვხვდება დაუხვეწავი ადგილები, გაუმართავი და გაუბრალოებული კადრები. მაგალითად, არაფრით არ არის გამართლებული ჭრიჭინასა და ბიჭიკოს „აკრობატული“ თამაში ვარიების დაჭერის დროს. მხოლოდ ეფექტისათვის არის გადაღებული კადრი „ჩაის კრეფა“ და დარღვეულია აგროწესები. ფუნიკულორის ჩვენების დროს რატომღაც თაღებიანი ვერანდა ცარიელია, იგი ხელოვნურად არის მოწყობილი რომ ჭრიჭინამ და შოთამ გაისეირნონ.

ფილმისათვის მუსიკა დასწერა ახალგაზრდა ნიჭიერმა კომპოზიტორმა ს. ცინცაძემ. კარგად ჟღერს ჭრიჭინას მელოდია. ასევე კარგად ღებულობს მაყურებელი გიტარის აკორდებს, როცა წვიმის შხეფები ეცემიან ჩაის ვარდებს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სიცოცხლით სავსე კინო-კომედიაში მეტი ხალხური მელოდიები იყო საჭირო.

ცალკე აღსანიშნავია მხატვარ ლ. შენგელიას ოსტატური ნამუშევარი.

რამდენიმე სიტყვა ფინალის შესახებ. ეს საკითხი ფილმის რეჟისურას თავისებურად აქვს გადაწყვეტილი. შრომით დაწინაურებული ჭრიჭინა და მოვლენების ნამდვილ ვითარებაში გარკვეული შოთა კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, მიეშურებიან ხეივნისაკენ, იქიდან ესტუმრებიან მდინარის სანაპიროს სიმღერით „მხოლოდ შენ ერთს!“... ამით ისინი აგვირგვინებენ თავიანთ უმწიკვლო სიყვარულს. ეს ცუდი ჩანაფიქრი როდია, მაგრამ შეიძლებოდა ამ დასკვნითი მომენტის უფრო მკვეთრად, მხატვრულად მდიდარ კადრებში განხორციელება.

მიუხედავად მცირე ნაკლოვანებებისა „ჭრიჭინა“ შეიძლება ჩაითვალოს თბილისის კინოსტუდიის ერთ-ერთ შემოქმედებითი მიღწევად და დამდგმელი ჯგუფის გამარჯვებად რეჟისორ ს. დოლიძის მეთაურობით.

ბ. თათარიშვილი
ა. კოკილაშვილი

ტავს სცენებს პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებიდან, სახელდობრ — გარეულ ცხოველებზე ნადირობას. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ი. შარლემანმა ბოლო წლებში მოამზადა წიგნი მხატვარ ანიმალისტებზე და ცხოველთა გამოსახვის თავისებურებათა შესახებ. ეს წიგნი სპეციალური ნახატებითაა დასურათებული.

ი. შარლემანის შემოქმედებითი მოღვაწეობა ამითაც არ ამოიწურება: მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი გამოყენებითი ხელოვნების საქმეშიც: 1929-32 წლებში, როცა საქართველოს მუზეუმი ახლად დამთავრებულ შენობაში თავის პირველ გამოფენებს აწყობდა („ხევსურეთი“, „სვანეთი“, „საქართველოს მინერალური რესურსები“), მთელი საგამოფენო ავეჯი სწორედ ი. შარლემანის ნახატებით იქნა შესრულებული. მომდევნო წლებში (1932 — 1934), საქართველოს კურორტმშენის დაკვეთით, მან მოამზადა ნახატები გაგრისა და ბაკურიანის დასასვენებელი სახლების ავეჯისათვის (100-ზე მეტი ნახატი და სამუშაო ნახაზი). ამ ნამუშევრებში, რომელთა შესრულებაც მკაცრ, დახვეწილ გემოვნებას მოითხოვს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა ი. შარლემანის დიდი მხატვრული კულტურა.

დასასრულ, იოსებ შარლემანი — პედაგოგი. თავშივე მოვიხსენიეთ, რომ იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთი დამაარსებელთაგანია. ამ სასწავლებლის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა მთელი ქართული საბჭოთა ხელოვნების ზრდა-განვითარებისათვის უეჭველია. ჩვენი მხატვრების საბჭოთა თაობა, სულ მცირე გამონაკლისით, თბილისის სამხატვრო აკადემიაშია აღზრდილი. გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ევგენი ლანსერე, ელიშე თათიევსიანი, იოსებ შარლემანი — ესენი იყვნენ ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა პირველი აღმზრდელები მხატვრობისა და ქანდაკების დარგში. და თუ ქართველი საბჭოთა მხატვრების ახალი თაობა თავიდანვე მტკიცედ დადგა რეალისტური ხელოვნების საფუძველზე, ამაში არამცირე დამსახურება მიუძღვით ამ მხცოვან მხატვრებსაც: ისინი მიზნად ისახავდნენ სერიოზული პროფესიული ცოდნის ჩანერგვას, ისინი თავისი შემოქმედებით ცოცხალ ხიდს სდებდნენ რევოლუციამდელ ქართულ და რუსულ რეალისტურ ხელოვნებასა და ახალ ხელოვნებას შორის, საუკეთესო, მოწინავე ტრადიციებზე ზრდიდნენ აკადემიის სტუდენტებს.

იოსებ შარლემანმა აკადემიის პროფესორთა შორის თავიდანვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავიდრა, რა თქმა უნდა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი დიდხანს გაანაგებდა გრაფიკის ფაკულტეტს, ხოლო შედეგ — კათედრას. მთავარია მისი ღრმა, მრავალმხრივი კულტურა და პედაგოგის ბუნებრივი ნიჭი: ი. შარლემანი ყოველთვის მკაფიოდ უსახავს ამოცანას თავის მოწაფეებს, მიზანდასახულად მიუთითებს მათ ამ ამოცანის ამოსნის ხერხებს, დასასრულ, ლოგიკური ანალიზის საშუალებით ნათლად უჩვენებს შეცდომისა და მარცხის მიზეზს და მისი გამოსწორების საშუალებას. ამგვარად, იგი, პროფესიულ ჩვევების გამომუშავებასთან ერთად, მუდამ ცდილობს შეაჩვიოს მოსწავლე მხატვრული ამოცანის გააზრებას.

ი. შარლემანმა გრაფიკის სწავლება თავიდანვე ფართოდ დააყენა. წლების მანძილზე, იგი მტკიცე თანმიმდევრობით, სისტემატურად ამზადებდა სპეციალისტებს შრიფტის, პლაკატის, ილუსტრაციის, წიგნის ზოგადი გაფორმების დარგში. მის მოწაფეთაგან ბევრი დღეს თვითონაც ასწავლის აკადემიაში.

იოსებ შარლემანი, რუსული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც შემოქმედი. იგი უკვე მოწიფული მხატვარი იყო, როცა საქართველოში ჩამოვიდა. ყველაფერი, რაც თან ჩამოიტანა — დიდი პროფესიული ოსტატობა, დიდი მხატვრული კულტურა და ცოდნა — მან გულწრფელად, დაუშურებლად მიუძღვნა საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას, ქართულ საბჭოთა ხელოვნების აყვავების საქმეს.

ამიტომაა, რომ მხცოვანი მხატვარი იოსებ შარლემანი — შემოქმედი, აღმზრდელი, მოკრძალებული და გულისხმიერი ადამიანი — დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს საბჭოთა საქართველოს მხატვართა, ჩვენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა და თავის კოლეგათა შორის. ი. შარლემანი დღესაც ძველებური სიმხნევით განაგრძობს თავის ნაყოფიერ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრიდან

მიხეილ მრევლიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზ. ლეჟავა

სალამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა სოფელ ობოლაშენის ბოლოზე, იქ სადაც მოასფალტებული შარა მაყვლიანის ვეება ბუჩქებში იკარგება, ძველი, ათამიჟმისდროინდელი ორცხენიანი ეტლი გამოჩნდა. მეეტლემ, რომელიც ოდესღაც ბრჭყვიალა ნიკელის, ხოლო ამჟამად თავჩაჭეჭყილი და შუშებჩამტვრეული ფარნების შუაში მოთავსებულ მაღალ კოფოზე წამომჯდარიყო, გზა მისცა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ, მგზავრებით დატვირთულ ავტობუსს და როცა სასაცილო სანახაობით გამხიარულებული, კრიალა მანქანაში მჯდომი საზოგადოება თვალთ მიეფარა, ნაღვლიანად ამოიოხრა, ცხენებს სადავე მოსწია და ეტლი სოფლის ორღობეში შეაბრუნა.

იქნებ ზოგიერთ მკითხველს გაუკვირდეს და იკითხოს კიდეც—თუ რათ დაგჭირდა ჩვენ ამ მივიწყებული წვრილმანის გახსენება. მაგრამ რა ვუყოთ, განა ცოტა რამ არის ჩვენ ცხოვრებაში ღირსი მივიწყებისა, რომელიც ჩვენდა უნებურად აქა-იქ მაინც თავს იჩენს და გვაკვირვებს თავისი არსებობით?

მოგზაურობის მოყვარული და დაკვირვებული ადამიანის ყურადღებას იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც მიიპყრობს ათასი თოკებითა და მავთულებით შეკრული საფრთხობელა, რომელიც საშინელი კვნესითა და გვემით მიეთრევა შარაზე და წელკავიანი კაცივით, საცოდავად ცალმხრივ გადახრილი, წამი-წუთ წაქცევას ლამობს.

იყო რასაკვირველია დრო, როცა ახლად ლაქმოკრიალებულ, ძვირფას ტყავგადაკრულ და რბილი ბალიშებით მორთულ ეტლს, ბუმბულივით მიაქროლებდნენ კენტავრებივით თავმოღერებული და ფაფარაყრილი რაშები. ხშირად ალბათ ამ ეტლში ახლადშეუღლებული წყვილიცა მჯდარა და საქორწილო თაიგულებში ჩაფლული მორცხვი ნეფე-პატარძლის მღელვარე ოცნებაც მშვენივრად შეჰხამებია დაოთხებული ცხენების თქარათქურსა და ეტლის ნანაობას. ეჭვს გარეშეა რომ ამ ეტლს ზეიმიც უნახავს, მწუხარებაც და დიდებაც თავისი ბორბლების ტრიალის მანძილზე, მაგრამ.... როგორც იტყვიან, ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია!

წარმავალია, თუნდაც იმიტომ, რომ ობოლაშენის ორღობეში წელათრეულ საფრთხობელას ნირიც კი აღარ შერჩენოდა ამ წარსულის დიდებისა. მოუვლელი სახედრის ზურგივით გადატყაული და ალაგ-ალაგ პირდაგლეჯილი ბალიშებიდან, თავი ამოეყოთ მავთულებს, ცხენის ძუას, თივას და დაუჩეჩავ მატყლს. სქელ ნოჭებად უკან ჩაკეცილი ქოლგისებური ტყავის სახურავი გამოხუნებულიყო, ხოლო ალაგ-ალაგ მზითა და ავდრით გამოფიტული, ისე გამომხმარიყო რომ აღარ იკეცებოდა და ეს დაუკეცავი ადგილები ვეება გომბეშოებივით წამოსჯდომოდა ამ საფრთხობელას ზურგზე. მავთულებით, თოკით, თასმით და უბრალო წნელით შეკრული ბორბლები საცოდავად ლაყლაყებდნენ ღერძზე.

ასეთ უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა ობოლაშენის ორღობეში ზანტად მიმავალი ეტლი, მაგრამ არც თუ ეტლის აკოლიკებულ კოფოზე წამომჯდარი მეეტლე ჩამორჩებოდა მას თავისი გარეგნობითა და შეხედულებით. ძველსა და გამოხუნებულ ფარაჯაში გამოწყობილი, შუბლზე კარტუზჩამოფხატული მეეტლე, შორიდან ბოსტანში სარზე ჩამოცმულ, ცალხელგაშლილ და ცალმხარჩამოგდებულ ჩიტების საწიოკოს მოაგონებდა კაცს, ახლოდან კი ნაავდრზე მყუდროში მიყუჟულ უშნო მიკიოტს. ჯაგარივით მაგარი ჭაღარა, ნარეკლიანი სარეველასავით მოსდებოდა ჩოფურა სახეს. გამოუკაფავ ბუჩქებივით დახლართულ წარბებში ჩამალული თვალები მოუსვენრად ცმუტავდნენ და ხარბად აცქერდებოდნენ ყველაფერს და ყველას. საეჭვოდ წამოწითლებული ხორცსავსე ცხვირი თონეში ჩასაკრავი ცომივით გაფუებოდა და თავისი მოლურჯო სიწითლით ადამიანის ხასიათში მაგარი სასმელებისადმი მიდრეკილების აშკარა ნიშნებს ამჟღავნებდა.

ჩვენ ხელთ არსებული ცნობების თანახმად, მიმოსვლის ეს მეტად მოძველებული საშუალება სახელდობრ—ეტლიც, მეეტლეც და ცხენებიც სოფელ ობოლაშენის საზღვრებში მოთავსებულ სამეცნიერო კვლევითი საცდელი სადგურის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ — არც ეტლი, არც ცხენები და მით უმეტეს არც მეეტლე ამ საცდელი სადგურის საკუთრებას არ წარმოადგენდა, რადგან არც ერთი მათგანი ზემოხსენებული დაწესებულების საინვენტარო სიაში არ ირიცხებოდა.

თვითონ ობოლაშენისა და მის მახლობლად გაშლილი სოფლების მცხოვრენი, რკინიგზის სადგურიდან მოყოლებული ვერხვისხევამდე, ესე იგი დაახლოებით ოციოდე კილომეტრის მანძილზე, ამ ეტლს უხსოვარი დროიდან „ტანტალას ფაიტონს“ ეძახდნენ, ხოლო მაღალ კოფოზე წამომჯდარ მეეტლეს უბრალოდ „ტანტალას“ — და ეს მაშინ, როცა სოფსაბჭოს სიებში ეს სახელი მხოლოდ უბრალო ფანქრით იყო მიწერილი, ვიღაც, ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტ წელში დაბადებულ შაქრო გლახოს ძე თანდილაშვილის გვართან.

მართლაც და თვითონ ტანტალასათვის რომ გეკითხნათ, ვინ იყო შაქრო გლახოს ძე თანდილაშვილი, უცბად ვერც კი მოისაზრებდა პასუხის გაცემას. მას, ალბათ, კარგა ხანი დასჭირდებოდა იმის მოსაფიქრებლად, თუ ვინ იყო გლახო და მხოლოდ მამის შორეული აჩრდილი თუ მოაგონებდა მას, რომ ოდესღაც სოფლის უბნებში მოტანტალე ბიჭს შაქრიას ეძახდნენ და ეს შაქრიაც, სწორედ ის იყო, ვისაც სოფელმა შემდეგ მეტსახელად ტანტალა შეარქვა.

არცთუ გასაკვირია რომ ორმოცდათვრამეტი წლის კაცს თავისი წარმოშობის პირველწყარო დავიწყნოდა ამ ორომტრიალში. რა არ შეიცვალა დედამიწის ზურგზე, მას შემდეგ, რაც ტანტალა ქვეყანას მოევლინა. რა ქარიშხალში და ღვართქაფში არ ჩააგდო ცხოვრებამ ის, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ვერ მილამა ნაფოტი ტალღამ.

ჯერ კიდევ ცხრამეტისა არ იყო ტანტალა, რომ მამამისის წყალობითა და მეოხებით იარალოვის ტრაქტის იამშჩიკად დაინიშნა კახეთის გზაზე, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ამხანად რკინისგზაც ესტუმრა ალაზნის ველსა და ჩქარა ექვსცხენშებმულმა ჟღარუნა დილიჟნებმაც ჩაილულის წყალი დალიეს. მოხერხებულმა იარალოვმა დილიჟნები ეტლებით შესცვალა და საქმესჩახვედრილი ტანტალა იმთავითვე პირველ კაცად დაიახლოვა.

აი ამ „ცხონებული ხაზეინის“ ხელში, როგორც თვითონ ტანტალა იტყოდა ხოლმე, პირველად იგემა მან ფულის სიტკბოც და მისი ძლიერებაც. ის იყო და ის. კრიალა ეტლის მაღალი კოფოდან მედიდურად გადახედა ლურჯი მაუდის ნაოჭებიან ქურქში გამოწყობილმა „ტანტალა იამშჩიკმა“ წელში ოთხადმოხრილ გლახო გუთნისდედასა და გაუმაძღარი წურბელასავით მიეკრა ცხოვრებას.

მოკვდა იარალოვი, ხნულში დალია სული გლახომ, აღელვებული ზღვასავით აიშალა ფაფარაყრილი ცხოვრება, მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ ჩაკლა და ვერ ჩააზმო ტანტალაში სურვილი გამდიდრებისა. რაც უფრო ძლიერდებოდა ქარიშხალი, რაც უფრო მძაფრად და თაგვამეტებით ანგრევდა ოქტომბრის რევოლუციის ტალღა ძველი ცხოვრების ხავსმოდებულ ზღუდეებს, მით უფრო იზრდებოდა შური და ბოღმა ტანტალას გულში.

დაჰქროდა „ტანტალას ფაიტონი“ შარაზე, გადაჰყავდა მგზავრები, გადაჰქონდა ბარგი, იცვლიდა ტანტალა ქურქს, ეტმასნებოდა ცხოვრების ტალღას, მაგრამ ვეღარ იმაგრებდა სიხარბით დამძიმებული ადამიანი ახალი ცხოვრების ზედაპირზე თავს და ნაპირს გარიყული ლოდებს ამოფარებულ წუმპეებში ეძებდა ხსნას.

მშიერ-მწყურვალი მათხოვარივით ეტანებოდა ტანტალა ცხოვრების ნასუფრალს. მოუსვენარი მგზავრივით დაძრწოდა კუთხიდან კუთხეში და რაც უფრო ცვდებოდა მისი ეტლი, რაც უფრო ხანში შედიოდა თვითონ ტანტალა, მით უფრო გულღძუ, უმადური და ხარბი ხდებოდა ამ ადამიანის გაუმაძღარი გული.

იარალოვის ნაანდერძევი სიმდიდრიდან ერთი ეტლიღა შამორჩა ტანტალას ხელთ, როცა გაუჭირდა და თავისუფლად ნავარდობის გზები ჩაეკეტა, ამ ნარჩენებით შევიდა ის მეეტლეთა არტელის მრავლში და შემდეგ პირადი თხოვნითა და გამგეობის დადგენილებით, ჯერ კიდევ სამამულო ომის მძიმე წლებში, როცა ტრანსპორტის საერთო გასაჭირი იყო, ობოლაშენის საცდელი სადგურის განკარგულებაში გადაირიცხა ამ დაწესებულებათა შორის დადებული ხელშეკრულების ძალით.

ეს არცთუ ისე ცუდი იყო ტანტალასათვის. ობოლაშენის საცდელი სადგური მხოლოდ სათუთი ნერგების გადასატანად და სხვა წვრილმანი დავალების შესასრულებლად თუ იყენებდა ტანტალას ეტლს. ტანტალა კი პირიქით, სარგებლობდა სადგურის სახელით და თავის სახლკართან ახლოს მყოფი, გულმოდგინედ დაეძებდა შარის პირას ჩარიგებულ, გაჭირებულ მგზავრებს.

* * *

სოფლის განაპირას, იქ სადაც ობოლაშენის საზღვრები თავდება და ვერხვისხევის მინდვრები იწყება, ქვა-აგურით ნაგები ორსართულიანი და ფართო —

აივნიანი სახლი ედგა თანდილაშვილს. ეს სახლი მან „ბლახოს ფიცრული ქოხის ნანგრევებზე ააგო და მთელ კარ-მიდამოს ქვიტკირის მაღალი გალავანი შემოავლო, რომ ავ თვალს არ გადაეხედნა მის ეზოყურეში.

სახლის პირველი სართული სამარან-ბეღლად იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე სართულში თვითონ ტანტალა ცხოვრობდა თავისი ოჯახით. პატარა ეზოში საჩეხიც იდგა ეტლისათვის და საბძელ-გომურიც პირუტყვისთვის. დღეში ორჯერ გაიღებოდა ხოლმე გამოსული მუხისგან შეკრული დიდი ალაყაფის კარები — ერთხელ გარიჟრაჟზე, როცა კოფოზე წამომჯდარი ტანტალა სამუშაოდ გადიოდა სოფელში და მეორედ, როცა შეღამებისა უკან ბრუნდებოდა ნამუშევარი. სხვა დროს კი ალაყაფის კარებიც ჩაკეტილი იყო აქა და სახლის დარაბაც. არა ახმიანებდა რა თანდილაანთ კარ-მიდამოს. ჩუმად წვებოდნენ კარისეენახის ღობესთან გადმოყუდებული კაკლის ხის ჩრდილები ეზოში, იწელებოდნენ აბრეშუმის ყაჭის ძაფიკით და მზის ჩასვლასთან ერთად ჩუმადვე ქრებოდნენ.

ან კი ვის უთქვა აიხმიანებინა ეზო. პირველ ცოლთან შვილი არ აჩუქა ტანტალას ბედმა, მეორეს ხელში კი თანმოყოლილი გერიღა შემორჩა მეეტლეს.

აი, ეს გერი იყო, რომ უფორიაქებდა ტანტალას გულს. დოკლათით სავსე შეძლებულ ოჯახში არც ლუკმა იყო გერისთვის საკმაო, არც კუთხე მუხლის ჩასაკრეფი. გარიჟრაჟიდან აბუზღუნებული ტანტალა არც ცოლს ერიდებოდა არც ცოლის ქალიშვილს.

— ცოლი ცოლია, მაგრამ ერთი გამაგებინეთ, ეს ვიღაა, ეს ვინ ოხერი გამიჩნდაო.—ყველას გასაგონად ჰყვიროდა ის და ლანძღვით იკლებდა ორივე დედა-შვილს.

უთენია ადგებოდა ტანტალა, აანთებდა ფარანს და ვიდრე ცხენებს მიკვლა-პატრონობას შეუდგებოდა დაუვლიდა ეზოს. სად კასრში ჩაყრილ ხორბალს გაზომავდა დანიშნული ორკაპით ხელში, ჩემს აქ ყოფნაში ხომ არავინ ამოიღოო. სად კიდობანში შოთებს გადათვლიდა მეტი ხომ არ შეეჭამაო. მარანში ბეჭედს გაუსინჯავდა ქვევრებს. სხვენში ნივრისა და ხახვის გალებს გადააწყობდა. საკუჭნაოში ერბოს ქილებს შეამოწმებდა, ნალიაში სიმინდს და ქერს. დაძრწოდა ტანტალა სართულიდან სართულში. სხვენიდან სარდაფში, გომურიდან საბძელში და ხარბად ითვლიდა თავის დოვლათს და ქონებას. ვაი ოჯახს, თუ რამე ისე არ დახვდებოდა, როგორც დასტოვა, თუ ცოტა რამ მაინც დააკლდებოდა ნავახშმევზე მორჩენილ კერძს. აიბურძგნებოდა ზღარბივით, აფორიაქდებოდა უშნოდ და მოჰყვებოდა ლანძღვა-გინებას.

— შემჭამეს და გამანადგურეს, ოჯახი და კერა დამინგრიეს ამ ხასამ და იმისმა ნაბუშარმაო. — ჰკიოდა ტანტალა ყოველგვარ რიდეს გადასული.

სირცხვილით იწვოდა საწყალი სალომე ამ სიტყვების გაგონებაზე. ხურავდა ფანჯრებს და დარაბებს, რომ ქმრის ყვირილი არ მისწვდომოდა მეზობლის ყურს, არ დაგორებულიყო უბანში და სახელი არ გასტეხოდა ოჯახს. ძველი ადათის ქალი იყო სალომე და რაკი ნაქერივალმა მეორედ გათხოვება იკისრა, ამ ტვირთვის ზიდვაც უსიტყვოდ და ჩუმად არჩია. ეგ იყო რომ შვილი ეცოდებოდა საწყალს. უჭირდა ერთადერთი ქალის გამოზრდა ქმრის გამოთვლილი ლუკმითა და გაბეზრებული, გულით წყეულიდა გაჩენის წუთს.

ტანტალა კი თხუნელასავით დაძვრებოდა ხვრელიდან ხვრელში. მარცვალს მარცვალზე ადებდა და დოვლათს დოვლათზე უმატებდა. სად იყო და სად არა—ხან ბურვაკს მოიყვანდა სახლში გასასუქებლად, ხან მთაში გადამალულ კვიცს გადაუცვლიდა მეცხვარეს ბატკნებში, მერე ამ ბატკნებს სარფად გაყიდიდა, მოგებულ ფულს ნაცნობებში გაასესხებდა, თავს სარგებელს მუმატებდა და მეორე დღემდე გულმოჯერებული, ეტლის კოფოზე წამომჯდარი, ჩუმი ღიღინით დაუვლიდა უბნებს.

სარგებლიანი ნაცნობობაც უყვარდა საქმეში. დიდს ეტმასნებოდა. უფლებინს ტკიპასავით ეტანებოდა. თუმცა ეს კია, თუ კაცისაგან არაფერს გამოელოდა არც შეაწუხებდა ასეთ მოქალაქეს, გვერდით ჩაუვლიდა, სალამს არ მისცემდა, წყალს არ მიაწვდიდა წყაროსთან მდგომი.

განსაკუთრებით უფლებააყრილი კაცის მიმართ იყო ხოლმე ლმობიერი ტანტალა. თუ გაიგებდა მავანი მოხსენესო, იმ კაცის ქუჩაზე ჩაატარებდა ეტლს, ეცდებოდა პირისპირ შეჰყროდა, თვალს გაუსწორებდა, აფთიაქის ბოთლზე გამოხატული თავის ქალასავით დაკრეჭდა კბილებს და ყელში მოწოლილი სიხარულით მიუსამძიმრებდა.

— აგრეა შვილოსან, დრონი მეფობენ და არა მეფენიო!.. აბა, მიყურე, ერთ დროს მეც ვიყავ იარალოვის კამპანიონი და ხომა ხედავ ბედმა რა მიქნა, ლამის არის საკუთარი ფარაჯის ჭუჭყმა შემჭამოსო. — ეტყოდა ამას და თავმომწონედ დასძრავდა ეტლს. გადაიცნობდა გუშინდელ სათაყვანებელ კერპს მხარს აუქცევდა სალოცავ ხატს.

უნდა ითქვას რომ პირის გემოც იცოდა ტანტალამ. გარიჟრაჟზე სახლიდან გამოსული არ დაიკლებდა არაყს და ხაშს. სადილად ერთ ჩარექა ღვინოს მაინც გამოცლიდა რაიკომის სასადილოში და თუ საქმე მოითხოვდა, გამორჩენის სუნი მოუვიდოდა, სუფრასაც გაუშლიდა თავკაცებს მდინარის პირას. ცოცხალი ორაგულითა და მცვრიანი მწვადებით გაუმასპინძლდებოდა სტუმრებს. ტკბილი სიტყვით შეამკობდა მოსუფრალთა წარსულს და მომავალს, უფროსების მზეს დაიფიცებდა და რაიონის ხელმძღვანელობას დიდი ჯამით ადღეგრძელებდა.

ღვინის სმაც და სიმთვრალეც კარგი იცოდა ტანტალამ. თაფლივით დატკბებოდა ღვინოში, სანთელივით მოიღვენთებოდა, ფიანდაზად გაუწვებოდა დიდსა და პატარას. სამაგიეროდ სახლში მოუვლიდა რეტი. დაერეოდა ოჯახს, აეწიოკებდა კეთილისმსურველთა და კეთილისმყოფელთ. ძველ ანგარიშებს მოუგონებდა ცოლს. ყველაფერს როშავდა რაც მას ეხებოდა და არ ეხებოდა.

ერთადერთი სანუგეშო ისღა ჰქონდათ ქმრისა და მამინაცვლისაგან გაბეზრებულ დედა-შვილს ამ ცხოვრებაში, რომ გარიჟრაჟიდან დაღამებამდე დრო იმათ ხელში იყო და ისინიც მეთი დღის მანძილზე სიამტკბილობაში უქარვებდნენ ერთმანეთს დარდს.

წარჩინებით დაამთავრა თეონამ ობოლაშენის საშუალო სკოლა და კომკავშირის წაბალისებით უმაღლესში წასვლაც გადასწყვიტა, მაგრამ ერთის მხრივ დედის მარტო დატოვებამ ტანტალას ხელში და მეორეს მხრივ თვითონ ტანტალას ცივმა უარმა შეაცვლევინა ეს განზრახვა.

სალომე კიდეც გააკვირვა ქმრის ასეთმა მოულოდნელმა საქციელმა, ის თითქო მოხარული უნდა ყოფილიყო გერის ოჯახიდან გასვლით. თეონა ხომ არც ფულს ითხოვდა ტანტალასაგან და არც სარჩოს. მედალოსანი გოგონა სახელმწიფოსაგან მიიღებდა ხელშეწყობასაც და დახმარებასაც. არა, აქ სხვაგვარად იხლართებოდა საქმე, მაგრამ ვერ გაეგო საბრალო დედაკაცს, ვერ ჩახვედროდა საქმეს.

*
* *

სამაგიეროდ თვითონ ტანტალამ კარგად იცოდა რა უნდოდა და საითა ჰგრეხდა. კაცი კაცის ხიდი არისო, ძველადვე უთქვამთ ჩვენ წინაპრებს. გრძნობდა ტანტალა რომ ვეღარ გაუძლებდა მარტო ახალი ტალღის შემოტევას და აფორიაქებული გამოსავალს ეძებდა. ამ ზაფხულის მიწურულებში უთავდებოდა ვადა საცდელი სადგურის მიერ მეეტლეთა არტელთან დადებულ და ბარე ერთი ათჯერ ვადა განახლებულ ხელშეკრულებას. მოხერხებული ტანტალა მეთერთმეტედაც შესძლებდა ამ სამეცნიერო დაწესებულების გულჩვილი დირექტორის გადაბირებას და ახალი ხელშეკრულების დადებას, რომ ახლად დანიშნული სადგურის დირექტორის მოადგილე არ გადადგომოდა ტანტალას განზრახვას გზაზე.

სოფლის მეურნეობის კარგი მცოდნე და გამჭრიახი მეურნე იყო ავთანდილ იშხელი. მან „ტანტალას ფაატონის“ დანახვაზე გულიანად გადაიხარხარა, მაგრამ როცა გაიგო რომ ეს საფრთხობელა მათ საცდელ სადგურს ემსახურებოდა, გაოცებულმა და გაჯავრებულმა იმ დღიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ტანტალას ეტლს.

ავთანდილისათვის ძნელი არ იყო დაემტკიცებინა კოლეგებისათვის თავისი მოსაზრება. პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები სოფლის მეურნეობის წინაშე უშუალოდ ეხებოდა ობოლაშენის საცდელ სადგურს. შრომატევადი სამუშაო პროცესების მექანიზაციის საკითხი ერთი მთავარი ქვაკუთხედთაგანი იყო სადგურის სამუშაო გეგმისა. მათ განკარგულებაში მყოფი ავტომანქანები ჭარბადაც კი უზრუნველყოფდენ ტვირთზიდვის გეგმას, მაშ ვის რაღად უნდოდა ტანტალას წელკავიანი საფრთხობელა. რა ძალა და მიმზიდველობა უნდა ჰქონოდა საბჭოთა ინდუსტრიის მიღწევათა მქადაგებელ ტაძარს, რომელიც ჯერ კიდევ ტანტალას წნელაკრული ეტლით სარგებლობდა? ვთქვათ ეს საფრთხობელა არც პირველი იყო სადგურის ცხოვრებაში, და არც უკანასკნელი, მაგრამ მისი უბრალო არსებობაც კი, სამეცნიერო კერის ეზოში, სამარცხვინო ლაქად მიაჩნდა გულფიცხ ვაჟკაცს და გულმართალ კომუნისტს.

დირექტორი დაეთანხმა ავთანდილის სამართლიან მოსაზრებას, მაგრამ წარსულში თანდილაშვილის სტუმარმასპინძლობით პატივნაცემმა ის მაინც მოახერხა, რომ ტანტალაცა და იმისი ეტლიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყავლის გასვლამდე ისევ სადგურის განკარგულებაში დასტოვა.

ხაფანგში გამომწყვდეული თხუნელა გამოსავალს ეძებდა. ბეზარზე მოსული მიკიოტი თავისთავის დასამშვიდებლად რიხიანად გაიძახოდა ავთანდილზე:

— ბევრი გვინახავს, ბევრი!.. მაგასაც ვნახავთ და მაგასაც ამოვიჭამთო... გაიძახოდა მაგრამ გული უგრძნოდა, რომ ჩალიჩობას ბოლო ეღებოდა. მის წინ თანდათან ივსებოდა ხვრელები. არტელში დაბრუნება სიკვდილსა ნიშნავდა, ვინღა მისცემდა იქ თავისუფლად თარეშის უფლებას. ობოლაშენის კოლექტივში ტანტალას ყბადაღებული საფრთხობელა სასაცილოდ არა ყოფნიდათ.

რა უნდა ექნა საბრალო ტანტალას, ვის მიჰკედლებოდა, ვისთან მისულიყო. რითი უნდა შებრძოლებოდა კარსმომდგარ უბედურებას. როგორ უნდა დაეცვა და მოემრავლებინა ბეღელში პური და ჯიბეში ფული. რა ძალა ჰქონდა მას რომ ახალი ცხოვრების კანონებს წინ აღსდგომოდა. რა უნდა მოემქედნა ისეთი რომ თავისი ჭუჭყიანი ფარაჯა არ შემოხეოდა ტანზე და ამ ჭუჭყიანის—ფარაჯის ქვეშ უფრო ჭუჭყიანი მძორი არ დაენახათ მეზობლებს. ის ხომ ვერაფრით ვერ შესცვლიდა ჩვენი ცხოვრების მდინარებას, ვერ შეაჩერებდა მას. ვერ იყიდიდა და ვერ გაყიდიდა.

ტანტალა ხომ მხოლოდ ხავსმოდებული ნაფოტი იყო, ნამსხვრევი ძველი ხომალდისა. ის ხომ გრიგალს შემთხვევით გადარჩენილი ღობის ძირას მიყუჟული სარეველა ბალახი იყო და სხვა არაფერი.

მას ხომ ისე უნდა ეცხოვრა ქვეყანაზე, როგორც რაიმე სნეულების გამავრცელებელ, თვალითუხილავ პატარა ჩხირს, ჩხირს, რომელიც იპოვის ნიადაგს საღ სხეულში, გაიდგამს ფესვს ერთი შეხედვით შეუმჩნევლად და მერე კი ტანს მოდებული ციებცხელებით მოკრუნჩხავს მსხვერპლს. და აი სწორედ ამ ნიადაგს ეძედა დაღუპვის კარს მიმდგარი წურბელა, ეძებდა და როცა იპოვა ორივე ხელით ჩაეჭიდა, ჩაებღაუჭა.

ერთხელ ტანტალამ ყური მოჰკრა უბანში ფრთხილად დარხეულ ხმას. ავთანდილ იშხელს სალომეს ქალი სადღაც უნახავს და ძალიან მოსწონებია ობოლიო. სხვა დროში და სხვა პირობებში ტანტალა ამას ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ახლა სიხარულით ჩაებღაუჭა ამ ამბავს და გულში იმედი ჩაესახა.

— იქნებ როგორმე დავიახლოვო ავთანდილი. კარგი მოყვარე გავიჩინო, საქმე გავჩარხო და ეგ გოგოც მოვიშორო თავიდანაო. — გაიფიქრა და საქმეს შეუდგა.

კარგა ხანს უტრიალა არამკითხე მაჭანკალმა ახალგაზრდა კაცს. ჯერ იყო და თავი შეაბრალა, ვითომდა დაცარული ოჯახის ბედით, მერე თეონასათვის რაიმე პატარა ადგილის გამოძებნა სთხოვა და ბოლოს, როცა თავმობეზრებული იშხელის დასტური მიიღო — კარგი მოიყვანე და ვნახოთო — აღარ დააყოვნა, ახალ კაბაში გამოწყობილი თეონა ეტლში ჩასვა და ავთანდილისაკენ გასწია.

ობოლაშენის საცდელი სადგური სოფლის თავში იყო მოთავსებული, იქ სადაც მთის დაფერდებული კალთები და ამ კალთებზე მიმოფანტული ამომავალი მზის პირველი სხივები უხვად დანათიან ლურჯად მთიბინე გარემოს.

როგორც მოგახსენეთ გაზაფხულის მყუდრო ნაშუადღევი იდგა. ნელა მიიზლაზნებოდა სოფლის შარაზე ტანტალას ეტლი. მთებისკენ დაგორებული მზე უხვად დანათოდა ტკბილ ზმორებაში მიყუჩებულ გარემოს.

ორლობეში არავინ ჩანდა. მინდვრებსა და ვენახებში გაკრეფილ სოფელში ჩქამი არ ისმოდა. ნაშუადღევის მდორე სიჩუმეს, ღობის ძირას ჩარიგებული ტყემლისა და ნუშის აყვავილებულ ტოტებთან მოფარფატე ფუტკრების ბზუილი და სადღაც შემძვრალი ჭრიჭინობელას გაბმული ჭრიჭინი თუ არღვევდა, სხვა არაფერი. გზის პირას გადმომდგარ ვეება კაკლებს მზის სხივებით ამოქარგული ხალიჩები დაეფინათ გზაზე.

ეტყობა, გაზაფხულის მომთენთავ სიამეს ცხენებიც გრძნობდნენ. ისინი ზანტად მისდევდნენ ორლობის აღმართსა და წამდაუწუმ ჩრდილისკენ იწევდნენ. კოფოზე წამომჯდარი ტანტალა უხალისოდ ეხმიანებოდა მათ და დაზანტებულ ცხენებს შოლტით აფხიზლებდა.

ეტლის სახელურს დაყრდნობილი თეონა ალმაცერად შეჰყურებდა მიყუჩებულ გარემოს. ახალგაზრდა გოგონასათვის უცხო არ იყო არც დაკუნწულული იასამანი და არც ღობის ძირას მორცხვად აყვავებული შროშანა. მისი ლამაზი, ჯერ კიდევ ბავშვური სახე, ნუშისებრ მოყვანილი თაფლისფერი თვალები, ოდნავ გაპობილი უბიწო ბაგე, ალერსით სავსე გულმკერდი და უბრალო ჩითის კაბის ხვეულებში მომხიბლავად მოხაზული სხეულის ნაკვთები უნებურად ეპაექრებოდნენ გაზაფხულს თავისი მშვენებითა და თენთვით.

სხივოსნობა ბუნების მადლიერი კალმით დახატული სურათისა ოთხთვალიან საფრთხობელასაც მისდგომოდა, ის თითქო აღვიძებდა კიდეც მის შორეულ წარსულს, მაგრამ როდენ შემზარავი იყო ეტლის კოფოზე წამომჯდარი, ჭუჭყიან ფარაჯაში გამოხვეული სიმახინჯე, რომელიც გაზაფხულის მშვენებას დაუფლებოდა და ვინ იცის საით მიუძღოდა მას.

* * *

საიდან წარმოიდგენდა ავთანდილ იშხელი, რომ თეონა, რომელიც სადღაც შემთხვევით ნახა მან და რომელმაც მართლა მოხიბლა ვაჟკაცი თავისი სათნო

ნილამაზით, სწორედ ის ობოლი გოგონა გამოდგებოდა, რომლის სამსახურში მოწყობასაც ასეთი დაჟინებით სთხოვდა, თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ვიღაც ხელმოკლე მეეტლე მას.

სწორედ გითხრათ მოძალებული საქმით გართულ ავთანდილს დაავიწყდა კიდეც თავისი დაპირება და ის ახლა ერთხანს გაოგნებული უცქერდა სადგურის ფართო ეზოში შემოფარფატებულ ეტლს, კოფოზე უშიოდ წამოსკუპებულ ტანტალას და ეტლის კუთხეში მორცხვად მჯდარ ახალგაზრდა ქალს.

ავთანდილის დანახვაზე ტანტალამ სადავე მოსწია ცხენებს და ეტლი შეაჩერა, რისთვისაც მას რასაკვირველია დიდი ძალ-ღონის დაკარგვა არ დასჭირვებია, მერე კოფოდან ჩამოფოფხდა და ავთანდილთან მისულმა, ცბიერი ღიმილით ჩაილაპარაკა.

— აი, უფროსო, გოგო გაახელ და ახლა შენ იციო.

ავთანდილს ეტყობა არ ესიამოვნა ტანტალას სიტყვა, მან უნდოდ შეათვალიერა მეეტლე, ქურდულად გადახედა თეონას, რომელიც უკვე გადმოსულიყო ეტლიდან და იქვე შორიახლოს თავჩაქინდრული იდგა.

— კარგი, ცოტა ხანს დამიცადეთ აქ. — სთქვა მან და დირექტორის კაბინეტისაკენ გასწია.

ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა ავთანდილმა დირექტორს, როგორ დაუხასიათა თეონა პატივცემულ მეცნიერს, რომელიც უკვე კარგა ხანია ხელმძღვანელობდა ამ მეტად მნიშვნელოვან და სასარგებლო დაწესებულებას, მაგრამ როგორც გამოირკვა, ამ მოლაპარაკების შედეგად, თეონა სადგურის ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად დაინიშნა და ნიჭიერი გოგონაც ჩქარა დაეუფლა მისთვის დიდსა და საპატიო საქმეს.

სათნო და მიმზიდველმა ქალმა უმალ მიიპყრო საცდელი სადგურის კოლექტივის ყურადღება და სულ მოკლე ხანში სიყვარულიც დაიმსახურა. მართლაცდა არ შეეძლო ადამიანს გვერდი აევლო ამ ნაზი და გულუბრყვილო ქმნილებისათვის, რომელიც ერთი უბრალო ღიმილითაც კი ნათელსა ჰფენდა ყველას და ყველაფერს.

განსაკუთრებით თვითონ თეონა შეიცვალა. სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა, ტანტალას სახლის პირქუშ კედლებშუა გამომწყვდეული და მამინაცვლის ლანძღვა-გინებით თავმობეზრებული ახალგაზრდა ქალის წინაშე.

საცდელი სადგურის ყოველდღიური მჩქეფარე ცხოვრება, გამუდმებული ფაცი-ფუცი, გაცხოველებული კამათი, ხშირად თეონასათვის გაუგებარ, მაგრამ როგორც ეტყობა, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე არაფრით არა გავდა ტანტალას მიმკვდარ ეზო-ყურესა და მუდამ ყველასათვის კარგამკეტილ სახლს. საქმით გართული თეონა შინით უცდიდა აამუშაო დღის დამთავრებასა და შინ დაბრუნების წუთს. მართალია იქ დედა ელოდა მოუთმენლად მას და შვილიც აღტაცებით უამბობდა ხოლმე საღამეს განვლილი დღის ამბებსა და გულახდილად უზიარებდა სამსახურში მიღებულ შთაბეჭდილებას, მაგრამ მაინც მთელი თავისი არსებით სძაგდა თეონას კაკლის ხეებით დარჩდილული და მუდამ დარაბაკრული საპყრობილე. და რაც უფრო ეწაფებოდა თეონა საზოგადოებრივი ცხოვრების მჩქეფარე ნაკადს, მით უფრო იზრდებოდა ზიზღი შინ გამდგარი ჭაობისადმი.

განსაკუთრებულ მზრუნველობას თეონასადმი ავთანდილ იშხნელი იჩენდა. მართალია თეონას სილამაზე მუდამ ჰხიბლავდა ავთანდილს, მაგრამ ქალისადმი მზრუნველობაში ანგარებას მაინც ვერავინ დასწამებდა მას.

მეტად მჩქეფარე და დაუდგრომელი ხასიათის კაცი იყო ავთანდილი. მხოლოდ ცოდნის წყურვილი და გამარჯვებისადმი შეუნელებელი მისწრაფება თუ ამოქმედებდა ვაჟკაცს. საქმეც შნოიანად მოსდევდა ხელში და ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა კაცი დიდი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიგებში, ისე პარტიული აქტივის წრეში. ადამიანი ვერასოდეს ვერ ნახავდა მას დაწყნარებულსა და დამშვიდებულს. აქ ახალი სისტემის გუთნების გასინჯვა იყო საჭირო, იქ ახალი ჯიშის შემოწმება, სხვაგან მცენარეთა საკვები დოზისა და ნორმების დადგენა, კიდევ სხვაგან ჯიშების შერჩევა ნიადაგის მიხედვით და ასე შეუსვენებლად მისდევდა ავთანდილი მუდამ მოზღვავებულ საქმეს.

სწორედ პარტიის სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა მიღების შემდეგ დაინიშნა ავთანდილ იშხნელი ობოლაშენის საცდელ სადგურში. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა ახალგაზრდა კაცის ნებისყოფა და განსაკუთრებით აღფრთოვანა ის. პირდაპირი და ქედმოუხრელი კომუნისტი, მიმნდობიც იყო საქმეში და მომთხოვნიც. საკმარისი იყო არ გაემართლებინა კაცს იშხნელის წარმოდგენა, რომ ეს კაცი სამუდამოდ ამორიცხულიყო მისი გულიდან. ავთანდილის მთლიანი ბუნება ვერ ეგუებოდა ვერც ორპირობასა და ვერც მლიქნელობას.

თეონასადმი ავთანდილს, როგორც ამას თვითონ ფიქრობდა, მხოლოდ სიბრალულის გრძნობა ამოქმედებდა. მან ყურმოკვრით იცოდა, რომ ახალგაზრდა ქალს არ გაუმართლდა იმედები და ოჯახურმა პირობებმა უმაღლეს სასწავლებელში წასვლაზე უარი ათქმევინა. ამ პირობების ზედმიწევნით გამორკვევა ავთანდილმა უხერხულად მიიჩნია და ამიტომ თეონასთან ამაზე ლაპარაკს თავი აარიდა. სამაგიეროდ, მეორე სურვილმა მაგრად გაიდგა იშხნელის გულში ფესვი. მან გადასწყვიტა როგორმე ხელი შეეწყო ქალისთვის და თეონა უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო. თავისი მოსაზრება ავთანდილმა გაუზიარა ქალს, საბუთებიც გააგზავნია თბილისში და ეს საქმე მათი მეგობრობის დუღაბად იქცა.

ხშირად, მოზღვავებული საქმით მოღლილ-მოქანცული ავთანდილი, თეონას ლაბორატორიაში ეძებდა შვებას. იქ წუთით შესვენება და უბრალო ბაასი რაიმე უმნიშვნელო საგანზე ახალ ძალასა და ენერგიას მატებდა მას. მართალია ეს შეხვედრები ხანმოკლე იყო, ლაპარაკიც მიკიბულ-მოკიბული და დაღლაგებელი, მაგრამ სადღაც მაინც გრძნობდა ახალგაზრდა კაცი თუ როგორ ამშვიდებდა მას თეონას ხავერდივით რბილი და რაღაც ჯრუანტელმომგვრელი სითბოთი აღსავსე ხმა. როგორ აწყნარებდა სახეზე შუქივით გადაფენილი გულუბრყვილო და სათნო ღიმილი. როგორ იზიდავდა დიდრონი, ოდნავ დაბურუსებული თვალების ელვარება.

ერთი-ორჯერ, ტანტალას თავმომაბეზრებელი თხოვნის შედეგად, ავთანდილი თავისი უახლოესი მეგობრებით თანდილაშვილების ოჯახსაც ეწვია. გაიცნო თეონას დედა, სალომე და ტკბილი ბაასიც გამართა მასთან.

თანდილაშვილებთან სტუმრად ყოფნისას იშხნელი ოდნავ გააკვირვა ოჯახის დოვლათიანობამა და შეძლებულობამ. ეს თითქო არ ეგუებოდა ტანტალას მიერ მოყოლილ ამბებს ამ ოჯახის ხელმოკლეობასა და დაცარულობაზე. ამან ერთგვარი ეჭვიც კი დაბადა ახალგაზრდა კაცში, მაგრამ თეონას განსაკუთრებით ნაღვლიანმა სახემ იმ საღამოს და ქალის ერთგვარად ხელფეხშეკრულმა ქცევამ საკუთარ ოჯახში, უმალვე გაფანტა ეს ეჭვი.

დუხჭირნაჭამი სალომეს გამოცდილმა თვალმა კარგად შეამჩნია ის, რაც თვითონ ავთანდილს ასე უცნაურად გამოეპარა. ავთანდილის მზრუნველობაში, დარბაისელმა ქალმა, სხვა ძალა იგრძნო და ვაჟკაცის მოელვარე თვალებში სხვა ნაპერწკალი დაინახა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს თეონას ბრალიც იყო. სალომე გუმანით გრძნობდა თუ რა ხდებოდა ცხრამეტი წლის გოგოს ალმოდებულ გულში და ამ ალის ანარეკლს იქნებ უნებურად ვაჟის თვალებშიაც ეძებდა.

მაგრამ თუ ავთანდილის გრძნობაცა და მოქმედებაც ერთგვარად ჩრდილმოსილი იყო, თეონას განწყობილება ეჭვს აღარ იწვევდა. მართალია თეონას თავისი გულისნადების შესახებ დედასთან კრინტიც არ დაუძრავს, მაგრამ სალომეს გარკვევით ესმოდა თეონას გულის ბაგაბუგი და გრძნობდა როგორ მღეროდა ყველაფერი მასში.

ღამით ეზოში გამოსული თეონა საათობით გაჰყურებდა მოციმციმე ვარსკვლავებს და ბედნიერი ღიმილით შესცინოდა მათ. ის ახლა გაურბოდა მთვარიან ღამეში წამოზიდულ კაკლის ვეება ჩრდილებსა და ტანტალას ბუზღუნიც ნაიარების ყრუ ტკივილად ეჩვენებოდა. ის თითქო მოსწყვეტოდა ამ დახავსებულ ეზო-ყურესა და სადღაც ზევით, ქარავანივით გაწვდილი ღრუბლების ფანტელეში ცურავდა.

დილით სამსახურში მიმავალი გულისფანცქალით მიჰყვებოდა სოფლის შარას, პეპელასავით თავს დასტრიალებდა სურნელოვან ზამბახს, ფრთაწითელ ყაყაჩოს, მშვენიერ შროშანასა და თაიგულივით ყელმოღერებულ სოსანს.

ის გულმოდგინედ ჰკრეფდა ღამაზი ყვავილების კონასა და ამ თაიგულით ხელში საცდელი სადგურის ეზოში შესული მორცხვი და შემპარავი გამოხედვით ეძებდა ავთანდილს, რომ ერთხელ მაინც მოეკრა თვალი, რომ კიდევ ერთხელ ეგრძნო მისი სიახლოვე და კიდევ ერთხელ ეხილნა ძვირფას სახეზე მუდამ გამამხნევებელი და იმედის მომცემი ღიმილი.

გრძნობდა გოგონა რომ მას აღარც არსებობა შეეძლო და აღარც სუნთქვა ამ ახალი ოჯახისა და ამ ოჯახის სულისჩამდგმელის, ავთანდილის გარეშე. მაგრამ რაც უფრო მძაფრად და ძალუმად ეუფლებოდა ეს გრძნობა ბუნებით მორცხვსა და ცხოვრებაში გამოუსვლელ გოგონას, მით უფრო მალავდა ის გულსნადებ სურვილს და ოცნებას.

ავთანდილის წინაშე თეონა მხოლოდ მორჩილებით აღსავსე, მისი სურვილების გამომცნობი და შემსრულებელი გოგონა იყო და სხვა არაფერი. ქალის ეს მოჭარბებული მორჩილება და თვალებში ცქერა უმძიმდა კიდეც ავთანდილს და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ყოველ: ვე ამას ახალგაზრდობით ხსნიდა, მაინც ადამიანის უფლებების პატივისმცემელ ვაჟკაცს ეს რაღაც მონური მორჩილება თეონას ხასიათის სისუსტედ მიაჩნდა და ეგრძოდა კიდევაც მას.

ასე მისდევდა დღე დღეს და შეყვარებულნი ჩვეულებრისამებრ კეკეტალულობას თამაშობდნენ. გარეშენი ან ვერ ამჩნევდნენ ამ თამაშს, ან არა და თვალს არიდებდნენ. ხოლო თავისი ეტლის კოფოზე წამომჯდარი ტანტალა აშკარად ხედავდა ყველაფერს და საქმის ასეთი გაჭიანურებით მოთმინებადაკარგული მოუსვენრად ცმუტავდა კოფოზე.

იწურებოდა ზაფხული და ხელშეკრულებასაც ყავლი უთავდებოდა. ავთანდილი ტანტალას ეტლზე აღარას ამბობდა, მაგრამ მეეტლე მაინც გრძნობდა, რომ თუ ავთანდილს თავის დროზე არ მოსთოკავდა, თანდილაანთ მყუდრო და უწყნარ ცხოვრებას ბოლო ეღებოდა.

ერთხელ ტანტალამ ყური მიჰკრა საცდელი სადგურის ახალგაზრდების ბაასს და გამოარკვია, რომ ავთანდილს თევზაობა გაგიჟებით უყვარდა. ტანტალამ აღარ დააყოვნა და იშხნელს მომავალი კვირისთვის თავისი ეტლი და თავისი თავი შესთავაზა. ავთანდილი დასტურით შეხვდა წინადადებას და რადგან ჭაობიანში მანქანით მგზავრობა მოუხერხებელი იყო, სათევზაოდ წასვლა ეტლით გადასწყვიტა.

* * *

ღამის სამი საათი იქნებოდა როცა ტანტალას ეტლი ავთანდილის ბინას მიადგა. იშხნელმაც აღარ დააყოვნა და გრძელყელიანი რეზინის ჩექმებში გამოწყობილი კარში გამოვიდა.

წყნარი და მთვარიანი ღამე იყო.

სათევზაო იარაღმოწყობილობით დატვირთული ავთანდილი მიუახლოვდა ეტლს და საჯდომთან ხელბარგის მოთავსება დააპირა, მაგრამ განცვიფრებული ერთ ადგილას შესდგა. ეტლის კუთხეში თეონა იყო მიყუჟული.

— თეონა, შენ?!—წამოიძახა არცთუ ნაწყენმა, არცთუ გახარებულმა ავთანდილმა და მერე იმავე კილოთი დასძინა. — შენც სათევზაოდ წამოსულხარ?

როგორც ეტყობა იშხნელზე არა ნაკლებ გაკვირვებულმა და დაბნეულმა თეონამ არა უპასუხა რა ავთანდილს, ის მხოლოდ ოდნავ შეირხა და კიდევ უფრო მიიყუჟა კუთხეში.

— წამოვიდეს, არა უშავს რა, კერძს მოგვიმზადებს, ეტლს და ცხენებს უყარაულებს.—თეონას მაგიერ უპასუხა ტანტალამ ავთანდილს, კოფიდან გადმოიხარა, ხელბარგი ჩამოართვა მგზავრს და ფეხთით დაიდო.

ავთანდილი თეონას გვერდით მოთავსდა და ეტლიც დაიძრა.

ღამის შედედებული სიჩუმე ცხენების ფეხის ხმამ და ეტლის ჭრიალმა დაარღვია. ჩქარა მგზავრები ობოლაშენის ორღობეებს გასცდნენ, გზატკეცილი გადასჭრეს და ჭალებისაკენ დაეშვნენ.

რბილად მიჭრიალებდა ეტლი მინდორში გაჭრილ საურმეზე. კომბაინებით მომკილ ყანებში განალეწი ნამჯის ზვინები უდაბნოში აღმართულ გოლიათებსა ჰგავდნენ. აქა-იქ გაფანტული ტრაქტორები საანეულოსა და საშემოდგომოს ხნავდნენ, მაგრამ მათი მწყობრი გუგუნი მაინც ვერ არღვევდა ღამის დიდებულ მყუდროებას. შორს, ცადაწვდილი მთის ქედები მოციმციმე ვარსკვლავებს უსწორებდნენ მწვერვალებს. ამ დიდებული ღამით მოხიბლული მთვარეც კი ღიმილით მისდევდა ეტლს. ქვევით გვლივით დაკლაკნული და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად შეფერილი მდინარე ზოლივით მოჩანდა.

ჩქარა ეტლი ჭალაში შევიდა და ვერხვიანის გრძელ ჩრდილებს დაჰყვა.

ავთანდილი ჩუმად გაჰყურებდა გზას და რატომღაც ცდილობდა თეონასაკენ არ მიეხედა. თეონა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს და კაკანათში გაბმული ჩიტივით მოუსვენრად წრიალებდა. ორივენი უმძრახებივით ისხდნენ და ძალაუნებურად ხელს უწყობდნენ მათ შორის ატუზულ უხერხულ სიჩუმეს.

ასეთ პირობებში ქალის მგზავრობას, ავთანდილი უხერხულად და ზედმეტად სთვლიდა.

თეონას ვერ გაეგო მამინაცვლის განზრახვა, რომელმაც გუშინ საღამოს სალომეს უბრძანა:

— ამაღამ თეონა წისქვილში წამომყვეს, იქ ხორბალი მაქვს მიტანილი და მინდის ჩამოსვლამდე საფქვავს ყარაულობა დასჭირდებაო. — ხოლო ამის შემდეგ, წისქვილის მაგიერ, განცვიფრებული ქალი შუაღამისას იშხნელის კარებს მიაყენა და ბოგნებული თეონა, ავთანდილთან ერთად, სათევზაოდ გზას გაუყენა.

გულმოსულმა თეონამ იქვე გადასწყვიტა ეტლიდან გადმოხტომა და შინ დაბრუნება, მაგრამ ბავშობიდან თანდაყოლილმა შიშმა მამინაცვლისადმი და უფრო კი უხილავმა ძალამ, რომელიც კარგა ხანია ბორკავდა მას, ეტლის კუთხეში მისჯაჭვა ქალი და ამ სურვილის სისრულეში მოყვანის ნება არ მისცა.

ეტლი ჭაობიანში გავიდა და ფრთხილად დაჰყვა ურმების ნაკვალევს. აღმოსავლეთით ცა ოდნავ შეთეთრდა. გადაფითრებულმა მთვარემ თავი დაანება ეტლთან სირბილსა და ტყეშექოჩრილი მთისკენ დაეშვა. ტანტალამ უნდოდ გადახედა მიყუჩებულ მგზავრებსა და ახალგაზრდების გასამხნევებლად სიჩუმე ისევ თვითონ დაარღვია.

— თევზაობა, უფროსო, — დაიწყო კოფოზე ნახევრად შემობრუნებულმა მეეტლემ — სწორედ დილით არის კარგი, ვიდრე წყალი გრილია და თევზიც თამამი. მაგრამ რად გინდა, ზუთხს ვერ დაიჭერ ჩვენ წყალში და ორაგულს, აკრძალულია!.. ლოქოს ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურწას აბა, მითხარით რა ფასი აქვს! — ამ სიტყვებზე ნაღვლიანად ამოიოხრა ტანტალამ, ცხენებს შოლტი გადაუჭირა და ისევ განაგრძო.

— გამკვირვებია, სწორე გითხრა, ვის რა ნება აქვს ღვთის გაჩენილი აკრძალოს და თავის კანონში მოაქციოს. გაუშვი კაცო, გაიხაროს ადამიანმა! ეს ტიალი თევზი რაღა ასაკრძალია. ამას წინათ ჩვენებიანთ კოფიას ბიჭს, ტპრუუ, შე ვერანა საით იწევ!.. ორაგული დაუჭერია, ცოტას გადარჩა არ გასთოკეს. აქაო და რათ დაწრიტეო მოკლე ტოტი, კიდევ კარგია მოსარჩლეები გამოუჩდნენ!..

როდა დღეს — ეს უსაზღვრო და უღრუბლო ცაში აზიდული ბუმბერაზებიც, ტკბილად მოდუდუნე მდინარეც და ჰაერში მოფარფატე პატარა პეპელაც.

— დაჯექ, თეონა, დაჯექ. დაისვენე!—ურჩია ავთანდილმა აფორიაქებულ ქალს და იქვე გადაჭრილ კუნძზე მიუთითა. თეონა მიუახლოვდა ვაკაცს და ბედნიერი ღიმილით ჰკითხა:

— შენ თუ გახსოვს ასეთი დილა, ავთანდილ?

ავთანდილმა არა უპასუხა რა ქალს, მან მხოლოდ თავბრუდამხვევი სითბო იგრძნო თეონას მკერდისა და უნებურად ხელი მოჰხვია.

* * *

ღრუბლიანი ორშაბათი დადგა. მართალია აგვისტოს კაშკაშა მზე დილიდანვე ღრუბლებს მიეფარა, მაგრამ მაინც ცივლოდა. ნაგვალავ მიწას ბუღი ასდიოდა. ჰაერი თითქმის არ იძროდა.

შენობაში, ღია ფანჯარასთან ავთანდილი იდგა. ის ნაღვლიანად გაჰყურებდა მოღრუბლულ ცას და თან მემანქანეს რაღაც მიმართვის ტექსტს უკარნახებდა. ოთახში მანქანის მწყობრი რაკარუკი ისმოდა.

— ზემოაღნიშნულის გამო... — აქ ავთანდილმა თვალი მოსწყვიტა მოღრუბლულ ცასა და მემანქანეს დაჰხედა. — ზემოაღნიშნულის გამო — გაიმეორა მან და აუჩქარებლად განაგრძო.—ხელშეკრულების განახლება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია... წერტილი...

ოთახის კარები მძიმედ გაიღო. კაბინეტში თეონა შემოვიდა, მას ხელში ქაღალდი ეჭირა. ავთანდილმა თავი ასწია, შეხედა ოთახში შემოსულ ქალს და გაშრა. მის წინ თითქმის სრულიად უცნობი ადამიანი იდგა. შუბლშეკრული და ცივი, უკარებელი და ამაყი. ბავშვური გულუბრყვილობის ნათელი სხივი, რომელიც ასე უხდებოდა მის სილამაზეს, რაღაც ძალას ერთ ღამეში წაეშალნა, გადაერეცხნა. ნირი მორჩილებისა შეუპოვრობით შესცვლოდა. ფერმკრთალ სახეზე სულიერი ბრძოლის კვალი აღბეჭდოდა. თვალებში დიაცური აღტაცების მაგიერ ნებისყოფის მაუწყებელი სხივი უელავდა.

თეონა დინჯად მიუახლოვდა ავთანდილს, ქაღალდი გადასცა, ცივი, მიუკარებელი მზერით შეათვალიერა ოთახი და კაბინეტიდან უსიტყვოდ გავიდა.

ავთანდილმა თვალი გააყოლა თეოიას და როცა ქალი კარებს მიეფარა ხელში შემორჩენილ ქაღალდს დაჰხედა.

ჩვეულებრივი განცხადება იყო. საცდელი სადგურის უმცროსი ლაბორანტი სამსახურიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ითხოვდა.

ავთანდილი აფორიაქდა.

— ტასო, გეთაყვა, მომეცი ერთი ეგ მიმართვა. დირექტორს უკვე შევუთანხმე. მე ახლავე მოვაწერ ხელს! — აღელვებით წამოიძახა მან.

მემანქანემ ნაბეჭდი მანქანიდან ამოიღო და ავთანდილს გადასცა. ავთანდილმა სწრაფად ჩაიკითხა მიმართვა, უსიტყვოდ მოაწერა ხელი და მემანქანეს უკან დაუბრუნა.

— ბეჭედი დაუსვით, გააფორმეთ და თანდილა-შვილს გადაეცით დაუყოვნებლივ! — დასძინა მან და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა.

ქუჩაში გამოსულმა ავთანდილმა გაჰხედა გზას. ორღობეში არავინ ჩანდა. ბორცვზე აირბინა, მზერა მოავლო გარემოს და შორიახლოს თეონას კაბას მოჰკრა თვალი. ნელა მიირხეოდა ქალის წერწეტა ტანი მაყვლიანში გაჭრილ ბილიკზე.

ავთანდილმა მოკლედ გადასჭრა მინდორი და თეონას წამოეწია.

— თეონა! — დაუძახა ავთანდილმა ქალს და ამ ძახილზე შემობრუნებულს მიუახლოვდა.

— რა არის ეს? — ნაძალადევი წყრომით ჩაილაპარაკა მან და თანაც ქაღალდი გაუწოდა.

თეონამ დახედა ქაღალდს, მერე არაფრის მთქმელი თვალებით შეხედა ავთანდილს და ცივად ჩაილაპარაკა.

— განცხადებაა, ბატონო ავთანდილ!

— კი მაგრამ, აგრე არ იქნება, ყველაფერს თავისი წესები აქვს, ეს თვითნებობად ჩაგეთვლება! — წარმოთქვა აღელვებულმა ავთანდილმა.

— არა, ავთანდილ, მე აქ დამრჩენი ერთი წუთითაც აღარ ვარ. თქვენ კი, რა ვქნა, როგორც გნე-

აქ ტანტალამ სადავე მოსწია ცხენებს და ჭყანტობისაკენ დაქანებული ეტლი შეაბრუნა.

მგზავრები სდუმდნენ. ბაასი მაინც არ აეწყო.

გარიჟრაჟდა. ეტლი მდინარეს მიადგა და შესდგა. კაცებმა ტრიფ ქვეშ დაიდვეს ბინა და თევზაობას შეუდგნენ. თეონამ კოცონი გააჩაღა, თევზის მოსახარში წყალი ცეცხლზე შესდგა და მდინარის პირას ჩამომჯდარი ჩაფიქრდა.

ნელა მოდუდუნებდა უბეგაშლილი მდინარე და მისი დუდუნი ნაზად ეალერსებოდა ყურს. თეონამ გაჰხედა დილის მზის სხივებით აფერადებულ მდინარის ზედაპირსა და შორიახლოს მუხლებამდე წყალში შესული ავთანდილი დაინახა. გული გადაღეღოდა მკლავგაშლილ ვაკაცსა და შუბლზე გადმოყრილ ქოჩორს დილის ნიავი უწეწავდა. არაჩვეულებრივ მიმზიდველი იყო ავთანდილი იმ წუთს და თეონაც მოჯადოებულივით შეჰყურებდა თევზობაში გართულ ვაკაცს.

ჩქარა ცოცხალი თევზებით სავსე კასრიც მოართვა ავთანდილმა თეონას და ფეხთით დაუდგა. უმწეოდ ფართხალებდნენ ვერცხლისფერი თევზები და მთაზე გადმომდგარი მზის პირველი სხივი ისე აელვარებდა მათ ტანზე მოქარგულ ქათიბს, როგორც მარგალიტის ძეწკვებისაგან ასხმულ კაკილას.

— საბრალო თევზები!—სევდიანად ჩაილაპარაკა თეონამ და თვალებში შეხედა მომღიმარ ავთანდილს.

ყინული გალხვა. მარტონი იყვნენ. ტანტალას ცხენები გაერეკა საბალახოდ და სადღაც ჭალაში გადაკარგულიყო.

ახალგაზრდები თევზის ხარშვასა და საუზმის თადარიგს შეუდგნენ. ავთანდილი ღიმილით შეჰყურებდა აფუსფუსებულ თეონასა და თვალს ვეღარ აშორებდა მას.

ამ დილით უჩვეულოდ გათამამებული თეონა ციბრუტივითა ტრიალებდა და ქალის მხიარული კისკისი დილის ნიავით გამოცოცხლებული ჭალის შრიალს უერთდებოდა.

ავთანდილი თავს ევლებოდა თეონას და ვაკაცური მორიდებით შორიდან ეალერსებოდა მას.

ალმოდებული თეონასათვის კი ყველაფერი მღეტინიანში ტანტალა გამოჩნდა. ის ნელა მოაბიჯებდა ჭყანტში და ეშმაკურად იღიმებოდა.

კარგად ამოიწვერა მზე. თანამგზავრნი დილის საუზმეს შემოუსხდნენ. ტანტალამ ტიკჭორა ამოაჩოჩა კოფოდან და პირველი ჯამი თვითონ დაისხა.

— რა ვუყოთ შვილებო, ყველაფერი მოხდება ხოლმე — დაიწყო ტანტალამ — ყველაფერს თავისი კანონი აქვს, ყველაფერი ამ ბუნებას ემორჩილება... მოხდება ხოლმე უნებურად... გულით მინდოდა ჩემი გერის ბედნიერება, მადლობა ღმერთს, ახლა ქორწილსაც გავაჩაღებთ. იმედია სიძე აღარ აუხირდება ტანტალას ეტლს. ჰა, როგორ იტყვი ავთანდილო, ლამაზი თევზი მოჰყვა ბადეს?! — ჩაიხითხითა ტანტალამ და ჯამი დასცალა.

ამ ხითხითმა გამოაფხიზლა ავთანდილი. თოფნაკრავივით წამოიჭრა. სისხლი მოაწვა სახეზე და ხელი უნებლიეთ ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ ეტყობა თავი შეიკავა და ზიზღით გადახედა ჯერ კიდევ სულელურად მომღიმარ მეეტლეს.

აი, თურმე, საითა ჭგრეხდა ტანტალა თოკს. საშინელი შეურაცხყოფა იგრძნო. მკაცრად შეჰხედა ჩაფერფლილ თეონას. წუთში მოაგონდა ქალის მონური მორჩილება, სახლში სტუმრად მიპატიჟება, წუხანდელი უტიფარი გამოცხადება, დღევაადელი ჯიქური ქცევა. მძაფრმა ეჭვმა გულს მარწუხები მოუჭირა.

დარდიანად ამოიოხრა. მიმოიხედა გარშემო და სირცხვილმა სახე აუელწა. სუნთქვა შეეკრა. წუმპეში იდგა ტანტალასთან. თავისთავში ყველაფერი წაბილწულად წარმოიდგინა — კომუნისტის კარგი სახელიც, წმინდა საქმეც, ახალგაზრდული მისწრაფებაც უკეთესი მომავლისაკენ. აგრე თუ არა, მაშრა უნდოდა ტანტალასთან, რა უფლებით აფათურებდა არაკაცი მის გულში ხელს.

უნებლიეთ, ისევ თეონას გადახედა.

— არ ეკადრება საბჭოთა ქალს, სილამაზე თვალთმაქცობის ფარად იხმაროს, გახსოვდეს ეს! — ყრუდ წამოიძახა მან და თანამგზავრთ გაშორდა.

— ავთანდილ! — შეჰკივლა სასოწარკვეთილმა თეონამ და აქვითინებული პირქვე დაემხო.

ალეგორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჟიხონოვი

ცივგომბორს გავცდი, თელავშიაც ვერ შევჩერდები...
ალავერდობა! — ღამე როგორ განათებულა!
ბოლმოხვეული, კოცონებზე, ჩანან ქვაბები,
შეშინებული ცხვრები ერთად შეჯგუფებულან.

კახურ განცხრომას, სილაღეს თავს არ არიდებენ,
ისმის სიმღერა, ხევსურებიც ხმას აყოლებენ.
ჯოხზე დახვეულ თივას ხშირად ცეცხლს უკიდებენ
და ამ ღამეში მათ მხედრები დააქროლებენ.

მე გავიარე, მაგრამ შიში შემიდგა მხრებში,
მთლად ამითრთოლა აქ ნახულმა, განცდილმა გული,
ხმაურმა თითქოს ამიტაცა სწრაფად ჰაერში
თითქოს დავცურავ როგორც თევზი გაბრუებული.

ბოლი დგას, ბოლი! ვერ მიდგები მარცხნივ თუ მარჯვნივ,
სიხარულია, ბევრი ცეკვავს ლაღად, მხარგაშლით.
გადაირია დაირა მთლად როგორც ალქაჯი,
და დანავარდობს ზეიმის და ლხინის გრიგალში.

დაირა, უკვე, შევიყვარე და ვეფერები
ვივიწყებ წარსულს, აქ სხვაგვარი აზრით მოვედი.
ხელით ხორცსა ვგლეჯ, ჩახლეჩილ ხმით ვსთქვი სიმღერები
და ჩამოვჯექი, ყანწით ხელში, თამადის გვერდით.

მე მთიელი ვარ, უკვე ნამდვილად,
მე ჩემი სახლი მთაში ავაგე
ისეთ კლდის ძირას, ისეთ ადგილას,
რომ ვერ მიაგნებთ.

კლდეებზე ხოხვა არ მეძნელება,
ორწოხებშიაც მე გზას გავიგნებ,
მაგრამ ამ ღამის საკვირველება
მთლად გზა-კვალს მიბნევს.

ერთბაშად, თითქოს, ვივიწყებ წარსულს,
ახლა არსაით არ მსურს ვისწრაფო,
მხოლოდ ვუცქირო ამ ლამაზ ასულს,
აქ რომ კიაფობს.

მსურს გამიტაცოს სხვაგვარმა განცდამ,
დე, ამ საფლავის ლოდმაც გამართოს...
მსურს ღამეს ვგრძნობდე მეგობარ კაცად
და ვეკამათო.

მინდა ვსთქვა მასთან იმ ქალის ქება
ამ ხეებქვეშ რომ ყველასგან ვარჩევ,
რომელიც საჭმელს არ ეკარება
და ვერც მე მამჩნევს.

უცებ გამოჩნდნენ დამკვრელები. რამ გამაკვირვა? —
ისე უბრალოდ აცვიათ, რომ ვერვის ვადარებ;
მოგვიახლოვდნენ, თავი იმათ ისე უჭირავთ,
თითქოს ეწვიენ მებადურნი დამშრალ მდინარეს.

თურმე ყოფილან ბრმები და სხვებს სულ აღარ გავდნენ.
თქვეს სიმღერები ხალისით და გალაღებითა.
ბრმები ქამანებს საკრავებზე ისე უსვამდნენ
თითქოს ხტებოდნენ ჭრიჭინები ბალახებიდან.

მუსიკოსებმა თქვეს სიმღერით ლექსი ნამდვილი,
ღამე, მათ ირგვლივ, ჩანდა როგორც მდინარის წყალი.
ეხურა ქუდი შეკერილი მუზარადივით
ერთ მათგანს და ზედ ჩანდა ნათლად ვარსკვლავის კვალი.

გახუნებული, გაცრეცილი ქუდი ეხურა
იმ ბრმა მუსიკოსს, და მეც იმ ძველს ქუდს შევაცქერდი.
იმ მუზარადმა გამიტაცა, ჩემს უნებურად
გავხალისდი და გავთამამდი თამადის გვერდით.

თითქოს ვიყავი მე პარტიზანი
გადახვეწილი ალაზნის მხარეს,
თითქოს დავბრუნდი, ჩემი მიზანი
განხორციელდა და გავიარე.

ვხედავ: მოსდევენ დათრთვილულ ფერდობს,
(აქეთ სავალ გზას ვინ არ მოძებნის),
ვხედავ: მოდიან, ალავერდობას
უერთდებიან ჩემი მოძმენი.

აქ ხევსურების შედგა ურმები,
ცხენების ქროლვით ფშავნიც მოვიდნენ,
და ალაზნელი მებადურები
მთიელ ვაუკაცებს დაუძმობილდნენ.

აქეთ წამოსვლა რად დავაჩქარე?
თითქოს ვიცოდი, ის ქუდი ძველი
მუზარადს რომ გავს, ფრინველი არის
ბედნიერების მაუწყებელი.

ეს ქუდი ახლა იმ ბრმას ახურავს
ალაზნის მხრიდან რომ წამოსულა,
თითქოს მიცნოვო ისე მიყურებს,
და მესალმება მე მეგობრულად.

ხმაური მიწყდა. ამ ხეებქვეშ მშვიდად თენდება
დაცხრა დაირა, მოსვენება ძლივსღა ეღირსა.
ფრინველთა გალობა, ოფლის, ქონის სუნს უერთდება,
ხეებს ემჩნევათ მონახვევი აღვირებისა.

უცებ გამოჩნდნენ მწვერვალები, მათ ახლოს, ფრთხილად
თითქოს არიან ლანგარებზე დაწყობილები.
ხალხი, ნაბდებით, ხეების ქვეშ ისე მიყრილა
როგორც კაკლები ქარისაგან დაბერტყილები.

ძინავთ ცხენებსაც გზის ნაპირას, რა სიწყნარეა!
ურმებსაც ძინავთ, ძინავს კარავს ჩადგმულს მათ შორის.
ძინავთ კამეჩებს შეურხევლად, თითქოს არიან
ბავშვების მიერ შეკერილი სათამაშონი.

ალავერდობით მოხიბლული, განამხნევები
მე, თელავს იქით, ვეხეტები, რა მომასვენებს!
ძილს მიცემიან მეგობრები, მათ სახლებს—კი
წვიმა, ვით ნივთებს სპილენძისას, ისე ასველებს.

შევნიშნე მხოლოდ მოძრაობა ერთი ვერძისა,
იქ, სადაც არის ხავსიანი ქვები მიყრილი,
ის, განწირული, ქვებს მიკვროდა, სხივები მზისა,
იმ ვერძს კისერში მახვილივით ქონდა გაყრილი.

თარგმანი **ვიქტორ გაბესკირიასი**

ბავთ, ისე ჩათვალეთ... იმედია, თუ თქვენ დაგნიშნეს ჩემ მსაჯულად, ამას მაინც არ ჩამითვლით თვალთმაქცობად!..—მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა თეონამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ავთანდილმა უნებურად თავი დახარა.

— თეონა, უნდა მაპატიო, ეს უსაფუძვლო ეჭვი იყო, აღელვებული კაცის ეჭვი! — ხმადაბლა წაიღუღუნა მან.

— არა, ავთანდილ, მადლობის მეტი მე თქვენდამი არა მეთქმის რა. აი, დილით ცნობაც მივიღე, ჩავურიცხივარ ინსტიტუტში, ესეც ხომ თქვენი წყალობაა...

— პილპილმოყრილი მადლი არა? — გააწყვეტინა ავთანდილმა და სადღაც კიდეც გაიკვირვა რაში მოაგონდა „ოთარაანთ ქვრივი“.

აღარა უპასუხა რა ამაზე თეონამ.

ჩუმად მისდევდნენ გზას. გაჰყურებდნენ ნაღვლიან გარემოს, მიყუჩებულ შარას და მოთენთილ ბუნებას.

თეონას აღარა უთქვამს რა ავთანდილისთვის წუხანდელ ღამეზე. აღარა უთქვამს რა იმაზე, თუ როგორ უმღვრევდა სულსა და გულს აფორიაქებული მამინაცვლის ბინძური სიტყვები—„არა, სიმართლე უნდა გითხრა, ჩემო სალომე, უნდილი ქალი გყოლიაო“. ხითხითებდა ბოროტი მოხუცი.

აღარა უთქვამს რა, არც იმაზე, თუ როგორ დაუკოდა გული მდინარის პირას ტყვიასავით ნასროლმა სიტყვამ. „არ ეკადრება საბჭოთა ქალს“ — ეს სიტყვები უწიოდა ყურებში მას მთელი ღამის განმავლობაში და როცა დილით სალომემ ცნობა მოუტანა, მხოლოდ მაშინღა გაუღიმა თავის მომავალს. იმედის შუქმა გაუნათა. დიდი ხანია სულს უხუთავდა ტანტალას წუმპე და ჭაობი და რაკი ბედმა ასე უწყალოდ დაუმსხვრია სიყვარულით გამოძერწილი, ნაოცნებევი ქანდაკება, ახალ გზას უნდა დასდგომოდა დაუყოვნებლივ, საბჭოთა ქალის საკადრის გზას.

მართალია ავთანდილი ბოდიშს იხდიდა ამ სიტყვისათვის, მაგრამ თეონა მაინც გრძნობდა რომ ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი, ნამდვილი გრძნობით ნაკარნახევ ბედნიერების საპოვნელად.

ავთანდილიც არას ამბობდა...

ჩუმად გავიდნენ გზატკეცილზე... მალე გამოჩნდა ავტობუსიც...

მხნედ გამოეთხოვა თეონა, შვილის გასაცილებლად გამოსულ, თვალცრემლმორეულ სალომეს, ხელბარგი ჩამოართვა დედას და ავტობუსის ღია კარებისაკენ გასწია. კარებთან მისული წუთით შეჩერდა. იქვე მდგომ ავთანდილს ხელი გაუწოდა.

— მშვიდობით, ავთანდილ!

— ნახვამდის, თეონა! — დინჯად უპასუხა ავთანდილმა და თეონას გამოწვდილ ხელს თავისი ხელი მიაგება.

ავტობუსი დაიძრა. გაჰყვა შარას და მოსახვევში თვალს მეიფარა.

ავთანდილი გამოეთხოვა სალომეს და მიჰყვა ბილიკს, რომელსაც წეღან თეონა მოსდევდა. ბორცვზე ასული შესდგა. მიმოიხედა გარშემო და ქვევით გზაზე ტანტალას ეტლი გაარჩია.

ნელა მისდევდა მტვრიანსა და უგზო-უკვლოდ დაგრეხილ გზას წელჩაწყვეტილი საფრთხობელა. ეტლის კოფოზე ტანტალას ლანდი ქანაობდა.

— ცოტა გადარჩა, არ წაბილწა ამ სარეველამ ორი მგზნებარე გულის ძგერა. — გაიფიქრა ავთანდილმა და საცდელი სადგურისაკენ დაეშვა.

ანსამბლი მიწვეულია გასტროლებზე

F-1494

სულ მოკლედაც რომ დავწეროთ საქართველოს ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის ისტორია, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ გუნდის საგასტროლო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. მუსიკოსის, მომღერლის, დრამისა თუ ეს ტრადის მსახიობის, საორკესტრო და ვოკალური ანსამბლების წარმატებათა ერთ-ერთი მაჩვენებელი ისიც არის, რომ მათი ხელოვნებით ინტერესდებიან მოძმე რესპუბლიკების მაყურებლები და ხელოვნების წარმომადგენლები, ინტერესდებიან და საგასტროლოდ იპატიჟებენ თავიანთ ქალაქებში.

წარმატებისა და პოპულარობის ეს „ერთ-ერთი მაჩვენებელი" ყოველთვის ჰქონდა საქართველოს ხალხური სიმღერების ანსამბლს. ჯერ კიდევ 1927 წელს „დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი" მიწვეული იქნა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების გამოფენაზე. იმავე დღეებში გუნდი გამოვიდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სახალხო არტისტის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე. სამი წლს შემდეგ გუნდმა ლენინგრადის მოსახლეობაც მოხიბლა თავისი ოსტატობით, და კარგი შეფასება მიიღო, როგორც ქართული ნაციონალური კულტურის პროპაგანდისტმა. დაიწყო „დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის" საგასტროლო მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში: კიევში, ხარკოვში, ტულაში, კურსკში, რიაზანში, როსტოვში, ოდესაში, იალტაში და სხვ.

1935 წელს, მოსკოვში ყოფნისას, გუნდი მიწვეულ იქნა მაქსიმ გორკისთან, აგარაკზე, სადაც ისვენებდა რომენ როლანი. რუსი და ფრანგი ხალხის ამ ორ დიდ მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა გუნდის მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა.

გუნდი უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, ყოველწლიურად იმდიდრებდა რეპერტუარს, ახალი კადრებით ავსებდა მომღერალთა და მოცეკვავეთა რიგებს. 1936 წლამდე გუნდში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ. 1936 წლიდან კი მას შეუერთდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლიც. მაგრამ გუნდი ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი, რადგან მისი რეპერტუარი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სიმღერებითა და ცეკვებით ისაზღვრებოდა. 1940 წელს ეს ხარვეზი შეივსო: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები შეერთდნენ და ჩამოყალიბდა „საქართველოს ხალხური სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი". მაგრამ აქამდე არსებულ გუნდებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნდათ: ჩონგურსა და ფანდურს გარდა, გამოუყენებელი რჩებოდა სხვა ქართული ხალხური ინსტრუმენტები.

შარშან მთლიანად გადახალისდა სახელმწიფო ანსამბლი—მისი შემადგენლობა 130 შემსრულებლამდე გაიზარდა, გაძლიერდა მოცეკვავეთა ჯგუფი, მოწვეული იქნა ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლები და ჩამოყალიბდა ქართულ საკრავთა ინსტრუმენტალური ჯგუფი—ჩონგურების, ფანდურების, სალამურების, დუდუკების, ჭუნირების, ჩანგისა და დიპლიპიტოს შემადგენლობით. ანსამბლს სათავეში ჩაუდგნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ვ. ცაგარეიშვილი, დ. ჯავრიშვილი, ს. გველესიანი, ი. მჭედლიშვილი, ინსტრუმენტთა ორკესტრის ხელმძღვანელობა იკისრა კ. ვაშაკიძემ, მოცეკვავეთა ჯგუფისა ავ. თათარაძემ.

ანსამბლის რეპერტუარი მარტო ქართული ხალხური შემოქმედებით როდი ამოიწურება. კონცერტზე მაყურებელს შეუძლია ნახოს რუსული ცეკვა „რიაბინა", უკრაინული საცეკვაო—„ოი, ლოპნუვ ობრუჩ". მოისმინოს ბულგარული სიმღერა „ლეი სე, დუნავე სლავიანსკი", საბჭოთა კავშირის ხალხების სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ანსამბლის პირველი გასტროლები უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს დაემთხვა. ოთხი თვის განმავლობაში გუნდმა 90-დე კონცერტი გამართა. მოიარა სომხეთი, აზერბაიჯანი, მოსკოვი, ლენინგრადი და თითქმის მთელი უკრაინა.

ანსამბლის წევრთა უმეტესობას თვითნასწავლი ახალგაზრდა მომღერლები და მოცეკვავეები შეადგენენ. ზოგს სპეციალური მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული. მაგალითად ინსტრუმენტთა ჯგუფის წევრმა ბერიძემ ჩელოს კლასი დაამთავრა კონსერვატორიაში, ახლა იგი ქართულ ხალხურ საკრავზე—ჭუნირზე უკრავს—ეს ინსტრუმენტი ჩელოს მოგვაგონებს.

გუნდის წევრის ზ. კირვალიძის შემოქმედება, ერთი პატარა მაგალითია იმისა, რომ საქართველოს სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლში ხელს უწყობენ ხალხური შემოქმედების შემდგომ განვითარებას, სხვა სიმღერებთან ერთად გუნდი ასრულებს ზ. კირვალიძის „ქალ-ვაჟის გაბაასებას".

მომღერლები—შ. კოვზირიძე, შ. გვალია, აკ. გოჩალეიშვილი, მ. თედიაშვილი, ნ. ერქომაიშვილი, ს. მირცხულავა, ვ. ფოცხვერაშვილი და მოცეკვავეები—ლ. თათეიშვილი, ნ. გუნია, ნ. ბაგრატიონი, ნ. თვაური, ნ. ღვაბერიძე, ვ. ბალისევიჩი, რ. ხონელიძე, მ. ფირცხელეიშვილი, შ. გეჯაძე და

—ვიწყებთ კონცერტს...

სხვ. დიდად უწყობენ ხელს ანსამბლის საერთო წარმატებას.

ანსამბლი წლევანდელი გასტროლების პირველ კონცერტს გამართავს მოსკოვში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ეს ფაქტიც გუნდის პოპულარობის დამამტკიცებელია.

ა. ვარდოსანიძე

ოფტო ოთ. თურქიასი

26 ივნისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარებულ დიდ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის საესტრადო ორკესტრმა, აზერბაიჯანისა და საქართველოს სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლებმა და სხვ.



პოხიერი ნაპეტრები

ნარკვევი

იგი რიგითი კოლმეურნე მელიტონ ტაბიძე გახლავთ, ოთხმოცდაოთხი წლის მოხუცი. მელიტონი მეხრეა, თოხნაშიც არავის ჩამორჩება. შრომადღეებიც ბლომად აქვს, გამრჯე გლეხია. მომხიბლავი შესახედაობისაა, თუმცა ჩემზე, იმდენად მის სანდომიან სახეს, თოვლივით ქათქათა წვერ-ულვაშსა და მკვირცხლ თვალებს არ მოუხდენია შთაბეჭდილება, რამდენადაც მის დალაგებულ, აზრიან ლაპარაკს. მაგრამ სანამ მელიტონს მივცემდე სიტყვას, თვით მელიტონის შესახებ მინდა გითხრათ ცოტა რამ. მელიტონი ცხრასაციან წლებში მანთაშევის ნავთსახდელ ქარხანაში მუშაობდა, ბათუმში. მონაწილეობა მიუღია იმ გაფიცვებსა და რევოლუციურ გამოსვლებში, რომელსაც ახალგაზრდა სტალინი მეთაურობდა. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ბევრი უბედურება დაატყდა თავს მელიტონს, მაგრამ ეს დარბაისელი მოხუცი ახლაც ქარიშხალგამოვლილ მუხასავით დგას.

— ბიძიკო, მელიტონი ღარიბი კაცი არ გეგონოს — დაიწყო მან დინჯად და თან თვალი თვალში გამიყარა — ჩემი სიმდიდრე ყველამ იცის, ამა ყური დამიგდე და შენც მიხვდები, რომ მელიტონი მართალს ამბობს: ჩვენი კოლმეურნეობა დიდია. აღმოსავლეთით სოფელ კუბამდის შლის მკლავები. სამხრეთით გოჩაჯიხაიშამდის, დასავლეთით ცხენისწყალი აკავებს, თორემ სამეგრელოში ამოყოფდა თავს, ხოლო ჩრდილოეთით ქალაქ წულუკიძის პირველსა და მეორე უბანს ეპჯინება. ჩვენი ოჯახი მრავალწევრიანია. ხუთასი კომლი ტრიალებს ჩემს ირგვლივ. სამას ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი, ზოგი სათესი მანქანით, ზოგი კი ბუდობრივ-კვადრატულად. თესვათესვაა, მაგრამ თოხნას არ იკითხავ? ექვს კაცს მარგვლის დროს ერთი ჰექტარის გათოხნა რომ უჭირდა, ახლა ორი კაცი არხეინად ყოფნის დღეში. ჩვენი ჩაი რომ ნახოთ პირდაპირ გული გაგინათლდებათ, მერე განა ცოტა გვაქვს? — ოთხმოცდაათ ჰექტარზეა გაშენებული. გასულ წელს მარტო ჩაისაგან ერთმილიონ-ნახევარი მანეთი მივიღეთ შემოსავალი. ჩაის კრეფის გეგმა ასხუთი პროცენტით შევასრულეთ; მეორე ხარისხისა ძალიან ცოტა იყო, რადგან ქალებმა ისე იმარჯვეს, რომ პირველ ხარისხს გაამარჯვებინეს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ოცდაცხრა ათასი მანეთი პრემია გვერგო, აბრეშუმის პარკში სამასორმოცდაათი ათასი მანეთი მივიღეთ, ფერმამ ასოცდაათი ათასი მანეთი შემოგვიტანა, ბოსტნეული ორმოცდახუთი ათასი მანეთისა გავყიდეთ. გასულ წელს კოლმეურნეობაში ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცხრა მანეთი მივიღეთ. ჯიშიანი ძროხები, კისერდამსხვილებული ხარები, მორგვივით დამრგვალებული ღორები, რამდენი ასეული ფრთა ქათამი, იხვი, ინდაური, ყველაფერი ჩვენი დიდი ოჯახის კუთვნილებაა. არ დაგიმალავთ და ცოტა არიყოს საქმნლის საკეზზე ვერ ვართ მთლად კარგად, საძოვრები არ გვყოფნის, თუმცა წელს ერთწლიანი სათიბი, სასილოსე სოია, ძირხვენა და მრავალწლიანი სამყურა ორმოცდათორეტ ჰექტარზე გვაქვს დათესილი. თორეტი სასილოსე კოშკი უკვე ავაშენეთ, თვითეული კოშკში სამოცი ტონა სილოსი თავსდება. ამ ზაფხულში ასხის მთაზე გაერეკეთ საქონელი. ახლა ასი სული ხბოსათვის და ხუთასი წიწილისათვის გულდაგულ ვაშენებთ ბინებს. ჩვენი კოლმეურნეობა შემოსავლის მიხედვით საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. ნაცვლად დაწესებული ორი ათას ხუთასი მანეთისა, საჰექტარო ფულადი შემოსავალი სამი ათას ექვსასი მანეთი მივიღეთ. თქვენი მელიტონი რაიონულ გამოფენაში ღებულობდა მონაწილეობას. ახლა მგონი მოსკოვშიაც გამიშვან, და ამ მოხუცებულობაში მოსკოვიც თუ ვნახე, მეტი რაღა უნდა თქვენს მელიტონს!

სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ყველაზე ხნიერი მე ვარ, მაგრამ არ გეგონოს მართლა მე ვიყო ამ დიდი ოჯახის უფროსი, სად მაქვს მაგის გაძღოლის თავი ბერიკაცს. კოლმეურნეობის მეთაურობა ჩვენს დიმიტრი ქუთათელაძეს ჩავაბარეთ, ახალგაზრდა კაცია, ზოოტექნიკოსი, ომის დროს მანჯურიაში იაპონელებს კუდით ქვა ასროლინა, იქიდან რომ დაბრუნდა, მიწგანში იმუშაკა, კარგი ბიჭიაო და რაიკომში გადაიყვანეს, მერე რაკი მართლაც ასე კარგი იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ.

მოადგილედ გიორგი სანოძე ჰყავს. გიორგიც ომგადახდილია. კრაკოვის აღებაში ღებულობდა მონაწილეობას. რომ არ დაჭრილიყო იმ ბრძოლაში, ბერლინში შევიდოდა თავისი ჯარისკაცებით. აგრონომიაში ჩახედულია. იცის მიწას რა მოუხდება და რა არა. თუმცა რა გაუჭირდება, როცა აგერ, ჩვენი აგრონომი გრიგოლ გენძეხაძე ჰყავს გვერდით! ახლა ისიც უნდა გითხრა რომ ჩვენს დიდ ოჯახში ბევრი კარგი ბიჭითი ქალი და კაცი გვყავს, ზოგი ჩაის კრეფაში იჩენს ფანარს, ზოგი სიმინდის მოყვანაში, ზოგი პირუტყვის მოვლაში, ზოგი აბრეშუმის პარკის მოწევაში და ზოგიც ვენახის გაშენებაში. ჩაის მოყვანაში ტოლი არ ჰყავთ მარო ბენდელიანს, ვერა შალამბერიძეს, გოგუცა კოპალიანს, შურა ძიძიგურს, თეოლინა უგრეხელიძეს, ლუბა ჯიმშელეიშვილს. კარგი, რომ თქვენი თვალით ნახეთ დღეს, როგორ სულმოუთქმელად კრეფდნენ ჩაის. ჰმ, ალბათ პატარა გოგონებს, ზაირა ტაბიძეს, ფაცანა ფრუიძეს, უუყუნა ქუთათელაძეს, ეთერი თუთიასანაცვ ნახავდით. რანაირად ატარიალებდნენ ხელობს დალოცვილები.

ამ კოლმეურნეობაში მჯობნის მჯობნს რა დალევს, საათითაოდ ყველა მე მჯობნის, კოსტა გალდავაძემ ჩაის კრეფის გეგმა ასოცდაორი პროცენტით შეასრულა, მოხუცმა ამბაკო გალდავაძემ ოცდაორი ცენტნერი სიმინდი მოიწია ჰექტარზე, აბა მე რა გავაკეთე, რაღაც სამასი შრომადღე ძლივს გამოვიმუშავე, მოგეცათ ლხენა, ძველებურად მიჭრიდეს მუხლი, ათას დღეს გავაგდებინებდი სულს, მაგრამ რას იზამ, წელს მაინც შარშანდელზე მეტს გამოვიმუშავებ.

კიდევ ბევრ რაიმეს გეტყოდით, მაგრამ ისე გეტყობათ ცოტა გეჩქარებათ. იმ კუთხეში რომ სურათი ჰკიდია, ხომ ხედავ, საშა წულუკიძეა, ჩვენი რაიონის ხალხი ვამაყობთ, რომ საშა ამ კუთხის კაცი იყო. ნეტავ მის საფლავზე რომ ორი დიდი ცაცხვი დარგეს, ხომ ისე ფართოდაა გაშლილი, როგორც ამ ოცი წლის წინ მინახავს. შენ მგონი იმ უბნის კაცი უნდა იყო და გეცოდინება...

მელიტონის სიტყვები გულში ჩამრჩა. როცა ივანდიდიდან წულუკიძის უბანში გამოვიარე, რამდენიმე წუთით საშა წულუკიძის საფლავის წინ შევდექი. ის ორი ცაცხვი მართლაც საოცრად ირხეოდა. მათს მღელვარე შრიალში ამ უბანში დაბადებულისა და გაზრდილი პოეტის სტრიქონები მომაგონდა:

> როცა ჩასვლის წინ კოლხეთს დასული
> ღრუბლებს დასძღვედა მზე ჩვენებური,
> ორი ცაცხვის ხე, ორი ასული,
> ენთო საფლავთან შეჩერებული
> და საღამოის წითელ მზისაკენ
> ჰონდათ აწვდილი მუდამ ხელები.
> ზრდილი ცისაგან და მიწისაგან
> იდგნენ ცაცხვები უდარდელები...

ახლა საშა წულუკიძის საფლავთან ფოთლები მწუხარედ როდი ჩურჩულებენ. მათს მძლავრ შრიალში სიცოცხლისა და გამარჯვების სიმღერა ისმის. თითქოს სამარეში ესმოდეს ეგ ხმები რევოლუციის რაინდს. შორეული გუგუნივით მოგვესმის მისი უკანასკნელი ამოძახილი: იდეა მაინც გაიმარჯვებსო.

იმ ძლევამოსილმა იდეამ კარგა ხანია გაიმარჯვა და ამ ცაცხვებივით ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის გულში.

ს. ფეერავა

ოთარ ჯუპრავა

რაღ მომძახით, ჩიჯუნებო!

ალიონის ძალა მომცა,—
ეს მიდამო სულ ფეხდაფეხ მოვიარო!..
მკლავგაყრილი მივაბიჯებ ალიონთან
და არ მჯერა: გზა სოფლამდე შორიაო.

ძაღლი ყეფს და მამლებს უკვე
უყივლიათ,
ნისლში ციხე აილანძა ძველთაძველი...
მასპინძლის ხმა ურყოლასავით მოჰყვა
ნიავს
და ღიმილით მომეგება მასპინძელიც.

ცამ ჩვენს მხრებზე დაიბერტყა
ბროლის კალთა,
მზემ ღიმილი მოგვაფრქვია.
ძმები ვდგავართ სოფლის კართან
და სოფელსაც ძმობა [1]) ჰქვია.

ვინ დაარქვა სოფელს ძმობა,
მე რომ წვიხა და სიმღერის ძალა
მომცა!

ვიცი, სიტყვა არ მეყოფა
მისი გულის დასალოცად.

ან: სოფელი—მოძმე ერის,
ქართულ სახელს რად ატარებს
გაჩენიდან!

დასტურ, ძმობა უძლეველი
თვით სახელშიც სასიმღეროდ
დარჩენილა.

უხმოდ ვდგავართ, სად გაფრინდა
სიტყვა, ნეტავ?
გოგონები მეხვევიან, თუ შრიალა
ალვებია?!..

უკვე ფართოდ დაგვათენდა
ზეციდან, თუ მომღიმარი თვალებიდან.

* *

სუფრად მოლი ავირჩიეთ მეგობრებმა,
სადაც წყარო მოჩხრიალებს.
მუხა ქარში აშრიალებს ნება-ნება,
ტოტებს სუროს ფოჩიანებს.

გაღმა ჰყვავის აკაცია,
ნეტავ, სუფრა დაგვიმშვენა მისი
თეთრი ყვავილებით!
ველს ყაყაჩოს სამოსელი ტანთ აცვია.
და ხეები დგანან როგორც ხარირმები.

კვნესის თარი, განა მკლავი დაიღალა,
სუფრის ირგვლივ მოვიკეცეთ
გლეხკაცურად
და პატარა ჭიქის ძალამ
მოგონების ლაყვარდებში შეგვაცურა.

თითქოს წყაროც გვიქებს ძმობას,
ვინ ჩაუდგა წყაროს სული!
მოვიგონეთ ჩვენი ძველი მეგობრობა—
მოსკოვიდან მზის სხივივით
წამოსული...

მაშ, მეთარეო, სჭექე გულის
მოსალხენი,
არ კი გვითხრა თქვენთვის
შემოვინახეო...
ჩვენ არ გვინდა სხვა ჯილდო და სხვა
სახელი,
ოღონდ თავი სიყვარულით ვისახელოთ.

სუფრას აქ რა მოაკლდება,—
ასულები პეპლებივით დაფრინავენ
და სიმღერის ჰანგი სწვდება
ქედებს ნისლის აფრიანებს:

— ქალო, თვალებგიშრიანო,
მზეში გავლას გიშლიანო,
გვირილებში იგოგმანე,
ჩინარების ჩრდილშიაო...

გული ეძებს მეუწვდენელს—
ნეტავ, სუფრა დაგვიმშვენა გაღმაური
ყვავილებით!
ლურჯი მთები ჩიბუხს სწევენ
და ხეები დგანან როგორც ხარირმები.

გიეზანის [2]) შორი მხრიდან
უცებ ქარი წამოვიდა ღრუბლიანად.
მზე ლაყვარდში გამობრწყინდა
და გიეზანს თვალი შემოუბრიალა...

შენ ზიხარ და იღიმები:
—დაე, წვიმამ, დაგვასველოს,
მოგვანატროს ჩალის ღერის პაწაწინა
წისქვილები
და ბალღობა გაგვახსენოს!..

ველს მზის ფერი გადასცლია,
და ღრუბელთა ჩრდილებისგან წყაროს
შვენის ჩაგიშრება.
გაღმა ჰყვავის აკაცია,
მისი თეთრი ყვავილებით ქარმა
სუფრა დაგვიმშვენა.

მუხა გვფარავს და არ გვაწვიმს,
ჯმუხა ფრთები ჩამოუშვა უფრო
დაბლა...
(მუხა ჰგავდა ალბათ არწივს,
ჩვენ მართვეებს ვგავდით ალბათ!)

მაგრამ განა დიდხანს წვიმდა,
განა ქარი ყაჩაღივით მოგვივარდა!..
ზეცა ისევ მოიწმინდა,
ისევ წელში გაიმართა ყოჩივარდა.

მწვანე ველი მისკენ გვიხმობს გაღმა
მხრიდან,—
შეხედავ და უსიტყვოდაც მიუხვდები...
მზემ ლაყვარდში ცისარტყელა
გადახიდა,
მთებს წვიმაში ჩაქრობიათ ჩიბუხები...

გულს თარის ხმა ეფინება ია-ვარდად,
აშულს ხმაში მერცხლის კილო
ჩაუანგვია.
ქართულს მღერის: „შენ თბილისი კი
არა და,
ის მაოცებს ნატვრის თვალი რად არ
გქვია!..“

* *

გზას მივყვებით სიმღერებით, განა
უბრად,
გვირილებმა ტყის კიდემდე
ჩაგვაცილეს...
ალბათ ტყეში მალე ღამე გაშლის
სუფრას
და დოქივით წყალში მთვარეს
ჩააცივეს...

ჰე, სწორებო, ისევ განახავთ,
გიყურებთ და თქვენი ჩუმი ნატვრა
მესმის.
სოფელ „ძმობას“ ვტოვებ ახლა,
გულით მიმაქვს ხალხის ძმობა
უწმინდესი...

სოფლის გზაზე ასე ნაზად დარხეული
ნისლია, თუ თეთრი ხილაბანდებია!
ქარს სიმღერის ჰანგი დაექვს
ახლებური
და სახეზე ცისკრის ფერი დაგდებიათ.

მივდივარ და თან მიმყვება
ეს ცრემლები თქვენს ღაწვებზე
დადენილი,
თქვენი თბილი გაღიმება,
ბაქანიდან რომ მესროლეთ
ვარდებივით.

...მთვარე მოსდევს მატარებელს,
შენც იჩქარე, გათენებავ, ქარიანო...
რად მომძახით, ჩიტუნებო, პატარებო:
საით მიგიჩქარიანო!..

---

1) ძმობა—სოფელია აზერბაიჯანში.
2) გიეზანი—მთაა აზერბაიჯანში.

თეატრალურ ინსტიტუტში

უკვე 14 წელია, რაც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი ნაყოფიერ შემოქმედებით, აღმზრდელობით მუშაობას ეწევა. ამ ხანდლებში აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა დღეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრების წამყვან ძალას წარმოადგენს. მათ იცნობს მაყურებელი, მათ იმედის თვალით უყურებს თეატრი.

გასული სასწავლო წელიც რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა წარმატებით დაასრულა. წელს მან ქართულ თეატრალურ ხელოვნებას მისცა 14 მსახიობი, 8 რეჟისორი და 19 თეატრისმცოდნე.

ყოველწლიურად, საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების მეოხებით ხდება სტუდენტთა პროფესიული ზრდის შემოწმება. წელსაც, თეატრალურმა ინსტიტუტმა უჩვენა, როგორც საკურსო, ასევე სადიპლომო სპექტაკლები.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე საკურსო სპექტაკლი ერთ მიზანს ისახავს, ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ორი მათგანი არის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტთა პირველი სპექტაკლი, პირველი სერიოზული გამოცდა მაყურებლის წინაშე, გამოცდა მთლიანი სახის შექმნაში; მესამე კი სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევარია.

გასული წლის სამსახიობო ფაკულტეტის III კურსზე ორი ჯგუფი იყო. ერთ მათგანს ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ალექსიძე, მეორეს—ელ. იოსელიანი. I ჯგუფმა განახორციელა ალ. სიმუკოვის პიესა „ლამაზი ქალიშვილები", მეორემ კი დენერისა და კირმონის „დები ჟერარ".

პირველი სპექტაკლის ძირითადი ღირსება მის ანსამბლურობაშია, სტუდენტებმა გულმოდგინე შრომის შედეგად მიაღწიეს სასურველ შედეგს — შექმნეს ცოცხალი, დამაჯერებელი სახეები. სტუდენტებმა ნ. ხეთერელმა (მაშა რაკიტინა), და დ. კეტიშვილმა (ვერა), ა. ქანდაურაშვილმა (კლავა), თ. ქვარიანმა (სერგეი ტრეტიაკოვი), გ. ჯაჯანიძემ (ავლეევი), ზ. კახიანმა (ვიქტორი), ნ. გოდერძიშვილმა (მოროზი) და სხვებმა კარგად ჩაბარეს ეს პირველი საჯარო გამოცდა.

ორმხრივ საინტერესოა სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა სპექტაკლი, რადგან აქ სტუდენტები ერთდროულად გვევლინებიან როგორც სპექტაკლის დამდგმელნი და როგორც შემსრულებლები. რასაკვირველია, პირველი უფრო საყურადღებოა, რადგან პირველ დამოუკიდებელ რეჟისორულ ნამუშევარში სტუდენტებმა უკვე უნდა გამოავლინონ თავიანთი უნარიანობა.

კურსის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა პედაგოგმა მიხ. თუმანიშვილმა ყურადღება ო. გოლდსმიტის „ერთი ღამის შეცდომებზე" შეაჩერა.

ო. გოლდსმიტის პიესა შეიცავს 9 სურათს, კურსზე კი 8 სტუდენტია. პიესა ამ მხრივაც ხელსაყრელი იყო ამ შემთხვევაში, რადგან პირველი სურათი დადგა მთელმა ჯგუფმა კოლექტიურად, რაც მათ საერთო კონცეპციის გამომუშავებაში დაეხმარა, შემდეგი სურათები კი თვითეულ სტუდენტს ცალ-ცალკე ქონდა განწილებული. ამან საშუალება მისცა თვითეულს გამოემჟღავნებინა თავისი შესაძლებლობები და ამავე დროს — ყველა მათგანს — სპექტაკლის შეკვრის უნარი.

იმ დიდმა მუშაობამ, რომელიც ჩაატარეს სტუდენტებმა მიხ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით კარგი ნაყოფი გამოიღო. სპექტაკლი გამოვიდა ერთიანი, შეკრული, არ იგრძნობა სხვადასხვაობა სურათებს შორის. გარდა ერთი გამონაკლისისა, როლებს სპექტაკლში თვით დამდგმელები ასრულებენ და შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ კარგადაც. განსაკუთრებით ეს ითქმის რ. მამალაძის, მ ჯალიაშვილისა და რ. ჭარხალაშვილის შესახებ. ჩარლზ მარლოუს საკმაოდ რთულ როლს სპექტაკლში ასრულებს სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ლ. ანთაძე. ამ სპექტაკლით მან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ იგი საკმაოდ მდიდარი მონაცემების მქონე ახალგაზრდაა.

მაგრამ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა გასული წლის ნამუშევრებს შორის განსაკუთრებით საინტერესო არის სადიპლომო სპექტაკლი.

IV კურსის ხელმძღვანელმა სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ხორავამ სტუდენტებს განსახორციელებლად შეურჩია ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო მასალა—ალ. კორნეიჩუკის პიესა „მაკარ დუბრავა", პიესა, რომელშიაც არის შესანიშნავად მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათები; პიესა, რომელიც ასახავს ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მათს საქმეებს, მათს შრომას და ბრძოლას.

ამ ბრძოლის მეთაური, მისი სულისჩამდგმელი არის ძველი მემაღაროე მაკარ დუბრავა. სტუდ. ირ. უჩანეიშვილის მიერ წარმოსახული მაკარი არის მტკიცე ნების, ძლიერი, მართალი, დინჯი, შეუპოვარი, მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი და მოსიყვარულე ადამიანი. უყურებთ მას და გჯერათ, რომ იგი მიაღწევს მიზანს.

დამაჯერებელ სახეებს ქმნიან სპექტაკლში სტუდენტები: ვალერიან ელოშვილი და ვალერიან ზერმანი; სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე მშრომელი ახალგაზრდობა მოწონავ მემაღაროელები გავრილა (გ. ბებურიშვილი) და ტროფიმი (ნ. მგალობლიშვილი), რომელთა ყოველ გამოჩენას სცენაზე შემოაქვს სიხალისე და დიდი სიყვარული სიცოცხლისადმი; და ახალგაზრდა მუშა ქალები მარფა (მ. ლორთქიფანიძე) და გალია (ე. ახალკაცოშვილი).

დამაჯერებლად და სიმართლით განასახიერეს მაკარის ქალიშვილი ოლგა სტუდენტმა ზ. ზალდასტანიშვილმა და ვაჟი არტემი III კურსის სტუდენტმა ხ. კახიანმა.

მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპექტაკლში კონდრატ ტოპოლიასა და ანკას სახეების განსახიერება.

სტუდენტმა ო. მეღვინეთ-უხუცესმა კონდრატ ტოპოლია წარმოსახა, როგორც გოლიათური ძალის მქონე, მოუქნელი, მეტისმეტად მორიდებული ადამიანი. საქმეში მუდამ მოწინავე კონდრატი. ადამიანებთან დამოკიდებულებაში უცნაურად უმწეოა. განსაკუთრებით მისი უმწეობა ჩანს ოლგასთან საუბარში. ამ სცენაში ო. მეღვინეთ-უხუცესის კონდრატი ვერც ადგილს პოულობს, ვერც საუბრის აწყობას ახერხებს.

პატარა ანკა ც. ქითაშვილის შესრულებით არის სიცოცხლით სავსე, უშიშარი ქალბიჭა, ცხოვრებაზე გაავებული თავისი ულამაზო, წითური გარეგნობის გამო. თავნება და უხეში.

სტუდენტმა მ. არაბულმა ცოცხლად წარმოსახა გამცემი ფილიპე სემენენკოს სახე.

შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ სპექტაკლში ოქსანა (სტუდ. ო. ხაჩატუროვა) და ორლოვი (სტუდ. გ. მდინარაძე).

წლევანდელი გამოშვება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თეატრალური ინსტიტუტი ზრდის ქართული საბჭოთა თეატრისათვის საჭირო კარგი სპეციალისტების კადრს.

ლ. ყურულაშვილი

ორი თეატრი

შ. ბუაჩიძე

თეატრალური პროვინციის გადმონაშთებთან ბრძოლის ხანგრძლივი და რთული პროცესი ადგილობრივი თეატრების უმეტეს ნაწილში დასასრულს უახლოვდება. საოლქო და საქალაქო თეატრები გაბედულად გამოდიან დიდი ხელოვნების გზაზე.

ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ქუთაისისა და ბათუმის თეატრების ახალი სპექტაკლები. ისინი მოწმობენ, რომ ეს კოლექტივები შემოქმედებრივად გაიზარდნენ.

ქუთაისის თეატრის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანია. საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ამსახველი პიესების დადგმასთან ერთად, თეატრი ნაყოფიერად მუშაობს კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების სცენურ ხორცშესხმაზე. უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე თეატრმა დადგა მ. გორკის „მზის შვილები", დ. ფონვიზინის „უმწიფარა", ე. ზოლას „რაბურდენის მემკვიდრენი". თეატრის დაკვეთით ქუთაისელმა დრამატურგმა ს. ჭეიშვილმა მოამზადა დ. კლდიაშვილის მოთხრობების ლიტერატურული კომპოზიცია „მათი გასაჭირი", რომელიც ახლო მომავალში დაიდგმება.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის კოლექტივი (მთავარი რეჟისორი—საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასო ყუშიტაშვილი) დიდი სიყვარულით მუშაობს საბჭოთა დრამატურგების ახალ ნაწარმოებებზე. ჩვენი დრამატურგების მთელი რიგი ნაწარმოებები პირველად ქუთაისში დაიდგა და იქიდან გაიკაფეს მათ გზა სხვა თეატრების სცენისაკენ. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ თარგმნილ პიესებზეც.

ქუთაისის თეატრის ამ სეზონის ნამუშევრიდან ფრიად საყურადღებოა სპექტაკლი „გვარს ნუ დავასახელებთ", რომელიც თეატრმა უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულს მიუძღვნა. ეს სატირიკულ-კომედიური სპექტაკლი ამხილებს კაპიტალისტური შეგნების გადმონაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. სპექტაკლი მოფიქრებულია ცოცხლად, მიმზიდველად. კარგია ყველა ძირითადი შემსრულებელი: ც. ფორფოლაძე, მ. გელაშვილი, ვ. მეგრელიშვილი, ა. ყვანია.

თეატრის სერიოზულ შემოქმედებით შესაძლებლობას მოწმობს სპექტაკლი „გაზაფხულის დილა", რომელსაც მაყურებელმა მაღალი შეფასება მისცა. ეს წარმოდგენა ყურადღებას იპყრობს აქტიორული ანსამბლით, სცენური სახეების ღრმა გახსნით. დაკვირვებით თამაშობენ შ. პირველი, ვ. მეგრელიშვილი, ბ. ჯაფარიძე, გ. ნაცვლიშვილი, ი. ხვიჩია, ქ. კოლხიდელი, გ. კოკელაძე.

სპექტაკლები „გაზაფხულის დილა" და „გვარს ნუ დავასახელებთ" გვიჩვენებენ, რომ ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი პოტენციურად ძლიერი კოლექტივია. მას შესწევს უნარი ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებებით გაამდიდროს ქართული თეატრალური კულტურა.

* * *

ბათუმის თეატრი ახლანდელი შემადგენლობით 1937 წლიდან არსებობს. ამჟამად მის მხატვრულ ნაწილს განაგებს რეჟისორი შოთა მესხი, რომელმაც სპეციალური განათლება მოსკოვში მიიღო, ხოლო შემდეგ მთელი რიგი წლების მანძილზე რუსთაველის თეატრში მუშაობდა.

ბათუმის თეატრის უკანასკნელი ორი სეზონი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობით ხასიათდება. დაიდგა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, მათ შორის ისეთი, როგორიც არის ნაზიმ ჰიქმეთის „სიყვარულის ლეგენდა".

თეატრის თვალსაჩინო დამსახურებას წარმოადგენს ადგილობრივ დრამატურგებთან მუშაობა. თეატრმა შექმნა ავტორთა საკუთარი აქტივი—ვ. კანდელაკი, ა. შერვაშიძე, პ. ლორია. ვ. კანდელაკი, უკვე ექვსი პიესის ავტორია, ექვსივე დადგმულია ბათუმში. ამასთანავე მისი ორი ახალი პიესა ამ სეზონში დაიდგა—ერთი რუსთაველის თეატრში, ხოლო მეორე მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

რეპერტუარის ახალი პიესებით გამდიდრებასთან ერთად ბათუმის თეატრი მზრუნველობით უვლის თავის ძველ სპექტაკლებსაც, რომლებმაც მას, თავის დროზე, სახელი მოუხვეჭეს. ასეთია, მაგალითად, „კიკვიძე" და „ოიდიპოს მეფე". უკანასკნელად თეატრმა აღადგინა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი".

ამ სპექტაკლებში მთელის სისრულით გადაიშალა თეატრის წამყვანი მსახიობების მ. ხინიკაძისა და ი. კობლაძის უაღრესად საინტერესო, თავისებური აქტიორული შემოქმედება.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბათუმის თეატრის სპექტაკლმა „სიყვარულის ლეგენდა". ნაზიმ ჰიქმეთის ეს ლირიკული პიესა მიმზიდველად ეღერს ბათუმის თეატრის სცენაზე. რეჟისორის ნამუშევარიც (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. ინასარიძისა), აქტიორული შესრულებაც, სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც (მხატვარი ვ. არაუაძე) თეატრს ფაქიზ გემოვნებას ამჟღავნებს სპექტაკლი მოწმობს, რომ ბათუმის თეატრის შრომისმოყვარე კოლექტივს შეუძლია კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიოს, თუ გაამლიერებს მომთხოვნელობას თავისი შემოქმედებისადმი, დაუღალავად იმუშაებს თავისი ოსტატობის გაუმჯობესებისათვის.

„სიყვარულის ლეგენდის" ფინალური სცენა.
ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დადგმა.

ფოტო ნ. ანასტასიევისა



ახალი ჟურნალი

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო, ჟურნალი «საბჭოთა ხელოვნება» № 1-2.

ჟურნალში დაბეჭდილია წერილი «რედაქციისაგან», «ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება»—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე, ო. ეგაძის სტატია «დიდი ლენინი — ახალი ხელოვნების შთამაგონებელი», დ. ჩხიკვაძის — «ი. ბ. სტალინი—ლენინის საქმის დიდი განმგრძობი», ა. გუნიას—«ქართული საბჭოთა ხელოვნება ხალხის სამსახურში», აგრეთვე მთელი რიგი წერილები ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე და სურათებისა და ქანდაკებათა რეპროდუქციები.

თვითნასწავლი მოქანდაკე

ბიბლიოთეკა

ერეკლეს მოედანი

მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ძველი თბილისის გულში მდებარე ეს მოედანი ცოცხალი მუზეუმია. მის გარშემო შემომწკრივებული ძველებური სახლები მრავალ საინტერესო მოგონებას ინახავენ.

ამ სახლებიდან პირველ რიგში უნდა ვახსენოთ როსტომ მეფის (1632-1658) ოდესღაც კომფორტაბელური, აწ უკვე დანგრეული დიდი სასახლე, რომელიც აღტაცებით აღწერა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. პლატონ იოსელიანის ცნობით, ამ 32 დარბაზიან ზღაპრული სასახლისათვის ერეკლე მეორეს, კიდევ ორი ორ-ორსართულიანი ფლიგელი მიუშენებია. სასახლის მოშორებით, მოედნის შუა ადგილას, მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ ორი ლომის დაღებული პირიდან, წავკისიდან გამოყვანილი ცივი წყაროების შადრევანი ჩქეფდა. ყველაფერი ეს აღამაჰმად-ხანს აუოხრებია.

მოედნის ჩრდილო-დასავლეთით დგას მე-18 საუკუნის დამდეგს აგებული სახლი სვიმონ ბატონიშვილისა. სვიმონი ვახტანგ VI-ის ძმა იყო და ერთ დროს საქართველოს განაგებდა ძმის ირანში გამგზავრების გამო, როგორც ამას ვახტანგის სტამბაში 1713 წელს დაბეჭდილი ერთი წიგნის მინაწერი გვამცნობს. აქვე, ამ სქელკედლიან შენობასთან იყო ვახტანგის მიერ 1702 წელს „ვლახეთიდან მოღებული“ ის პირველი სტამბა, რომელშიც პირველად დაიბეჭდა ქართული კულტურის სიამაყე— „ვეფხისტყაოსანი“. მე-18 საუკუნის მიწურულში ეს შენობა საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგის ეჭირა. მასში დღემდე დაცულია ის დარბაზი, რომელშიაც ინტერნირებულმა მარიამ დედოფალმა 1803 წელს თავის მხლებელს ლევან ხიმშიაშვილს ხანჯლით მოაკვლევინა გენერალი ლაზარევი და დანაშაული თვითონ დაიბრალა. ეს შენობა ალაგ-ალაგ დაზიანებულა. კედლის გაბზარვის გამო საფუძველის გამორკვევა გადაუწყვეტიათ; ამიტომ ნიადაგი ღრმად გაუთხრიათ, და უამრავი სხვადასხვა სახის ჭურჭლეული და ცხენის ძვლები ამოუყრიათ. შენობის უკან დგას ფლიგელის მსგავსად მიშენებული და ამჟამად სრულიად უყურადღებოდ მიტოვებული სასახლის პატარა ეკლესია.

სვიმონის სახლიდან ცოტა მოშორებით, დასავლეთით, მოედანს გადაჰყურებს მოჩუქურთმებული, რილო-ჭრილო აივნიანი, ორნამენტებიანი რიკულებით, თაღებით, ფრონტონებით და ფლიგელებით შემკული, ქართული სტილის ორსართულიანი პატარა შენობა, ოდესღაც გიორგი ბატონიშვილის კუთვნილება. იგი ძალზე დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას.

მოედანს სამხრეთიდან შემოსაცქერის საინტერესო მოგონებებით აღსავსე სვეტებიანი ორსართულიანი შენობა № 5. იგი ერთ დროს ეკუთვნოდა ჩვენი სახელოვანი მწერლების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების დედას— ერეკლე მეორის უმცროს ქალს თეკლეს. ამ სახლში დაიბადნენ და აღიზარდნენ ზემონახსენები მწერლები. ამ შენობის შესახებ არსებობს მოგონება ალექსანდრე ორბელიანის შვილის-შვილის მარიამ შარვაშიძისა, რომელსაც დაწვრილებით აქვს აღწერილი თავისი სახელოვანი პაპის ცხოვრება ამ სახლში, სადაც ხშირად იკრიბებოდა იმდროინდელი ინტელიგენცია, ჟურნ. „ცისკრის“ რედაქციის მესვეურები და სხვა ისტორიული პირები („ლიტ. მატიანე“, 3-4). სახლი დაზიანებულია და შეკეთებას საჭიროებს.

ამავე შენობის გვერდით დგას მისივე მსგავსი ორსართულიანი სახლი, ა. ბერჟესა და დ. ერისთავის მოგონებით, აგრეთვე სხვა დოკუმენტებიდანაც ირკვევა, რომ ამ სახლში ცხოვრობდა და წერდა თავის გენიალურ კომედიას დიდი რუსი მწერალი ა. გრიბოედოვი, ვიდრე იგი ნინო ჭავჭავაძეზე დაქორწინდებოდა. ამასვე ადასტურებს თვით ა. გრიბოედოვის ერთი ჩანაწერიც 1822 წლის 5 მარტის თარიღით. პოეტი აღნიშნავს, რომ ის ცხოვრობს მეფის ასულის შვილების მეზობლად.

სხვადასხვა სარწმუნო წყაროებში კიდევ მრავალი ცნობა მოიპოვება ერეკლეს მოედანზე. იგი ძველი თბილისისათვის მრავალმნიშვნელოვანი ადგილი იყო. აქ იკრიბებოდნენ „სასახლის კაცნი“, სამხედრონი და სხვა მოხელენი. აქვე წყდებოდა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. უკანასკნელ ხანებში კი, სანამ საქართველოში ჟურნალ-გაზეთები და პერიოდული პრესა გაჩნდებოდა, ამ მოედანზე მოწყობილი იყო ე. წ. „სალაყბო“—ცოცხალი გაზეთი, საიდანაც ვრცელდებოდა ყოველგვარი ახალი ამბები, ცნობები, განკარგულებები და სხვა სახის ჭორნიკები.

ასეთია მოკლედ თავგადასავალი და მნიშვნელობა ერეკლეს მოედნისა. ამ მრავალჭირნახულ და საინტერესო თავგადასავლის მქონე მოედანზე ამჟამადაც სიცოცხლე სჩქეფს, იგი ერთ-ერთი უბანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქისა.

ს. ცაიშვილი

მფრინავი გამანადგურებელი ვლადიმერ გედენიძე თავგამოდებით ებრძოდა გერმანულ სვავებს. ერთ-ერთ ბრძოლაში „ფოკე-ვულფის“ თვითმფრინავი ტყვიამფრქვევით დააზიანა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრა. არ ახსოვს როგორ მოხვდა იგი იუევსკის ჰოსპიტალში.

დრო გადიოდა, ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ, გედენიძე კი ჰოსპიტალში იწვა და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ გმირ მფრინავთა რიგებს ველარ დაუბრუნდებოდა. მას აწუხებდა ხეიბარის ბედი. ის ხომ ჯერ კიდევ სულ მთლად ახალგაზრდა იყო. სკოლის დასრულებისთანავე წავიდა ფრონტზე. ჯერ არაფერი შეუქმნია, არაფერი გაუკეთებია და როგორ უნდა გამოადგეს შრომისუნარდაკარგული სამშობლოს.

ასეთი ფიქრებით დაბრუნდა ვლადიმერი თავის მშობლიურ სახლში, სამტრედიაში. ცოტა ხნის შემდეგ დაქორწინდა. მისი ახალგაზრდა მეუღლე ერა ბრწყინვალედ ქარგავდა აბრეშუმზე. ვლადიმერიც ჯერ კიდევ სკოლაში იჩენდა სათანადო ნიჭს ხატვაში, ძერწვაში.

გედენიძემ ფრონტიდან დაბრუნებისთანავე განაგრძო თავისი საყვარელი საქმე. ძერწავდა ფიგურებს, ძერწავდა ბიუსტებს. მაგრამ ეს ყველაფერი შესავალი იყო მომავალი შემოქმედებითი მუშაობისა.

ამ ახალგაზრდა ადამიანების მუშაობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ისინი სამუშაოდ მიიწვიეს ქალაქ წულუკიძის კულტურის სახლში.

ვლადიმერს ეხერხება არა მარტო ძერწვა, იგი ხატავს, კარგად გრძნობს მუსიკას, უკრავს სხვადასხვა საკრავებზე.

წულუკიძის თვითმოქმედ კოლექტივის წევრთა შორის გედენიძემ დიდი სიყვარული დაიმსახურა. ჩქარა იგი მიწვეულ იქნა ძაფსახვევ ფაბრიკაში მხატვრულ თვითმოქმედების წრის ხელმძღვანელად.

სად და როგორ ისწავლა ყველაფერი ეს ვლადიმერ გედენიძემ გამოურკვეველია. თვითონაც ვერაფერს ამბობს ამის შესახებ. საბჭოთა ქვეყანაში ნიჭიერი ადამიანების შემოქმედებითი ზრდისა და განვითარებისათვის განუსაზღვრელი პირობებია. ბავშვობაში სკოლა, პიონერული წრეები დაეხმარენ მას თავისი ნიჭის გამოვლინებაში. შემდეგ სამამულო ომის მძიმე წლებმა იგი დაავუკაცა და აღჭურვა ცხოვრების ცოდნით.

ამაში შეიძლება დარწმუნდეთ, თუ შეიხედავთ მის ბინაზე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ოთახი თავისებურ სახელოსნოდ არის გადაქცეული. აი, პოსტამენტზე დგას ნიგვზის ხის უზარმაზარი ნაჭერი. ვლადიმერი საჭრეთელით მუშაობს მასზე. უკვე ნათლად ჩანს დამახასიათებელი კონტურები ჩინეთის ხალხის ბელადის მაო ძე-დუნისა.

ამავე ოთახში ერა აბრეშუმის ნაჭერზე ქარგავს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბს. დიდი გემოვნებით და ზომიერების გრძნობით არის შერჩეული ფერები.

მაო ძე-დუნის ბიუსტი თვითმოქმედი მოქანდაკის მეორე თვალსაჩინო ნამუშევარია. 1951 წელს მან ჩაბარა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლს პოლ რობსონის ბიუსტი, ისიც ხისგან იყო გამოკვეთილი. ამ ბიუსტში ახალგაზრდა მოქანდაკემ შესძლო გადმოეცა სახალხო მომღერლის ვაჟკაცური ძალა, დაულეველი ოპტიმიზმი, დიდი გრძნობები.

ყოველდღიურად იზრდება ეს ახალგაზრდა თვითმოქმედი ხელოვანი. მას მიზნად აქვს გამოძერწოს ჩვენი დროის გამოჩენილი ადამიანების — მშვიდობისათვის მებრძოლთა პორტრეტები.

ყოფილი სამხედრო მფრინავი, ომის ინვალიდი გედენიძე მოქმედი და ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცია. ეს მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია შესაძლებელი. ამ ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი შემოქმედებითი ზრდისათვის. საქართველოს საუკეთესო მხატვრები მას სისტემატურად უწევენ კონსულტაციას, ხალხური შემოქმედების სახლიც ყოველდღიურად ეხმარება ამ თვითმოქმედ ხელოვანს.

ირაკლი კანდელაკი

გარეკანის პირველ გვერდზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საქართველოს სსრ პავილიონი.

მეოთხე გვერდზე: კურორტი „ავადხარა“.

ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა

რედაქტორი **გრ. აბაშიძე**

სარედაქციო კოლეგია: **შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე** (პ/მგ. მდივანი), **ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.**

ნომერი გააფორმა **ალ. ბანძელაძემ**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII-54 წ. გამომც. № 104 ქაღ. ზომა 70×108 1/8. ნაბეჭდი ფურც. 3 1/2 ტირაჟი—15.000 შეკვეთის № 544 უე 14607

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რუსთავში

უფროსი ოსტატი ვ. კობერიძე მუშაობის დროს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძმედის საერთო ხედი.

რუსთავში, სტალინის სახელობის აკ მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა პირველი ბრძმედი, რომელიც გამოადნობს მალალი ხარისხის თუჯს.

ამიერიდან სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა იმუშავებს სრული მეტალურგიული ციკლით — საბჭოთა ქვეყანას იგი მისცემს თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს.

მებრძმედეები დ. ჯანელიძე და ა. ფარეშიშვილი რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პირველი თუჯის გამოდნობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა